სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 15 ივნისი 1999 №110 (883) | ფასი 50 თეთრი

საქართველო — დანია
იყო არაბეთის წილისყრა

მაშ ასე, წილი ნაყარია, საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრების მეტოქე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზე დანია იქნება. ეს ამბავი გუშინ ეგვიპტეში, ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაირკვა, სადაც ქართველთა მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძეც იმყოფება და, ცხადია, იგი დანიელებს საქმეშიც ნახავდა. შეგახსენებთ, რომ სკანდინავიელები ეგვიპტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირიდან კი გავიდნენ, მაგრამ მერვედფინალში ყველასთვის მოულოდნელად კუბელებთან დამარცხდნენ.

ქაიროშივე დაუდგენიათ საქართველო—დანიის მატჩების ადგილი და დრო. დანიელებს 11-12 სექტემბერს თბილისში ვუმასპინძლებთ, საპასუხო შეხვედრა კი 18-19 სექტემბერს გაიმართება.

ახლა კი იმ წყვილებსაც გაგაცნობთ, რომლებიც ქართველთა და დანიელთა დარად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლებენ:

ავსტრია — ესპანეთი, თურქეთი — რუსეთი, იტალია — ნორვეგია, ისლანდია — მაკედონია, უკრაინა — ბელარუსი, პორტუგალია — იუგოსლავია, სლოვენია — უნგრეთი, პოლონეთი — გერმანია, რუმინეთი — საფრანგეთი.

ხურცილავა ლოკომოტივის ახალი მესაჭეა

რკინიგზელები ბრინჯაოს მომგებ მწვრთნელ თემურ მახარაძეს შეელივნენ და ახალ თავკაცად მურთაზ ხურცილავა ირჩიეს

ლაუდრუპი აიაქსელია

გუშინ ბრიან ლაუდრუპმა ამსტერდამის კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ „აიაქსში“ ლაუდრუპი კვლავ ითამაშებს

აურზაური ოვალურ სახლში

დათვებმა პროტესტი დაწერეს

აია ჩემპიონატის მიტოვებით იმუქრება

ფოტოდოკუმენტი ეროვნული ბიბლიოთეკიდან

დათვები — ლოკომოტივი 1. ლოკომოტიველთა ლელო გუჯა იოვაძემ გაიტანა

ჯერ ისე რა ლხენაშია ჩვენი რაგბი და ახლა... ამ უქმეებზე გამართულმა ეროვნული პირველობის მერვე ტურმა გვარიანი აურზაური გამოიწვია. უმთავრესად ლევან მგელაძის სახელი მოიხსენიებოდა. შაბათს მან უნივერსიტეტ—„აიას“ მატჩი იმსაჯა, მეორე დღეს კი ტურის ცენტრალური შეხვედრა — „დათვები“—„ლოკომოტივი 1“. ლევან მგელაძემ მსაჯობა არ იცისო, ვერავინ იტყვის, მაგრამ... ქუთაისელთა გუნდის უფროსის სოსო დიაკონიძის თქმით, თუ „აიას“ უსინდისოდ ჩაგვრა კვლავაც გაგრძელდა, გუნდი იძულებული იქნება, გათამაშებას ჩამოსცილდესო. ბათუმელთა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ კი მსაჯის მოქმედება ტენდეციურად, არაკვალიფიციურად შეაფასა და შეხვედრის შედეგიც გააპროტესტა. ამ საკითხს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია განიხილავს. ქუთაისელებს რაც შეეხებათ, მატჩის არბიტრმაც და მეთვალყურემაც შეხვედრის ოქმში დააფიქსირეს, რომ სტუდენტებმა ლიმიტირებულზე მეტი მოთამაშე შეცვალეს და, შესაძლოა, ამ მატჩში წაგება ჩაეთვალოთ.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

აზოტი ვითა 2:0 თსუ სტუ

გუშინ ვერის ბაღში დაწყებულმა საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალურმა სერიებმა ფავორიტთა უპირატესობა კიდევ უფრო გაამყარეს. თუკი „აზოტმა“ იოლად დაამარცხა თსუ, ვითამ ბოლო წუთებზე გამოგლიჯა გამარჯვება სტუ-ს, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდა. ნახევარფინალის მეორე მატჩები დღეს გაიმართება.

იხილეთ მეათე გვერდი



ფოტო ფოტოდოკუმენტალისტ ბორის ბოგდანოვისა

ვითა — სტუ. უტევს ვითელი გიორგი გაგნიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

გადათამაშება

პირველ ჯგუფში გადასვლის შანსის შესანარჩუნებელი მატჩი

როგორ გუგუნებდა ფოლადი

ღარწყალელთა ჯერიც დადგა, შაბათს მათაც გაიხარეს

ფოტო: ბელა ბოლქვაძისა

რუსთავი
12 ივნისი
18 საათი
ფოლადი
4 000 (ტევადობა 10 700)

სულორი 0:0 ღარწყალი

პენალტები 4:5

1:0 კორძაძე, 1:1 სირაძე, 2:1 გიგინეიშვილი, 2:2 ტოკლიკიშვილი, 3:2 დვალიშვილი, 3:3 გოლეთიანი, 4:3 ბელთაძე, 4:4 აფციაური, 4:4 ბრეგვაძე (მეკარე), 4:5 ბარამიძე

სულორი: კ. ნიკოლეიშვილი, ორმოცაძე, გიზო ბრეგვაძე, კაპატაძე, ბელთაძე, კორძაძე, კ. დვალიშვილი, ფაიქიძე (კოტიშაძე 108), ბ. ნიკოლეიშვილი (გიგინეიშვილი 81), სადილიანი, გოჩა ბრეგვაძე (თ. დვალიშვილი 102)

სათადარიგონი: ძიგრაშვილი; კბილაშვილი, ვ. მიქელთაძე, ჩუბინიძე

ღარწყალი: ნაჭყეპია, თელიაშვილი, გულაშვილი, ბარამიძე, დ. ცომაია, გოლეთიანი, გოძიაშვილი, გელაშვილი, ჯ. წიკლაური (მიკუნაძე 77, სირაძე 91), ტოკლიკიშვილი, დ. ჩიგოშვილი (ბ. აფციაური 65)

სათადარიგო: ჭიჭინაძე

გაფრთხილება: ფაიქიძე (27), ტოკლიკიშვილი (58), კაპატაძე (63), გიზო ბრეგვაძე (77), თელიაშვილი (93), კოტიშაძე (113), ორმოცაძე (119)

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ა. მეშკოვი, ზ. დოლიძე (ყველა თბილისი); დ. ინდუაშვილი (რუსთავი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

რუსთავში ანზორ გძელიძის ჰაერში შეთამაშების ჯერი დამდგარიყო. უმძიმეს ბრძოლაში, პენალტების სერიაში, გამარჯვებულმა ქიზიყელებმა ჰოპლა არ დაამდლეს „ღარწყალის“ ბედნიერ თავკაცს... შეხვედრა კარგა ხნის დამთავრებული იყო, „ფოლადი“ კი ისევ გუგუნებდა — „ღარწყალი“, „ღარწყალი!“

მატჩის დღემდე ინკოგნიტოდ დარჩენილმა მსაჯთა ბრიგადამ საუცხოოდ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მავანთ მსაჯებზე ძვირის თქმა მოდად ქცეულ რამედ რომ არ ეგონოთ, პირდაპირ და ალალად ვიტყვი, ამ დღეს „ფოლადზე“ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა მერაბ მალაღლურაძემ დამსწრეთ პატარა გაკვეთილი ჩაუტარა თემაზე — როგორ უნდა მიიღოს მატჩის შემდეგ მსაჯმა მადლობა ორივე გუნდისგან. საამისოდ მალაღურაძეს დიდი თავისმტვრევა არც დასჭირვებია. უბრალოდ, ობიექტური იყო. მისი თითოეული გადაწყვეტილება იმდენად მართებული გახლდათ, რომ თვით მსაჯობაზე გულაცრუებულმა (რბილად რომ ვთქვათ) ქიზიყელმა გულშემატკივრებმაც კი მქუხარე აპლოდისმენტებით გააცილეს. ჰოდა, ამის ფონზე მით უფრო გასაკვირია სამსაჯო-საინსპექტორო განყოფილების საქციელი. თქვე დალოცვილიშვილებო, ამისთანა კაცის ვინაობას გვიმალავდით ბოლო წუთამდე?

ორივე გუნდს ქალაქის ხელმძღვანელობამ ღირსეული დახვედრა მოუწყო. მატჩს ქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე დაესწრნენ. „ფოლადზე“ რუსთაველი პარლამენტარებიც შეყრილიყვნენ. ქალაქის ხელმძღვანელობას ორივე გუნდისთვის საგანგებო პრიზებიც დაეწესებინა.

და გულშემატკივრები... კარგა ხანია „ფოლადზე“ მსგავსი აჟიოტაჟი არ ყოფილა. მთელი მატჩის განმავლობაში თან სდევდათ ფეხბურთელებს შეძახილები. ისე, ქიზიყელთა უპირატესობა თვალშისაცემი იყო. ისინი ერთიორად სჭარბობდნენ „სულორის“ ქომაგთ.

მატჩი „ღარწყალის“ უპირატესობით დაიწყო. მე-5 წუთზეთე კუთხურიდან ბარამიძის ჩაკიდულს გოლეთიანი დაუხვდა, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. შემდეგ თელიაშვილი ჩაერთო შეტევაში და ტოკლიკიშვილს შეუქმნა ხელსაყრელი მომენტი, თუმც ამაოდ.

ისე, ეს ფეხბურთელი უდავოდ გამოირჩეოდა ორივე გუნდიდან. ძველ ანაგელთა მე-10 ნომერი მთელი 120 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა. საჭიროების შემთხვევაში დაცვასაც ეხმარებოდა, შეტევაში ხომ გუნდის სული და გული იყო და არაერთხელ ანერვიულა მეტოქე.

მეოცე წუთისთვის თამაში გათანაბრდა. „სულორმა“ მართებული გადაწყვეტილება მიიღო, დაცვაში არ ჩავდა, პირიქით, ზაზა ბელთაძემ ნახევარდაცვაში ამოიწია, თავდასხმის ხაზში განლაგებული კორძაძე და ფაიქიძე კი მოდუნების საშუალებას არ აძლევდნენ ძველანაგელებს. 28-ე წუთზე ბელთაძემ ხელსაყრელ მდგომარეობაში დატოვა გამოცდილი ფაიქიძე. მან, ნაცვლად იმისა, რომ კარში დაერტყა, დააყოვნა, მერე კი საჯარიმოში წაიქცა. მალაღურაძემ თამაშის გაგრძელება მოითხოვა და სავსებით სამართლიანადაც. მასთან მოკამათე ფაიქიძეს კი ყვითელი ბარათი აუფრიალა. საპასუხო შეტევისას წიკლაურმა გაილაღა მარცხენა ფრთაზე. „ფოლადის“ უვარგის საფარს სხვებზე მეტად შეჩვეულმა ფეხბურთელმა (ჯაბა წიკლაური პირველ ეროვნულ ჩემპიონატში „გორდას“ ღირსებას იცავდა) გზად ორი მეტოქე მოატყუა და კარგადაც ჩაწოდა საჯარიმოში — ტოკლიკიშვილის ლამაზი თავური კალისტრატე ნიკოლეიშვილმა ეფექტური ნახტომით მოიგერია. ეგ იყო და ეგ. პირველ ტაიმში ღირშესანიშნავი სხვა არაფერი მომხდარა. ორივე გუნდის მცველები თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ და ამიტომაც ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა.

მეორე ნახევარი „სულორის“ შეტევით დაიწყო. ცენტრალურ ხაზში მეტოქის შეცდომით ბელთაძემ ისარგებლა, ოციოდე მეტრის გარბენის შემდეგ ბურთი ფაიქიძეს გადაუწოდა, მან კი საჯარიმოს სიახლოვეს საჭირო პაუზა გააკეთა და კარშიც კარგად დაარტყა. ნაჭყეპიამ გაჭირვებით მოიგერია ბურთი. შემდეგ ისევ წიკლაურის ჯერი დადგა. სამი წუთის ინტერვალში, ჯაბამ ფლანგური გარღვევებით სამჯერ შექმნა ხიფათი ვანელთა საჯარიმოში. ორჯერ მცველებმა შეძლეს ბოლო წამს ბურთის გამოტანა, ერთხელ გოლეთიანს გაუცუდდა დარტყმა. 77-ე წუთისთვის ქიზიყელი გულშემატკივრები ახმაურდნენ. ისინი ანზორ გძელიძის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ — „ღარწყალის“ მთავარმა მწვრთნელმა, „დინამო 2“-თან მატჩის მსგავსად, წიკლაური შეცვალა მიკუჩაძით (ზუსტად იმავე წუთზე). თუმც ამ ფეხბურთელს ბევრიც არაფერი დაუშავებია, პირიქით, დაღლილ თანაგუნდელებს მხსნელად მოევლინა და შეტევის ხაზზე გამწესებული დაცვასაც დროულად აზღვევდა. მიუხედავად ამისა, დამატებითი დროის დაწყების წინ გძელიძემ იგი სირაძით შეცვალა. დამატებით 30 წუთში კი შედარებით უკეთ ვანელები გამოიყურებოდნენ. ამაში გასაკვირი არაფერია. „ღარწყალმა“ ხომ ოთხი დღით ადრე უმძიმესი 120-წუთიანი ბრძოლა გადაიტანა „დინამო 2“-თან. ჰოდა, ძველანაგელებსაც დაღლა დაეტყოთ და ვინ იცის, „სულორს“ მეტად რომ გამოედო თავი, იქნებ საქმე პენალტებამდე არც მისულიყო. თუნდაც 109-ე წუთზე, როდესაც მანამდე თითქმის უშეცდომოდ მოთამაშე გელაშვილმა ბურთი კორძაძეს ჩააბარა, ამ უკანასკნელმა კი მოულოდნელი საჩუქარი ქარს გაატანა. შემდეგ პენალტების ჯერი დადგა, ნერვების თამაშის დრო, ნაჭყეპიამ „ოქროს ნახტომის“ შემდეგ ბოლო შანსი თანაგუნდელ ბარამიძეს დაუტოვა, მანაც აუღლვებლად შეძლო ნიკოლეიშვილის მოტყუება და ანზორ გძელიძის ჰაერში შეთამაშებას სერიოზული მოტივაციაც შესძინა... „ფოლადი“ კი დიდხანს გუგუნებდა — „ღარწყალი“, „ღარწყალი“!

ღარწყალი: დაგვასვენეთ!

— მე და ჩემი ფეხბურთელები ხორცის საკეპ მანქანაში გაგვატარეს. ასე არ შეიძლება, ნერვები არ გვყოფნის, არც კი ვიცი, შევძლებთ თუ არა გადამწყვეტი მატჩისთვის ძალების აღდგენას — ეს სიტყვები „ღარწყალის“ მთავარ მწვრთნელ ანზორ გძელიძეს ეკუთვნის. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ ამბობს ამას ძველანაგელთა თავკაცი და ვისი მისამართით.

ძველანაგელებმა ოთხი დღის ინტერვალით (8 და 12 ივნისს) ორი მომქანცველი შეხვედრა ჩაატარეს „დინამო 2“-თან და „სულორთან“. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე პენალტების სერიამდე მივიდა (ჯამში 240 წუთი), გამოდის, რომ წესით და რიგით 16 ივნისისთვის „ღარწყალს“ უნდა გაუჭირდეს ძალების აღდგენა და უნივერსიტეტელთა ბარიერის დაძლევა, მით უმეტეს, რომ მას გასული ორი თამაშის შემდეგ ტრავმირებული ფეხბურთელებიც მოუმრავლდა. აპირებენ თუ არა ძველანაგელები პროტესტის შეტანას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში? აპირებენ. ოღონდ საეჭვოა, საშეჯიბრო კომიტეტმა გადაწყვეტილება შეცვალოს, თუმცა ვინ იცის, ჩვენში ხომ ყველაფერია შესაძლებელი.

პაატა კვანტალიანი

დიდი გამოცდის წინ

სეზონის უმთავრესი მატჩისთვის მზადებას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი. თსუ-ს უკან დასახვევი გზა მოჭრილი აქვს. ძველანაგური ბარიერის დაძლევა — მხოლოდ ეს იძლევა პირველ რიგში დარჩენის საშუალებას. მეტოქე კი სტუდენტებს ხელწამოსაკრავი სულაც არ ჰყავთ. ჰოდა, თსუ-ც ემზადება. კვირას თბილისელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს რუსთავში, „გორდასთან“. ოთარ გაბელიას შეგირდებმა ერთობ მოინდომეს და მასპინძლები 4:2-ით დაამარცხეს. სტუდენტთა კარს სათადარიგო მეკარე მერლანი იცავდა. ალბათ, „ღარწყალის“ წინააღმდეგაც“ მას მოუწევს თამაში, რადგან ძირითადში მეკარე გიორგი გაბელია „დაშავებულია, მას ხელი აწუხებს და გადამწყვეტ მატჩს ამ მიზეზით გამოაკლდება.

პაატა კვანტალიანი

ბურკაძე დაამტკიცეს! ბურკაძე დაამტკიცებს?

საქართველოს თასის ფინალის მერე წყალტუბოს „სამგურალს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს.

შუა მაისში წყალტუბოელებმა საფინალოდ და საგაისოდ გუნდის ახალი თავკაცი დაუბევეს და, ჯერ ფინალი იყოს, დანარჩენზე კი მერე მოვილაპარაკოთო, შეთანხმდნენ.

და აი, წინა კვირის მიწურულს წყალტუბოს მერს მირზა ქორქაშვილს და „სამგურალის“ მწვრთნელ რევაზ ბურკაძეს კვლავ უსაუბრიათ, ახლა უკვე მომავალი სეზონის სამზადისზე. ამ შეხვედრას არ დასწრებია „სამგურალის“ პრეზიდენტი გრიგოლ ქათამაძე, რომელიც იშხანად თბილისში იმყოფებოდა, თუმცა ამ ინფორმაციის სიზუსტე დაადასტურა.

— ყველაფერი შეთანხმებულია, უახლოეს დღეებში კონტრაქტის გაფორმებას ხელს ალბათ არაფერი შეუშლის. გუნდი 20 ივნისს შეიკრიბება, მანამდე კი ბურკაძემ კლუბში 2 კომპლექტი ფორმა მოიტანა და ბუცებსაც დაგვპირდაო — განუცხადა „სარბიელს“ ქათამაძემ.

ერთი სიტყვით, რევაზ ბურკაძე „სამგურალში“ ხელდაშვენებული მივიდა, ოღონდ არა თასით, არამედ ფორმებით. ისე, სამგურალელები აქამდეც რიგიანად ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ, მაგრამ საჩუქარზე უარი ვის უთქვამს.

სხვათა შორის, ჯერჯერობით უცნობია ვინ მოირგებს იმ ოთხ კომპლექტ ფორმას, რომელიც ახლა „სამგურალის“ გარდერობშია. წყალტუბოურ კლუბთან კონტრაქტი ჯერ არცერთ მიწვეულ მოთამაშეს გაუფორმებია.

პირველ შეკრებამდე (შეიძლება მეტადაც დაგვიანდეს) გაურკვეველია, რისთვის იბრძოლებს მეთერთმეტე ჩემპიონატში „სამგურალი“, უძნელეს, კენტთა ქვეჯგუფში პირველ ოთხეულში მოსახვედრად თუ ჯგუფში დასარჩენად.

თავისი ცოდნა-გამოცდილებით წარსულში ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაც რევაზ ბურკაძეს ორივე მიზნისთვის ბრძოლის ძალა შესწევს. სხვა საქმეა, კლუბის ბიუჯეტი რას გაწვდება.

გადაწყვეტილია, ბურკაძეს ენდნენ და დაამტკიცეს, საკითხავია, რის დამტკიცებას მოთხოვენ ქართულ ფეხბურთს 3 წლით მოწყვეტილ მწვრთნელს.

ვახტანგ გზიკაძე

ვანელი მცველები ძველანაგელთა თავდამსხმელ ჯაბა წიკლაურს ებრძვიან

ფოტო: ბელა ბოლქვაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურცილავა ლოკომოტივის მესაჭეა

რკინიგზელებმა მახარაძე დაითხოვეს



მურთაზ ხურცილავა



ბადრი ჯეთილაძის ფოტოები

თემურ მახარაძე

საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან თბილისის „ლოკომოტივს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს.

გუშინ კლუბის უფროსობის კრებაზე რკინიგზელთა გუნდი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას ჩააბარეს. ამიერიდან მას სამუშაო გაუორმაგდება — იქით 21-წლამდელები, აქეთ უეფას თასზე სათამაშოდ გამზადებული თბილისის „ლოკომოტივი“.

— დიახ, ასეა. „ლოკომოტივის“ მწვრთნელი გახლავართ. ხელმძღვანელობასთან უკვე შეთანხმებული ვარ. ფეხბურთელებს ჯერჯერობით არ შევხვედრივარ. პირველი ნაცნობობა პარასკევს შედგება, სეზონისთვის მომზადებასაც მაშინ დავიწყებთ.

მურთაზ ხურცილავას მეტი არაფერი უთქვამს — ფაქტი დაგვიდასტურა. მას არც ის დაუზუსტებია, რამდენ ხანს აპირებს რკინიგზელ ფეხბურთელთა გაწვრთნას.

რაც შეეხება „ლოკომოტივის“ ყოფილ თავკაც თემურ მახარაძეს, ის უკვე დასაქმებულია. რკინიგზელთა საფეხბურთო სკოლის დირექტორი — ასეთია მისი ახალი თანამდებობა.

მიზეზი კი, რის გამოც მახარაძე გაათავისუფლეს და მწვრთნელად ხურცილავა დანიშნეს, „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძის თქმით, ის ყოფილა, რომ...

— უეფას თასზე ღირსეულად თამაში გვსურს და ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ, გუნდი უფრო გამოცდილი მურთაზ ხურცილავასთვის ჩაგვებარებინა. ეს ამბავი პარასკევს გადავწყვიტეთ. ჩვენ მადლობლები ვართ თემურ მახარაძისა, რომლის ხელმძღვანელობითაც „ლოკომოტივმა“ ევროპის საკლუბო ტურნირში მონაწილეობა დაიბევა. ყველაფერი კი მასთან შეთანხმებით მოხდა, საქმის კურსში პირველად ის ჩავაყენეთ, იცოდა, რომ მისი შემცვლელი მურთაზ ხურცილავა იქნებოდა.

რას ერჩი, ღვაბერიძისა და „ლოკომოტივის“ სხვა ხელმძღვანელთა მიერ დასახელებული მიზეზი გასაგებია. ასე ჩაუთვლიათ საჭიროდ და ამის შესაბამისადვე მოქცეულან, მაგრამ საკითხავია — ნუთუ გამოცდილება დაუწუნეს თემურ მახარაძეს? თუმცა... რაღა პასუხია საჭირო? ეტყობა, მართლაც ასეა.

მურთაზ ხურცილავას „ლოკომოტივის“ მწვრთნელად დანიშვნის თაობაზე, შეგახსენებთ, ლაპარაკი ადრეც იყო, მაშინ, როცა თბილისის „დინამოდან“ დაითხოვეს. სავარაუდოდ, მას სწორედ რკინიგზელები უნდა გაეწვრთნა, მაგრამ ხურცილავას ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა რომ შესთავაზა, „ლოკომოტივი“ განზე დარჩა.

თემურ მახარაძის გუნდიდან გაშვებაზე კი ხმები „ლოკომოტივ“ — „სამგურალის“ სათასო ნახევარფინალურ მატჩებამდე დაირხა. კლუბში მახარაძის საქმეები მთლად კარგად ვერ არისო, ამბობდნენ.

ჭორები გუშინღა გამართლდა — თბილისის „ლოკომოტივს“ მურთაზ ხურცილავა გაწვრთნის და ქართველ კოლეგათა შორის პირველი იქნება, რომელიც ევროპულ სარბიელზე მესამე გუნდს ათამაშებს.

ძობა ინასარიძე

სიზმარს აყოლილი

— მაინც რა გაუკვირდათ, ისე შემომხედეს, თითქოს მთვარიდან ვიყო ჩამოფრენილი. არა უშავს, მალე მოვიყვან ყველას ჭკუაზე. გაბედონ და არ დამემორჩილონ?! ჯერაც არ იციან, ვისთან აქვთ საქმე. ისე უცნაური ხალხი კია...

ორმოცი-ორმოცდაათი წლის, ქერათმიანი, სრული მამაკაცი საჭეს ზანტად ატრიალებდა და ფიქრიანად მიჰყვებოდა ათას ერთი მანქანის მდორე დინებას. თავს ისე გრძნობდა, როგორც რობინზონ კრუზო უკაცრიელ კუნძულზე — არავის ესმოდა მისი.

— კიდევ კარგი, ფრანსუა მაინცა მყავს გვერდით, თორემ მართლა გავგიჟდებოდი. უცნაური ხალხია, უცნაური... გამიჭირდება — და აქ ისევ გაურბინა ბოლო ხანს შემოჩვეულმა ფიქრმა — ხომ არ... — არა, არა, გადაწყვეტით გაიქნია თავი. არ იყო სუსტთაგანი.

როგორც იქნა, გააღწია იმ ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა. ნორმალური საცხოვრებელი მისცეს. მანქანასაც არა უშავს — უარესიც უნახავს (ერთიც და მეორეც), ეგ არის, ოჯახი ჰყავს შორს, ცოლი რა ხანია მძიმედ ავადმყოფობს, ვინ იცის, როგორ სჭირდება.

— როგორ გაუკვირდათ, პირები დააღეს, დილას ვარჯიში გექნებათ-მეთქი, რომ გამოვაცხადე. ჩემპიონები... — ირონიულად მოკუმა ტუჩები — ასეთ ჩემპიონატში წელიწადში 365 დღეს ჩემპიონი უნდა იყო. თანაც ათი წელიწადი ყოფილან ჩემპიონები, სიხარულიც კი არ გამოუხატავთ. საერთოდ, რაღაც არხეინი ხალხი ჩანს, ის ბავშვები რომ არა, მართლა ერთი წუთით არ გაჩერდებოდა აქ. როგორმე იმ დარჩენილ თვეებსაც გაათრევდა და...

მანქანა ფრთხილად აარიდა ეზოში უწესრიგოდ მიმობნეულ ავტომობილებს. რასაც აქ საჭესთან ჯდომისას ერთ დღეში წვალობს, სამშობლოში მთელ წელიწადს ეყოფოდა. აქაურებს ყველაზე მეტად წესრიგისადმი მორჩილება არ უყვართ, ფეხებზე ჰკიდიათ კანონი და სამართალი — ფეხბურთელს ვარჯიში ეზარება, ჟურნალისტმა განაცხადის ფურცელი მოჰპარა — გაგიუება შეიძლება.

მეზობელ აივანზე მულატი მეზობელი ამზეურებდა ჯიშიან სხეულს. ყოველდღე ასეა, მოიშილიფებს და წამოუწვება მზეს, კიდევაც იმიტომ იკრიბებიან გუნდ-გუნდად ეზოში კისერმოღრეცილი ბიჭბუჭები. რამდენჯერ უთხრა, სხვა ხალხია, მოერიდე, თორემ ერთხელაც ამოგივარდებიანო, მაგრამ... ესეც კაიხელა დაქნეულია...

ოთახში შესულს ხვატი ეტაკა. კონდინციონერი ჩართო, სავარძელში ჩაჯდა და ტელეფონს მისწვდა — დავრეკავ ზაზასთან, ვკითხავ ერთი რა გაუკვირდათ, ასეთი რა ვუთხარი...

ნახევარი საათის შემდეგ ტელევიზორის ეკრანს მისჩერებოდა უაზროდ. ფიქრები ბუზებივით ირეოდნენ თავში — რაო? უცბად ვარჯიშების შეწყვეტა ვის გაუგონია, რა ჯანი უძლებთ, რა კუნთი, ან ექიმი არ უნახავთ? ვინ არიან, რა უნდათ? ჩემპიონთა ლიგაში მოგვაბვედრეო და დღეში ორი საათი ვარჯიში ეზარებათ — ტუჩები მობრიცა და ურწმუნოდ გააჭნია თავი. მათთან რა უნდა ჭნას კაცმა, რა.

— ჯორჯიან მენტალიტეტ... ჯორჯიან მენტალიტეტ... დებილი — დაასკვნა მერე. ბოლო სიტყვა აქ ისწავლა, ფეხბურთელები ეძახიან ერთმანეთს. სულელს უნდა ნიშნავდეს.

მაინც დათმობა მოუწევს. მხოლოდ ერთხელ, პირველად, თორემ შეიძლება საერთოდ დაფრთხნენ. როგორ ურჩია ზაზამ? ქეიფ-დროსტარებაზე მიგვდის სულიო... ჰოდა, იყოს ასე... მხოლოდ ერთხელ, პირველად.

* * *

ავტობუსიდან ჩამოსული შორტებიანი ფეხბურთელები ჯერ სალობიეს შეაჩერდნენ და მერე ყველა ერთი კაცივით მწვრთნელისკენ მიბრუნდა. მან კი, ვითომც არც არაფერიაო, თანაშემწეს გადაულაპარაკა რაღაც.

— ჰა, შედითო, ბიჭებო, რა დროს ვარჯიშია, ჩემპიონები ვართ და ჩემპიონობა აღვნიშნოთო — ფეხბურთელები მაინც არ იძვროდნენ ადგილიდან. ზუსტად ისე იდგნენ, როგორც მინდორზე ხანდახან და მწვრთნელს უნდოდ შესცქეროდნენ.

— გია, რას ელოდებიან?! GO, GO — ხელითაც ანიშნა. მწვრთნელმა ფეხბურთელებს შესასვლელზე და თავად დაიძრა პირველი.

...იქ კი ქართული, მეფური და საჩემპიონო სუფრა ელოდათ „დინამოელებს“ — მწვადი, ხაჭაპური, ღვინო... ლობიოც.

მწვრთნელმა ხელში ღვინით სავსე ფიალა აიღო, ფეხბურთელებს გადახედა და სათქმელად მოემზადა...

ისინი კი კვლავ გახევებულნი შესცქეროდნენ. იმაზე უარესად გაკვირვებულები, ვიდრე მაშინ, ბაზაზე.

იოჰან ბოსკამპმა ღვინიანი ჯამი ტაბლაზე დადგა და ერთი მისებურად გადაიხარხარა. ჯერჯერობით, კარგად მიდიოდა საქმე.

კონსტანტინე გოგიშვილი



ბოსკამპი: ამათ ჩემპიონთა ლიგაში თამაში ლობიობა ხომ არ ჰგონიათ?!...

არჩილ არველაძე და ბენეში

ნანტი თუ სოსიედადი?

ციებ-ცხელებაც ახლა იწყება. მიილია საფეხბურთო სეზონი და სატრანსფერო ბაზარიც გაიხსნა. ყველას თავისი გასჭირვებია, კლუბები, ფეხბურთელები, რაღა თქმა უნდა, მენეჯერები სარფიანი გარიგებების მოლოდინში არიან.

ჩვენც ჩვენი გვაქვს საკითხავი — ქართველი ლეგიონერები, რომელთაგანაც რამდენიმე სხვადასხვა მიზეზის გამო კლუბის დატოვებას აპირებს და ახალი გუნდის ძიებითაა დაკავებული, ბუნებრივია, მენეჯერის ხელშეწყობით.

მენეჯერი კი ბევრ ჩვენებურს ერთი ჰყავს — დანიელი ივან ბენეში. და წუხელ სწორედ მან გვაცნობა, რომ ჯერ კიდევ ჰოლანდიური „ბრედას“ თავდამსხმელ არჩილ არველაძეს ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყანათა რამდენიმე ცნობილი გუნდი ეპატიჟება. მათ შორის ყველაზე მეტად კი თურმე ფრანგული „ნანტი“ და ესპანური „რეალ სოსიედადი“ აქტიურობს. ეგ ბიჭი აქ ჩამოგვიყვანეო, უთქვამთ ბენეშისთვის ცალ-ცალკე. მენეჯერის თქმით, ჯერ მხოლოდ მოლაპარაკება მიმდინარეობს, „ბრედა“ არჩილს იოლად ვერ შეელევა.

ჩვენც დავიცადოთ, ნელ-ნელა სხვა საინტერესო ამბებსაც გამცნობთ. ნემსაძის, ჯამარულის, შელიას, ქინქლაძის და სხვა ქართველ ლეგიონერთა ახალი კლუბები უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ძობა ინასარიძე

კოლხეთი ტყავაძეს ვერ მოურიგდა

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ამას წინათ ფოთის „კოლხეთის“ მაკედონიურ სამზადისზე გამცნეთ. ისიც გაუწყეთ, რომ ფოთელებმა საინტერტოტოოდ ყოფილი სიონელი ბუბა ტყავაძე შეიგულეს. თუმცა რა შეგულებაზეა ლაპარაკი, ტყავაძეს გუნდთან ერთად ვარჯიში რაა, ისიც არ ჩაუტარებია. ბუბა ფოთში ჩასვლიდან მეორე დილასვე უკან გამობრუნებულა.

ბუნებრივია, „სარბიელი“ ორივე მხარეს დაუკავშირდა. „კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორის, ვახტანგ ხაინდრავასა და ბუბა ტყავაძის ნათქვამიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს.

— პირობებზე ვერ მოვრიგდით, ფინანსურად ვერ შევთანხმდით. მსურდა „კოლხეთში“ ინტერტოტოზე მეთამაშა, მაგრამ ასეა. ახლა ჯერჯერობით იძულებით ვისვენებ. თუ იქნება დაინტერესება რომელიმე გუნდიდან, ვნახოთ. ისე, უცხოეთში თამაშის საშუალება რომ მომეცეს, არც კი წავალ, თუ ვითამაშებ, ისევ აქ, საქართველოში — ასეთი გახლდათ ტყავაძის კომენტარი.

ვახტანგ ხაინდრავამაც ფაქტობრივად იგივე გვითხრა, ტყავაძეს პირობებზე ვერ შევუთანხმდითო. სხვა მხრივ „კოლხეთი“ გამალებით ემზადება მაკედონიურ „ცემენტარნიცასთან“ სათამაშოდ.

19 ივნისის მატჩი, „ცემენტარნიცა“ — „კოლხეთი“ შუაევროპული დროით საღამოს 18 საათზე, ჩვენი დროით კი 21 საათზე დაიწყება.

დღეს ეს იყოს. უფრო დაზუსტებულ ცნობებს „კოლხეთის“ შესახებ კი ხვალინდელ „სარბიელში“ იხილავთ.

გიორგი ვაშაძიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს თურქები ვინ ყოფილან?!

შეფას რეგიონთა თასი

REGION'S CUP

I ტური

შევარდენი. 15.30 საათი.
1 000 მაყურებელი

თბილისი 1:0 ბაქო

1:0 გვაზავა (10)
თბილისი: ჩაჩიბაია, გიორგი მეტრეველი, ონიანი, მოსიაშვილი, გაბიდაური, ოდიშარია, ტილკავაშვილი (დ. მეტრეველი 74), ლ. გვაზავა (კვირკვია 78), კაკაბაძე, გურამ მეტრეველი (ხმალაძე 59), მურადელი
სათადარიგონი: როხაძე; ვ. კაკაშვილი, ზაკუტაშვილი, დ. წიკლაური
გაფრთხილება: გურამ მეტრეველი (52), გულმალიევი (59), ტილკავაშვილი (68), კვირკვია (85)
მსაჯი: ა. გონჩარი (რუსეთი)
უეფას დელეგატი: პ. ჟიდოვსკი (სლოვაკეთი)

შევარდენი. 19 საათი.
700 მაყურებელი

იუგი 1:1 მარმარა

0:1 აკიოლი (26), 1:1 იგნატოვი (51)
გაფრთხილება: ბოჩკა, ასიკოვი, ნასონოვი (ყველა იუგი), ტაბაკი, იბისი, ბასოღლუ (ყველა მარმარა)
გაძევება: ბასოღლუ (90, მარმარა)
მსაჯი: ს. ირმანხანი (აზერბაიჯანი)
უეფას დელეგატი: პ. ჟიდოვსკი (სლოვაკეთი)

II ტური. 13 ივნისი.

ეროვნული. 15.30 საათი.
3 000 მაყურებელი

თბილისი 2:2 იუგი

0:1 იგნატოვი (9), 0:2 ლიუხტი (20), 1:2 გაბიდაური (47), 2:2 ტილკავაშვილი (52)
თბილისი: ჩაჩიბაია, ვ. კაკაშვილი (ხმალაძე 46), გიორგი მეტრეველი, ონიანი, მოსიაშვილი, გაბიდაური, ოდიშარია, ტილკავაშვილი (ზაკუტაშვილი 89), ლ. გვაზავა (დ. მეტრეველი 76), კაკაბაძე, მურადელი
სათადარიგონი: როხაძე; კვირკვია, გურამ მეტრეველი, დ. წიკლაური
გაძევება: სტეტიუხა (76, იუგი)
მსაჯი: ა. კორასი (თურქეთი)
უეფას დელეგატი: პ. ჟიდოვსკი (სლოვაკეთი)

ეროვნული. 19 საათი.
3 000 მაყურებელი

ბაქო 3:1 მარმარა

1:0 ისმაილოვი (8), 2:0 სალმანოვი (10), 2:1 ასა (49), 3:1 ჰასანოვი (71)
გაფრთხილება: სალმანოვი, ისმაილოვი (ორივე ბაქო), გურგენი, აკიოლი, ტაბაკი (ყველა მარმარა)
გაძევება: ჰასანოვი (74, ბაქო), იბისი (86, მარმარა)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (საქართველო)
უეფას დელეგატი: პ. ჟიდოვსკი (სლოვაკეთი)

შაბათს ნავთლუღში, „შევარდენის“ სტადიონზე, უეფას რეგიონთა თასის საკვალიფიკაციო ტურნირი დაიწყო მოყვარულ ფეხბურთელებს შორის. ოთხგუნდა ტურნირის გამარჯვებული კი ოქტომბერში გასამართ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მიიპოვებს.

— აბა, ბიჭებო, რა სარგებლობას გვაძლევს ტურნირი?

— მადლობა უეფას, რომ მოყვარულებსაც მოგვეცა უფლება საერთაშორისო მატჩები ვითამაშოთ.

— კიდევ რა სარგებლობას გვაძლევს?

— კიდევ, თუ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ, მაშინ ევროპაზე ვითამაშებთ.

— ამისათვის კიდევ რა უნდა ვქნათ?

— დღეს თურქ მარმარებს (მარმარა, უბანი ყოფილა ასეთი სტამბოლში) აუცილებლად უნდა მოვუგოთ.

— ვითომ?

— რატომაც არა, თუ ჩვენს მიერ დამარცხებულმა აზერბაიჯანელებმა მოუგეს თურქებს, ჩვენ რითი ვართ ნაკლებნი?

— შესაძლოა პრობლემა გქონდეთ. პირველ ორ ტურშიც საშინელ ხვატში გიწიათ თამაშმა. უეჭველია, ახლაც ასე იქნება. დღეს, დასკვნით ტურში, ხომ პირველი თბილისი — მარმარაა?

— მივეჩვიეთ, ეგ უკვე ჩვენთვის პრობლემა არაა, ჯობს, თურქებმა იკითხონ. მათ ძირითადის ორი კაცი არ ეყოლებათ. ეს უკვე დიდი ფორაა.

— ფორა მასე იმავე თურქებმა კვირას თანამორწმუნე აზერბაიჯანელებსაც კი მისცეს დასაწყისში, მაგრამ რა ხეირი, მაინც წააგეს.

— გურჯებს გავამწარებთო, ბაქოელებთან წაგებით თავჩაღუნულებმა ჩაილაპარაკეს.

— ვითომ, ჰა ბურთი და ჰა მოედანი, ვნახოთ ვისი აჯობებს...

იუმორი იქით იყოს და დღეს ჯონი ჯანელიძის შეგირდებს მართლაც გადამწყვეტი მატჩი ელით, დაძლევენ ქართველი მოყვარულები თურქთა ბარიერს, მაშინ გზა ხსნილია — ჯანელიძე და კომპანია ევროპაზე ითამაშებენ. ჩვენებისთვის ფრე საკმარისი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ აზერბაიჯანელები და რუსებიც ერთმანეთს დაუზავდებიან, არადა...

პირველი ტურის მატჩებზე რა უნდა ვთქვა, ქართველებმა მეზობელი აზერბაიჯანელები ლევან გვაზავას მე-10 წუთზე გატანილი კინკილა გოლით დაამარცხეს. ამ დღეს კი უკეთესი შთაბეჭდილება მეორე მატჩის მონაწილეებმა დატოვეს. ორივე გუნდის ფეხბურთელები, ეტყობა, ფიზიკურად ჯანზე არიან, თორემ როგორც თურქებმა, ისე რუსებმაც მთელი 90 წუთი ისე ირბინეს, ბევრ პროფესიონალსაც კი შეშურდებოდა.

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

გიორგი გაბიდაურმა (№7) და ჯონდო ტილკავაშვილმა რუსებთან გოლის გატანით ძლიერ გაიხარეს

შედარებით მიმზიდველი სანახაობანი კი მეორე დღეს იყო. ორივე მატჩში მომენტები საკმაოზე მეტი შეიქმნა. სულ 8 ბურთი კი გავიდა, მაგრამ ბარე ორი ამდენი გააცუდეს. არაპროფესიონალიზმს და მოყვარულობას რა ვუთხრა, თორემ ისეთი მომენტების არ თუ ვერ გამოყენება, როდესაც პირისპირ რამდენჯერმე დარჩები მეკარესთან, ანდა კარის ჩარჩოში გინდა ახლოდან, გინდა შორიდან ვერ მოარტყამ, იქნებოდა?

ხომ გახსოვთ თურქი მსაჯები. 1993 წლიდან მოყოლებული, როდესაც „დინამო“ ჩემპიონთა თასზე ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს“ ეთამაშებოდა, ისინი რატომღაც ქართველებს არ გვწყალობენ.

ახლაც ასე იყო. ქართველებისა და რუსების პაექრობას თურქი ალი კორასი სჯიდა. მან იმდენი ქნა, „თბილისის“ მწვრთნელი ჯონი ჯანელიძეც კი გააცოფა. მას აღშფოთების დამალვა არც უცდია, აშკარა თერმომეტრიანი არ დანიშნაო. არადა, ნამდვილად ასე იყო. ალი კორასის სუსტი მსაჯობა უეფას დელეგატმა, სლოვაკმა პეტერ ჟიდოვსკიმაც აღნიშნა.

სამაგიეროდ, ყოველივე ამის ფონზე „არ დაინდო“ თურქები ქართველმა არბიტრმა ზურაბ ანიაშვილმა. მან საქართველოს მსაჯთა შეფის ანატოლი მილჩენკოს ქებაც დაიმსახურა, ხუთიანზე იმსაჯა, ისე სჯიდა მატჩს, ვითარცა ნამდვილი პროფესიონალი. ესეც ხომ საქმეა.

ანიაშვილის წყალობით დღეს გურჯებთან სათამაშოდ თურქები ორ წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებენ — არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას აღნაგობისმაგვარ აიდინ ტაბაკს (ტურნირზე მეორე გაფრთხილების გამო) და აზერბაიჯანელებთან გაძევებულ ჩემილ იბისს.

ჩვენებს „იუგთან“ მოგება თავისუფლად შეეძლოთ, ქართველთათვის აქამდე დაუძლეველი ორბურთიანი სხვაობაც გაქვითეს, მაგრამ...

ჰო, მოყვარულთა ტურნირზე ჯერჯერობით საუკეთესო ბურთი გავიდა. ლამაზი გოლის ავტორი კვირას, ეროვნულზე ბაქოელი ანარ სალმანოვი გახდა. მან ორმოციოდე მეტრიდან საჯარიმო დარტყმა ისეთი სიძლიერით დაქუხა, ბურთი ტყვიასავით შეფრინდა თურქი მეკარის, ყარამანის კარში. ეს იმდენად მოულოდნელი იყო ტრიბუნებზე მსხდომთათვის და თავად სალმანოვისთვისაც, რომ „საწყალს“ რა ექნა, არ იცოდა. სად აღარ გაიქცა, პაიჭაძის სტადიონს კინაღამ წრეც დაარტყა.

ერთი სიტყვით, ასეა. დღეს ბოლო ტურია. მატჩები „შევარდენის“ სტადიონზე შედგება, 15 საათსა და 30 წუთზე: თბილისი — მარმარა, 19 საათზე: ბაქო — იუგი.

გიორგი ვაშაკიძე

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

ლევან გვაზავას (№10) ამ დარტყმულს აზერბაიჯანელთა კარში გოლი მოჰყვა

ორი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასე გამოიყურება:

თბილისი	2	1	1	0	3:2	4
ბაქო	2	1	0	1	3:2	3
იუგი	2	0	2	0	3:3	2
მარმარა	2	0	1	1	2:4	1

ოლიმპიკის პიკი

მიხეილ მესხის თასის ფინალი

ოლიმპიკი 3:1 დინამო 84

1:0 სამხარაძე (29), 2:0 ბუჯიაშვილი (36პ), 2:1 სახოკია (63), 3:1 ბუჯიაშვილი (68პ)
გაფრთხილება: ცხოიძე (ოლიმპიკი), ჭელიძე, ბეღელური (ორივე დინამო)
გაძევება: გუშარაშვილი (46, ოლიმპიკი)

რამდენიმე წელიწადია, საქართველოში სახელგანთქმული ფეხბურთელის, მიხეილ მესხის სახელობის თასის გათამაშება ტარდება ჭაბუკთა შორის. ეს ტურნირი, ფაქტობრივად, ბავშვთა ქვეყნის არაოფიციალურ ჩემპიონატადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მასში საქართველოს თითქის ყველა კუთხის გუნდები მონაწილეობენ.

შაბათს „ეროვნულ“ სტადიონზე თასის ფინალი შედგა. ერთმანეთს „ოლიმპიკი“ და „დინამო 84“ დაუპირისპირდნენ. მატჩი ორი 40-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. იგი შემოდგომაზე იწყება და უმეტესწილად გაზაფხულის მიწურულს მთავრდება ხოლმე

თამამად შეიძლება ითქვას, 1983-84 წელს დაბადებულ ჭაბუკთა თამაში სანახობრივი თვალსაზრისით ეროვნული ჩემპიონატის პირველი ჯგუფის მატჩებს თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა. ბიჭები თავს არ ზოგავდნენ, ბევრს იბრძოდნენ და საკმაოდ გონებამახვილური კომბინაციებიც გაითამაშეს, თუმცა ერთი რამ მაინც ნათლად ჩანდა — ფეხბურთელები უმეტესწილად ინდივიდუალური თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას, რაც ბავშვთა ფეხბურთს ყოველთვის ახასიათებს.

თამაში „ოლიმპიკის“ უპირატესობით დაიწყო და ბოლომდე ასე გაგრძელდა. მათ თავიდანვე პრესინგი შესთავაზეს მეტოქეს. „დინამო“ ამისთვის მზად არ აღმოჩნდა და ამ მარწუხებისგან დაძლევა ძალიან გაუჭირდა. თენგიზ სულაქველიძის შეგირდები კარგა ხანს ცენტრს ვერ გადასცდნენ, პირველი სახიფათო მომენტი კი 25-ე წუთზე შექმნეს, როდესაც მთ შორის საუკეთესო სახოკია მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთი მაინცდამაინც მას გაარტყა. ამ დროს ანგარიში 0:0 იყო, მაგრამ 2:0 რომ ყოფილიყო, უფრო ლოგიკური იქნებოდა. რადგან ჯერ ცერცვაძემ გაარტყა ბურთი „დინამოს“ კარის ხარიხას, შემდეგ კი ცხოიძემ და სამხარაძემ ვერ გამოიყენეს ძალიან რეალური მომენტები, დინამოელები ორჯერვე მეკარე ნადირაშვილმა იხსნა, თუმცა 29-ე წუთზე ისიც ვერას გახდა. ირაკლი სამხარაძემ, რომელიც თანგუნდელებში აშკარად გამოირჩეოდა, ბოლომდე იბრძოდა, დაკარგული ბურთი დაიბრუნა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. დაწინაურებული „ოლიმპიკი“ არ მოეშვა და შეტევები განაგრძო. 36-ე წუთზე კი მატჩის ბედიც თითქის გადაწყვიტა. საჯარიმოში შეჭრილ ქოქიაშვილს შალამბერიძე უხეშად ეთამაშა და შილაკაძემაც უყოყმანოდ პენალტი დანიშნა, რომელიც ბუჯიაშვილმა ზუსტად შეასრულა — 2:0.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ოლიმპიკი“ ათი ფეხბურთელით დარჩა მინდორზე. სახოკია მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ გუშარაშვილმა მისურაზე დაქაჩა და წითელი ბარათიც მიიღო. რიცხვნაკლულობის მიუხედავად, ოლიმპიკელთა უპირატესობა მაინც იგრძნობოდა, თუმცა 63-ე წუთზე მეტოქის შეტევა გაეპარათ და სახოკიამაც ანგარიშში სხვაობა შეამცირა. „დინამოს“ მატჩის გადარჩენის იმედი მიეცა, მაგრამ ზუსტად ხუთ წუთში ცხოიძემ ჩინებული გარღვევა განახორციელა, მეკარესთან პირისპირაც გადიოდა, მაგრამ მცველებმა წააქციეს და მეორე პენალტითაც დაისაჯნენ. ბუჯიაშვილმა ისევ უნაკლოდ დაარტყა და „ოლიმპიკმაც“ დამსახურებული გამარჯვება იზეიმა.

მატჩის შემდეგ გამარჯვებულებს მახეილ მესხის თასი მანუჩარ მაჩაიძემ გადასცა. „დინამო 84“ კი გულს ნუ გაიტეხს, ამ გუნდმა ერთი წლით უფროს ოლიმპიელებს მართლაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

ვანო ოქროპირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებანი გარდასულ დღეთა

დინამო 3:2 სსრკ

0:1 ზანაზანიანი (27პ), 1:1 ლ. ნოდია (53), 2:1 კორლალიძე (65), 2:2 იაკუბიკი (70), 3:2 ცაავა (78)

დინამო: გოგია, გ. მაჩაიძე (მჭედლიშვილი 41), მუჯირი, კოსტავა (გ. მაჩაიძე 55), ჩიქოვანი, ქორიძე (რუხაძე 41), კორლალიძე, შენგელია (ცაავა 41), არზიანი, მ. მაჩაიძე, ლ. ნოდია

სსრკ: დასაევი, კეტაშვილი, ჩივაძე, ხიდიატულინი, სულაქველიძე, მესროფიანი, სუჩილინი, ესკოვი (გ. ჯიშკარიანი 41), ზანაზანიანი, ნიკონოვი, იაკუბიკი

გაფრთხილება: კეტაშვილი (34)

მსაჯი: ა. მელჩენკო

ასეთ თამაშებზე შეიძლება რომანი დაიწეროს, ან... სრულიად არაფერი. ჩვეულებრივ, როცა საიუბილეო თამაშები იმართება, შოუდ და ბენეფისად აქცევენ ხოლმე ყოველივე იმას, რაც მოედანზე ხდება. მანუჩარ მაჩაიძის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მატჩი არც შოუ გახლდათ, არც ბენეფისი — ეს იყო ჭეშმარიტად გარდასულ დროთა გახსენება, ტკბილი მოგონება იმისა, რასაც ძველი, რომანტიკული, საყვარელი ფეხბურთი ჰქვია.

შეუძლებელია, წერო ამ მატჩზე და იმ მომენტებზე, რომელსაც ვეტერანები მინდორზე ქმნიდნენ. მართალი ვითხრათ, მაყურებელი ამაზე ნაკლებად ფიქრობდა, ნაკლებად იცლიდა ქომაგობისთვისაც — გულშემატკივრისთვის მთავარი გახლდათ, რომ მოედანზე მანუჩარი, ჩივაძე, სულაქველიძე, შენგელია, დასაევი (მომიტევონ სხვებმა — ყველას ვერ ჩამოფვლი კაცი) იდგნენ და... ამით ყველაფერია ნათქვამი.

ყველა მოწვეული არ ჩამოვიდა. მათი ყოფნით ბევრი რამ კი მიემატებოდა იუბილეს, მაგრამ დაკლებით, არაფერი დაკლებია — ის, რაც ხალხს სურდა, ის, რაც იუბილარს უნდა მიეღო, მოხდა, ასრულდა. იყო ტაში, მილოცვები, ჩახუტება, მონატრებაც იყო.

მატჩი იმანაც გაალამაზა, რომ გუნდებმა აშკარად მოგებაზე ითამაშეს. ეს არ გახლდათ იმ შეხვედრათაგანი, რომელსაც მონაწილეები ფრედ ამთავრებენ. თავდაპირველად ნაკრების ხალხი დაწინაურდა ზანაზანიანის პენალტით, მაგრამ მერე „მანუჩარელებმა“ გვარიანად გაიბრძოლეს და დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ცაავამ ულამაზესად „შეუსრულა“ დასაევს ცაციათი.

ქართული ფეხბურთი იყოს კარგად და მოსაგონარის მეტი რა გვაქვს — მანუჩარისავე დარტყმები, კოსტავას „პადკატი“ (ერთხელაც ვნახეთ), დასაევის მართლაც რომ ოსტატობა, სულაქველიძის „ბეჭი“... რამდენი რამ მოგვნატრებია.

ერთიღა მოხვდა გულს მტკივნეულად — თითქმის ცარიელი იყო ტრიბუნები. ან რეკლამა დააკლდა ამ შეხვედრას, ანაც... არ ვიცი, რა უნდა ეწოდოს ამას. რა ყოველდღე გაიმართება მანუჩარ მაჩაიძის იუბილისადმი მიძღვნილი მატჩი? იქნებ ჩივაძის და ცაავას, დასაევის და ხიდიატულინის, იაკუბიკის და სულაქველიძის, შენგელიას და კოსტავას ხილვის საშუალება მიეცემა მაყურებელს წელიწადი-თორმეტი თვე?! არ ვიცი, არ ვიცი. ამის მერე ვერც გავრილოვს ან ვინმე სხვას უსაყვედურებ ჩამოუსვლელობას.

აბა, ღიმილის და იუმორის გარეშე რა იქნება და ხალხი ერთმა რამემაც ამხიარულა — ქართველი ვეტერანების (უმეტესობის) პატივცემული ღიპები გაცილებით სჭარბობდნენ ყოფილ საბჭოელთა იგივე ატრიბუტს — ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო. რა-რა და, ნაქები რეაქცია ამდაც დაეკარგათ ქართველ ვეტერანებს, თუმცა მატჩის შემდგომ ბანკეტზე ეგებ უპირატესობაც ყოფილიყო ყოველივე, ვინ იცის...

შეხვედრა რომ „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრდა, ამაში ლომის წილი მანუჩარის შემდგომი თაობის დინამოელებმა შეიტანეს — კორღალიძემ, არზიანმა, ცაავამ, ჩიქოვანმა გაცილებით გვიან მიატოვეს ფეხბურთი სხვებთან შედარებით და აკი მათმა ახალგაზრდულმა მუხლმა გაჭრა შეხვედრის ბოლოს.

დასაევის მშობელმა იტრაბახოს, მეკარე გაგვიზრდიაო, რომ არა ეს დიდებული მეკარე, ანგარიში უფრო სხვანაირი იქნებოდა. მერე როგორ გამოდიოდა ბურთზე?! სად იყო იოჰან ბოსკამპი, თორემ ეგებ საქართველოს ნაკრებშიც მიეწვია.

ორმოცწუთიანი ტაიმები ზუსტად ოთხმოც წუთს კი გაგრძელდა, მაგრამ უკმარისობის გრძნობა მაინც დარჩა — ასეთი რამ ხომ ყოველთვის არ ხდება და კიდევ როდის ვიხილავთ ამგვარს, არავინ იცის.

კარგად მესმის იმ ახალგაზრდებისაც, ვინც ვეტერანთათვის დამახასიათებელ დუნე ტემპს ვერ გაუძლო და დროზე ადრე მიატოვა სტადიონი — მათთვის ხომ მანუჩარი და მისი თაობა შორია, ძალიან შორი.



ნუგზარ კეთილაძის ფოტო

რინატ დასაევის კარის დალაშქვრას რამაზ შენგელიას ვაგიზ ხიდიატულინი არ ანებებს



ნუგზარ კეთილაძის ფოტო

იუბილარი მანუჩარ მაჩაიძე

მატჩის შემდეგ

მანუჩარ მაჩაიძე:

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო დღევანდელ შეხვედრაში — სტუმრებს, თანაგუნდელებს, საერთოდ ყველას, ვისაც კი მწვანე მინდორზე ბურთის სათამაშოდ შევხვედრივარ. მინდა მადლობა ვუთხრა მაყურებელსაც, რომელმაც დრო გამონახა და ამ პირობებშიც კი შეძლო სტადიონზე მოსვლა.

— ჩვეულებრივ ასეთ მატჩებს ნოსტალგიის გრძნობაც სდევს თან...

— რა თქმა უნდა, ესეც არის. ფეხბურთი ხომ მთელი ჩემი ცხოვრებაა. განა მარტო ჩემი, იმათიც, ვინც დღეს პატივი მცა და ჩემს საიუბილეო თამაშში მონაწილეობა მიიღო. ამ დროს უამრავი რამე გახსენდება კაცს — კარგიც, ცუდიც. მაგრამ ცუდს მაინც ტკბილად მოსაგონარი ამეტებს.

— ვისაც ელოდით, ყველა ჩამოვიდა?

— სამწუხაროდ, ყველა არა. ალბათ, ჰქონდათ ობიექტური მიზეზი და ვერ შეძლეს ჩამოსვლა. მაყურებლის პოზიციიდან გამომდინარე, ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ ყველა სტუმარი ვერ ვიხილეთ დღეს მინდორზე, მაგრამ რვა კაცი მაინც მეწვია.

— ალბათ, ჩივაძის, სულაქველიძის და სხვა ქართველების სსრკ ნაკრებში თამაშიც ამან გამოიწვია...

— ასეა, ის კი არა, ერთი ხანი ვიფიქრე — მეც სსრკ-ს გუნდში გამოვსულიყავი, მაგრამ... ასე სჯობდა — მანუჩარ მაჩაიძე ჯერ დინამოელი იყო და მერე სხვა გუნდის, თუნდაც ნაკრების მოთამაშე.

— დიდი მადლობა და კიდევ ერთხელ გილოცავთ.

რინატ დასაევი მატჩის შემდეგ ქართველი ჟურნალისტების ალყაში კი მოექცა, მაგრამ თავაზიანად უარი თქვა ხანგრძლივ ინტერვიუებზე და, ბუნებრივია, ჩვენც ერთი-ორი შეკითხვით შემოვიფარგლეთ:

— როგორც წესი, არ აკლდებით ხოლმე ამგვარ თამაშებს...

— აბა, როგორ შეიძლება სხვანაირად. ამით ასიამოვნებ არა მარტო იუბილარს, მაყურებელსაც. ამით პატივს მიაგებ ფეხბურთს — თამაშს, რომელიც პირადად ჩემთვის და სხვებისთვისაც მთელი სიცოცხლეა. მე დიდ პატივს ვცემ მანუჩარს — როგორც პიროვნებას, როგორც ფეხბურთელს და მის ბენეფისზე ჩამოსვლას დაუყოვნებლივ დავთანხმდი.

— მაყურებელს ახსოვს პლატინის გამოსათხოვარი მატჩი, როცა თქვენ გოლი არ გაატანინეთ პლატინის ვაჟს — პატარა ლორან პლატინის...

— იცით, ასეთი მატჩები მსუბუქ ხასიათს კი ატარებს, მაგრამ მეკარისთვის გოლის გაშვება ნებისმიერ სიტუაციაში უსიამოვნო ფაქტია. ამიტომ არც მაშინ და არც მერე გართობაზე არ მიფიქრია — მე კარში დგომისას ერთი რამ მამოძრავებს, რაც შეიძლება ცოტა ბურთი გავუშვა და ჩემთვის საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, ვინ ურტყამს — პლატინი თუ მისი ბავშვი. ეს შეიძლება ბევრმა ვერ გაიგოს, მაგრამ თავად სწორად მიმაჩნია.

— აკი დღესაც არ გააატანინეთ იუბილარს...

—არადა, როგორ ეცადა?! ხომ შეამჩნიეთ, რა სიძლიერით ურტყამდა ბურთს. ორჯერ ძალიან გამიჭირდა...

ლევან ნოდია:

— კარგია რომ ნელ-ნელა ვუბრუნდებით ფეხბურთს, ვიბრუნებთ ფეხბურთისადმი პატივისცემის გრძნობას, ყოველთვის მსიამოვნებს ასეთ მატჩებში მონაწილეობა. ერთია, მაყურებელს სინაკლულე მეცა თვალში.

— გოლის გატანა გინდოდათ — აშკარად ჩანდა.

— ფეხბურთს ამიტომ ვთამაშობდი და ახლა რა შემცვლიდა. თუ შეამჩნიეთ, ის ბურთი ისედაც გადიოდა, მაგრამ შანსი არ გავუშვი და მე გავიტანე.

კონსტანტინე გოგიშვილი

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

რინატ დასაევი

ნუგზარ კეთილაძის ფოტო

ვეტერანებმა, ცხადია, სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს

ერთვანლა ბიბლიოთეკა

ეს ერთი კვირაც და...

ესპანეთი

XXXVII ტური

ტენერიფე 3:2 ვალენსია

0:1 ანგულო (3), 1:1 პიერი (32), 2:1 მაკაი (59), 3:1 პიერი (70), 3:2 კ. ლოპესი (87პ)

ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, ბალესტეროსი, ლუსენბოფი (ლორენი 67), ბასავილბასო (ხავი ლოპესი 57), დანი, ემერსონი, პიერი (ხუანელე 74), პინილია, მისტა, მაკაი

ვალენსია: კანისარესი, კარბონი, როში (იანდრო 70), ანგლომა, სორია, მენდიეტა (პოპესკუ 51), ფარინოსი, მიია, კ. ლოპესი, ვლაოვიჩი (ხუანფრანი 37), ანგულო

გაფრთხილება: ლორენი, ემერსონი, მისტა, კარბონი, კ. ლოპესი, სორია

გაძევება: სორია (36), ბალესტეროსი (86)

მსაჯი: პერეს ბურული

მალიორკა 2:0 სელტა

1:0 იბაგასა (34), 2:0 სტანკოვიჩი (92)

34-ე წუთზე დანიმ (მალიორკა) ვერ გაიტანა პენალტი

სასტარტო შემადგენლობა

მალიორკა: როა, მ. სოლერი, სივიერო, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა, სტანკოვიჩი, ფ. სოლერი, კარლოსი, დანი, არპაინო

სელტა: პინტუ, მიჩელ სალგადო, ოსკარ ვალესი, ჯოროვიჩი, ხოსემა, ტომასი, კარპინი, მაკელელე, რევივო, პენევი, სანჩესი

მსაჯი: ანსატეგი როჩა

ბილბაო 5:0 ალავესი

1:0 ხოსე მარი (27), 2:0 ხ. ეჩებერია (67), 3:0 ხავი გონსალესი (69), 4:0 ურსაისი (87), 5:0 ხოსეტე (89ს.კ.)

ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ლარასაბალი, ლაკრუსი, ფერეირა, ურუტია, ი. გერერო (ურსაისი 72), ხოსე მარი (ხავი გონსალესი 61), ალკისა (იესტე 81), ესკუერო, ხ. ეჩებერია

ალავესი: კიკე, ალფონსო, კარმონა, ალბისტეგი, ბელსუე (ვიტამინა სანჩესი 56), ხოსეტე, პაბლო გომესი (ასკოიტია 68), ხერარდი, დესიო, სივორი, სალინასი (კანაბალი 68)

გაფრთხილება: ლარასაბალი, ურუტია, ხოსე მარი

მსაჯი: გარსია არანდა

ბარსელონა 4:1 ბეტისი

1:0 კოკუ (24), 2:0 რივალდო (26პ), 3:0 ფიგუ (30), 4:0 სელადესი (76), 4:1 ოლი (81)

ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო, სერხი, ფ. დე ბური, ფიგუ, სელადესი, კოკუ (როხერი 46), რ. დე ბური, ლუის ენრიკე (ჯოვანი 59), რივალდო, კლუივერტი (ოსკარი 46)

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მერინო, ოლიასი, ფილიპესკუ, კანიასი, ბენხამინი (ალექსისი 54), ფინიდი, ალფონსო (ურენია 54), დენილსონი, გალვესი (ოლი 64)

გაფრთხილება: სელადესი, ლუის ფერნანდესი

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

ვილიარეალი 3:0 რასინგი

1:0 კრაიოვეანუ (3), 2:0, 3:0 ალფარო (44, 61პ)

ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტელესი, ტაშვესკი, გარსია სანხუანი, რობერტო, დიასი, ხერარდო, კრაიოვეანუ (ალბერტო 67), კრისტიანსენი (ვალტერ გაიტანი 89), ალფარო (მოიზესი 83)

რასინგი: სებალოსი, მელბერგი, არსენო (ჩემა 66), სიეტესი, ტაისი, ისმაელი, ვიქტორი, შუსტიკოვი (ნერუ 46), ამავისკა, სალვა (ბუსჩასტნიხი 46), მუნიტისი

გაფრთხილება: ხერარდო, სებალოსი, არსენო, სიეტესი, ტაისი

მსაჯი: ბრიტო არსეო

ოვიედო 3:2 სალამანკა

0:1 ბარბარა (6), 1:1 დელი ვალდესი (24პ), 1:2 სეგარა (27), 2:2, 3:2 დელი ვალდესი (46, 90)

ოვიედო: მორა, რაბანიროვი, მორენო, სეზარი, ივან იგლესიასი (დუბოვსკი 46), ბერტო (ხაიმე 63), პომპეი (ამიეგა 46), პაულო ბენტო, ონოპკო, დელი ვალდესი, მიოლერი

სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლორენი, სეგარა (ტომასი 89), ტაირა (როხერიო 70), ედუ ალონსო, რედერო, ბარბარა (კასარტელი 70), ველისკა, სილვანი

გაფრთხილება: მორენო, სეზარი, ტაირა, რედერო

მსაჯი: პრადოს გარსია

სოსიედადი 1:2 ესპანიოლი

1:0 დე პედრო (34), 1:1, 1:2 გალკა (46პ, 75პ)

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი, ლორენი (დე პაულა 57), პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, დე პედრო, არამბურუ (ადეპოიუ 80), სა პინტუ (კუხბაუერი 79), კოვაჩევიჩი, იდიაკესი

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, სერხიო, ივან ელგერა, გალკა, პაჩეტა, არტეაგა (დე ლუკასი 46), კაპდევილა, დარიო სილვა (ბენიტესი 70), ტამუდო (მარტინ პოსე 85)

გაფრთხილება: გომესი, ლორენი, კრისტობალი, გალკა, პაჩეტა, ბენიტესი, ტამუდო

გაძევება: გომესი (75)

მსაჯი: კარმონა მენდესი

დეპორტივო 1:1 ესტრემადურა

0:1 სოტო (25), 1:1 ტურუ ფლორესი (57)

დეპორტივო: სონგო, რომერო, შურერი, მანუელ პაბლო, რამოსი, ჯალმინია, ჰაჯი (მანხარინი 71), ზიანი, დონატო, ჰაულეტა, ტურუ ფლორესი

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, კალა, სოტო (ხუანიტო 77), ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ვიოდო, ტონი ველამასანი (მანელი 63), დურე (გაბრიჩი 71), ესპოზიტო

გაფრთხილება: შურერი, ჰაჯი, დონატო, ფელიქსი, ესპოზიტო

გაძევება: ფელიქსი (90)

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

ატლეტიკო 3:1 რეალი

1:0 ხოსე მარი (7), 1:1 მორიენტესი (29), 2:1 ლარდინი (45), 3:1 ჟუნინიო (76)

ატლეტიკო: მოლინა, ტონი, აგილერა, ხელი, ტორიზი, სერენა, ჟუნინიო, ლარდინი (მენა 71), ვალერონი (სოლარი 66), ბეიბლი (რობერტო 80), ხოსე მარი

რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო (გუტი 25), სანჩისი, ივან კამპო, ზეედორფი (სავიო 66), ხაიმე, კარემბუ, რაული, მიატოვიჩი (იარნი 75), მორიენტესი

გაფრთხილება: მოლინა, ტონი, სერენა, ლარდინი, ბეიბლი, სანჩისი, ხაიმე, რაული

მსაჯი: ბუენო გრიმალი

ვალიადოლიდი 1:1 სარაგოსა

0:1 ჯამელი (46), 1:1 კამინერო (60)

ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი (დუტული 80), გარსია კალვო, პენია, ჩემა, ვისკაინო (ვიქტორი 72), ტურიელი, კამინერო, ორლანდო, პეტერნაკი, ემილიო (ალბერტო 59)

სარაგოსა: ხუანმი, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი (სოლანა 72), პაკო, გარიტანო (ვუტერი 72), ხოსე იგნასიო, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ჯამელი (იორდი 72), მარკოს ვალესი

გაფრთხილება: გარიტანო, ხოსე იგნასიო, ტორო აკუნია, ჯამელი

მსაჯი: ჯაპონ სევილია

REUTERS მადრიდიდან

სამეფო კლუბის მძლეველი „ატლეტიკოს“ ფეხბურთელები

ბოლოსწინა ტურმა ორი გავარდნილი კლუბი გაარკვია — „სალამანკა“ და „ტენერიფე“ მომავალ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში ითამაშებენ.

თუ ცხრილის ფსკერზე ასე თუ ისე სიტუაცია ნათელია, იქ, სათავეში, ყველაფერი გაურკვეველია. ჩემპიონთა თასის გათამაშების დარჩენილი სამი საგზურისთვის პრეტენზიას ერთბაშად ხუთი კლუბი აცხადებს. ასე იყო თითქმის ორი თვის წინ და ასეა ახლაც.

ამ ტურში ორი პრინციპული შეხვედრა შედგა — თასების მფლობელთა თასის უკანასკნელი გათამაშების ფინალში დამარცხებული „მალიორკა“ უშუალო კონკურენტ ვიგოს „სელტას“ მასპინძლობდა, მადრიდში, „ესტადიო ვისენტე კალდერონზე“ კი „ატლეტიკომ“ დედაქალაქურ დერბიში „რეალი“ მიიღო.

მადრიდული დაპირისპირება შაბათს შედგა. გამარჯვების შემთხვევაში „რეალი“ ლიგაში ასპარეზობასაც დაიბრუნებდა და ვიცე-ჩემპიონობაზეც საფუძვლიან პრეტენზიას განაცხადებდა, „ატლეტიკო“ კი, თუ დამარცხდებოდა, აუტკივებელ თავს კიდევ ერთი ტურით აიტკივებდა.

„ატლეტიკომ“ ბოლო შვიდი წლის მანძილზე პირველად დაამარცხა „რეალი“ და ყველა პრობლემა გადაჭრა. სტუმრებმა კი კიდევ ერთხელ შეიარცხვინეს თავი.

ამ გუნდების დაპირისპირება, როგორც წესი, დაძაბულია. ასე იყო ახლაც. მეტოქეთ თავიანთი მიზნების ასრულება ეწადათ და საამისოდ მზად იყვნენ, ყველაფერი გაეღოთ. როგორც თამაშმა აჩვენა, „ატლეტიკო“ მეტოქეზე გაცილებით მობილიზებული აღმოჩნდა — აჯობა „რეალს“ და დამსახურებულადაც იმარჯვა.

სამეფო კლუბის დაცვა, თუ ამას დაცვა შეიძლება უწოდო, მთელი სეზონის მანძილზე საშინლად თამაშობს და არც ამ მატჩში გამოუჩენია თავი — „ატლეტიკოს“ წინახაზელებს ბოდო ილგნერის კართან მიახლოება და გვარიანი ხიფათის შექმნა არ უჭირდათ, სამ შემთხვევაში კი მიზანსაც მიაღწიეს.

ულამაზესი გამოდგა ხორდი ლარდინის გოლი — პირველი ნახევრის მიწურულს, როცა ანგარიში 1:1 იყო, 27 წლის თავდამსხმელმა, თანაგუნდელის მიერ სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს უძლიერესად მოქნეული მარცხენა შეაგება და თვალწარმტაცი გოლი გაიტანა — 2:1. მეორე ნახევარში „ატლეტიკოს“ ბრაზილიელმა გამთამაშებელმა ჟუნინიომ ასევე ლამაზი გოლი შეაგდო და მასპინძელთა უპირატესობა ორ ბურთამდე გაზარდა.

— რთული სეზონი იყო და მოხარული ვარ, რომ პრობლემები გადავჭერით. ახლა შეგვიძლია, შვებით ამოვისუნთქოთ, ცოტათი დავისვენოთ და მომავალი სეზონისთვის მზადებას შევუდგეთ. ის, რაც „ატლეტიკოს“ ამ ჩემპიონატში დაემართა, აღარ უნდა განმეორდეს — განაცხადა „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა, ხესუს ხილი ხილმა. თუ ესპანურ პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებებს მოვიშველიებთ, „ატლეტიკო“ ზაფხულში ახალი ფეხბურთელების შესაძენად 50 მილიონ დოლარამდე დახარჯავს.

ამ მარცხით „რეალმა“ ერთობ გაიუარესა მდგომარეობა — უკანასკნელ ტურში ლა კორუნიას „დეპორტივოს“ მასპინძლობს, სტუმრები კი, სამეფო კლუბის დარად, ჩემპიონთა თასზე ასპარეზობის პრეტენდენტები არიან და იოლად არაფერს დამობენ.

თავის მხრივ „დეპორტივომ“ კვლავ წაიფორხილა — ალბათ, გახსოვთ, წინა ტურში ლა კორუნიელებმა სანტანდერის „რასინგი“ ვერ დაამარცხეს. ახლა კი ვერც კიდევ ერთი მაჩანჩალის „ესტრემადურას“ ძლევა შეძლეს. მოგებას ვინღა ჩივის, მასპინძლებს ქულის გადარჩენაც გაუჭირდათ — „ესტრემადურამ“ რომ ვერ მოიგო, მასპინძელთა კამერუნელი მეკარის ჟაკ სონგოს დამსახურებაა. ლაკორუნიელთა პრეზიდენტმა აუგუსტო სეზარ ლენდიორომ ჟურნალისტებთან დაიჩივლა — სამწუხაროა, ასეთ მნიშვნელოვან მატჩებში რომ ვკარგავთ ქულებს, შეიძლება საერთოდაც ჩემპიონთა თასის გათამაშების მიღმა დარჩეთო.

ჩემპიონთა ლიგისთვის მებრძოლი ხუთეულის ორმა წევრმა — „რეალმა“ და „დეპორტივომ“ შაბათს ითამაშეს, მეორე დღეს, ანუ კვირას „მალიორკა“ „სელტას“ იღებდა, ხუთეულის ბოლო წევრი „ვალენსია“ კი „ტენერიფეს“ სტუმრობდა.

„მალიორკა“ თასების მფლობელთა თასის ფინალში კი დამარცხდა, მაგრამ წაგებას ექტორ რაულ კუპერის გუნდზე მაინცდამაინც დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია — კლუბი თამამად მიიწევს დასახული მიზნისკენ, ანუ ჩემპიონთა ლიგაში თამაშისკენ.

დაძაბული შეხვედრა იყო მოსალოდნელი. მეტოქეთა შანსებს თანაბრად აფასებდნენ, მაგრამ „მალიორკამ“ „სელტას“ აჯობა. რატომ? მასპინძელთა წარმატების მთავარი მიზეზი ისაა, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელთა უმეტესობა გადაღლილი იყო — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში „სელტას“ ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა შესაბამისად ნაკრებში დახარჯული ძალები ვეღარ აღიდგინეს და „მალიორკასთანაც“ ვერაფერი გააწყვეს. კი, იყო რამდენიმე სახიფათო შეტევა, ერთი ორჯერ მასპინძელთა არგენტინელმა მეკარე კარლოს რომამაც შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ საბოლოო ჯამში „სელტა“ გადაღლილი გახლდათ.

როცა მასპინძელთა უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბურთი იყო, სტუმრებს კიდევ რაღაცის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ 0:2-ზე ყველაფერს წერტილი დაესვა. ისე, იოვან სტანკოვიჩმა მართლაც შესანიშნავი გოლი გაიტანა — საჯარიმო დარტყმა იმდენად ზუსტად შეასრულა, „სელტას“ „ცოცხალი კედელი“ გაკვირვებული დარჩა.

— ყველაფერი წინაა, ჩემპიონატი დღეს კი არა, ერთი კვირის შემდეგ დასრულდება. სწორედ მაშინ გაირკვევა, ვინ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში — განაცხადა „სელტას“ მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდო ბრაულიომ.

— „ვალენსიასთან“ პრინციპული თამაშის წინ ეს მოგება აუცილებელი იყო. ჩვენ კიდევ უფრო მივუახლოვდით ჩემპიონთა ლიგას. ვფიქრობ, ბოლო ტურში არ უნდა გაგვიჭირდეს — თითქმის მიღწეული მიზნის ასრულება — ეს უკვე მალიორკელთა არგენტინელი მწვრთნელის სიტყვებია.

ბოლო ტურში „მალიორკა“ ვალენსიაში, „ესტადიო მესტალაზე“ მასპინძლებს ხვდება. რა შედეგით დასრულდება თამაში, არავინ იცის. ისე კი გეტყვით, რომ აქამდე „ვალენსიასთან“ სტუმრად ნათამაშევი 11 მატჩიდან „მალიორკამ“ ერთიც ვერ მოიგო.

ლაშა გოდუაძე

მეორე დივიზიონი

II დივიზიონი

XXXXI ტური

ბარსელონა B 4:0 სპორტინგი

1:0 მარიო (6), 2:0 ნანო (9), 3:0 გაბრი (20), 4:0 ბაბანგიდა (37)

ტოლედო 1:2 მალაგა

1:0 ხერადო (25), 1:1 ედგარი (44), 1:2 კატანა (89)

ორენსე 0:2 ნუმანსია

0:1 ხავი მორენო (12), 0:2 ისაკი (24)

ბადახოსი 1:2 ატლეტიკო B

0:1 ტევენტი (24), 1:1 საბინო (33პ), 1:2 სეგუეროსი (37)

რეკრეატივო 2:1 ლეიდა

1:0 პუნტასი (46), 1:1 სეტვალსი (54), 2:1 ლუისი (65)

მერიდა 2:1 ლოგრონიესი

1:0 რუბინო (26), 2:0 ბარატა (47), 2:1 ისმაელი (80)

ალბასეტე 0:1 ეიბარი

0:1 არენასა (83)

სევილია 5:1 კომპოსტელა

1:0 მოია (22), 1:1 ჩანგუ (50), 2:1, 3:1 ცარტასი (52, 71), 4:1, 5:1 ხუან კარლოსი (83, 87)

ლეგანესი 0:2 რაიო ვალეკანო

0:1 როსადო (33), 0:2 ლორენსი (78პ)

ოსასუნა 3:2 მალიორკა B

1:0 ალფრედო (14), 1:1 რამინი (35), 2:1 პალაციოსი (40), 3:1 ტიკო (78), 3:2 ივო (90)

ერკულესი 0:2 ლას პალმასი

მალაგა	41	22	13	6	73:46	79
ატლეტიკო B	41	20	11	10	69:51	71
ნუმანსია	41	20	10	11	65:40	70
რაიო	41	19	13	9	63:48	70
სევილია	41	19	11	11	65:50	68
ტოლედო	41	18	11	12	54:46	65
ლას პალმასი	41	16	17	8	53:37	65
ლეიდა	41	15	14	12	50:48	59
რეკრეატივო	41	14	16	11	40:32	58
კომპოსტელა	41	15	13	13	57:53	58
ოსასუნა	41	15	12	14	44:47	57
სპორტინგი	41	15	11	15	43:45	56
მერიდა	41	14	14	13	46:39	56
ბადახოსი	41	12	14	15	34:38	50
ალბასეტე	41	12	14	15	36:33	50
ლოგრონიესი	41	12	11	18	48:57	47
მალიორკა B	41	12	10	19	51:61	46
ლეგანესი	41	10	16	15	36:44	46
ეიბარი	41	12	8	21	39:56	44
ბარსელონა B	41	13	5	23	50:65	44
ერკულესი	41	9	10	22	35:65	37
ორენსე	41	7	6	28	35:79	27

		სულ							შინ							სტუმრად							
№		თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	
1	ბარსელონა	37	24	7	6	87:41	46	79	19	13	3	3	52:23	29	42	18	11	4	3	35:18	17	37	
2	მალიორკა	37	20	6	11	48:28	20	66	19	14	3	2	30:8	22	45	18	6	3	9	18:20	-2	21	
3	რეალი	37	20	5	12	74:61	13	65	18	13	2	3	43:22	21	41	19	7	3	9	31:38	-7	24	
4	სელტა	37	17	13	7	69:40	29	64	18	12	6	0	46:14	32	44	19	5	7	7	23:26	-3	22	
5	დეპორტივო	37	17	12	8	54:40	14	63	19	11	6	2	33:15	18	39	18	6	6	6	21:25	-4	24	
6	ვალენსია	37	18	8	11	60:39	21	62	18	10	5	3	35:14	21	35	19	8	3	8	25:25	0	27	
7	ესპანიოლი	37	15	13	9	47:37	10	58	18	8	8	2	25:13	12	32	19	7	5	7	22:24	-2	26	
8	ბილბაო	37	16	9	12	49:46	3	57	19	10	5	4	30:17	13	35	18	6	4	8	19:29	-10	22	
9	სარაგოსა	37	15	9	13	55:46	9	54	18	10	3	5	33:21	12	33	19	5	6	8	22:25	-3	21	
10	სოსიედადი	37	14	12	11	46:41	5	54	19	11	5	3	32:17	15	38	18	3	7	8	14:24	-10	16	
11	ბეტისი	37	14	7	16	46:54	-8	49	18	8	3	7	22:22	0	27	19	6	4	9	24:32	-8	19	
12	ვალიადოლიდი	37	12	9	16	33:44	-11	45	19	10	4	5	22:16	6	34	18	2	5	11	11:28	-17	16	
13	ოვიედო	37	11	12	14	40:55	-15	45	19	8	5	6	21:20	1	29	18	3	7	8	19:35	-16	16	
14	ატლეტიკო	37	11	10	16	53:50	3	43	19	8	7	4	37:18	19	31	18	3	3	12	16:32	-16	12	
15	რასინგი	37	10	12	15	41:51	-10	42	18	6	5	7	22:21	1	23	19	4	7	8	19:30	-11	19	
16	ესტრემადურა	37	9	11	17	25:51	-26	38	18	8	3	7	15:20	-5	27	19	1	8	10	10:31	-21	11	
17	ალავესი	37	10	7	20	34:62	-28	37	18	9	4	5	23:16	7	31	19	1	3	15	11:46	-35	6	
18	ვილიარეალი	37	8	11	18	45:61	-16	35	19	6	6	7	29:27	2	24	18	2	5	11	16:34	-18	11	
19	ტენერიფე	37	6	13	18	39:62	-23	31	19	4	9	6	25:29	-4	21	18	2	4	12	14:33	-19	10	
20	სალამანკა	37	7	6	24	28:64	-34	27	18	7	4	7	21:23	-2	25	19	0	2	17	7:40	-33	2	

ბომბარდირები

რივალდო (ბარსელონა)	24
რაული (რეალი)	23
კ. ლოპესი (ვალენსია)	21
მორიენტესი (რეალი)	18

XXXVIII ტური

20 ივნისი

ბეტისი	-	ბილბაო (0:0)
სარაგოსა	-	ბარსელონა (1:3)
რასინგი	-	ვალიადოლიდი (0:0)
ესტრემადურა	-	ვილიარეალი (1:1)
რეალი	-	დეპორტივო (0:4)
სელტა	-	ატლეტიკო (1:2)
ვალენსია	-	მალიორკა (1:0)
სალამანკა	-	ტენერიფე (0:1)
ესპანიოლი	-	ოვიედო (1:1)
ალავესი	-	სოსიედადი (1:2)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

ძალიან მაგარი და არასტაბილური

გერმანია

თასის ფინალი

ვერდერი 1:1 (5:4პ) ბაიერნი

1:0 მაქსიმოვი (3), 1:1 იანკერი (45)

პენალტების სერია: 1:0 ბოდე, 1:1 სალიჰამიჯიჩი, 1:1 ტოდტი (მეკარე), 1:2 დაეი, 2:2 ბოგდანოვიჩი, 2:3 ტარნატი, 3:3 ვიკი, 3:4 იანკერი, 4:4 აილტსი, 4:4 ეფენბერგი (ააცილა), 5:4 როსტი, 5:4 მათეუსი (მეკარე)

ვერდერი: როსტი, ტრარესი, ვიკი, ტოდტი, ვიდნერი, დაბროვსკი (ბოგდანოვიჩი 69), მაქსიმოვი, აილტსი, ჰერცოგი (ვოიტალა 45), ფრინგსი, ბოდე

ბაიერნი: კანი, მათეუსი, ლინკე, კუფური (დაეი 37), ბაბელი, იერემისი (ფინკი 57), ეფენბერგი, ტარნატი, ბასლერი, იანკერი, შოლი (სალიჰამიჯიჩი 84)

გაფრთხილება: იანკერი, ბასლერი, ეფენბერგი, როსტი, ტრარესი, ვიკი

გაძევება: ბასლერი (114)

მსაჯი: აუსტი



REUTERS ბერლინიდან

„ვერდერმა“ ოტმარ ჰიცფელდი ცხარე ცრემლით აატირა

სულ რაღაც ოცი დღის წინ მიუნხენის „ბაიერნს“ დიდი შანსი ჰქონდა, სეზონი ტრიუმფით დაესრულებინა. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი ერთბაშად ორი თასის ფინალში იყო გასული, მაგრამ ორივეში ხელი მოეცარა და საბოლოოდ ჩემპიონობის ამარა დარჩა. არადა, მართლაც დიდი შანსი იყო „ბაიერნს“ ორივე თასი მოეგო. 26 მისს ჩემპიონთა თასის ფინალში მიუნხენელებს გამარჯვებამდე სულ რაღაც ორი წუთი დააკლდათ. შაბათს, ქვეყნის თასის ფინალში კი სულ რაღაც ერთი ზუსტად შესრულებული პენალტი. გერმანელებმა ორივე მატჩი იმ ტროს დამეს, როცა, როგორც წესი, იგებენ-ხოლმე. ამის მიზეზი თვით კლუბის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერისთვისაც გაუგებარია: „ვერ ვხვდები, რა ხდება. გუნდის თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ბოლოს საშინლად იმედგაცრუებული ვრჩები.“

12 ივნისს ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი“ პირთამდე შეივსო. 75 841 მაყურებელი ადევნებდა თვალს გერმანიის თასის 56-ე ფინალს, რომელშიც „ბაიერნი“ და „ვერდერი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს. როგორც შაბათს „სარბიელში“ გაცნობეთ, მატჩამდე ორივე გუნდს საკმარისზე მეტი პრობლემა დაუგროვდა. „ბაიერნს“ ლიზარაზუ, ელბერი და ჰელმერი აკლდა, ხოლო „ვერდერს“ სკრიპნიკი, როემბიაკი და ფრაი არ ჰყავდა. საეჭვო იყო იური მაქსიმოვის თამაშიც, რომელსაც, ზემოჩამოთვლილთა მსგავსად, ტრავმა აწუხებდა. ექიმები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მაქსიმოვმა ფინალში ითამაშოს, განაცხადა შეხვედრის წინ „ვერდერის“ მენეჯერმა, ვილი ლემკემ. ეტყობა, ბრემენელმა ექიმებმა მართლაც ძალიან მოინდომეს და უკრაინელ ნახევარმცველს ისე უმკურნალეს, ფეხბურთელმა მატჩის დასაწყისშივე გამოიჩინა თავი.

შეხვედრის მე-3 წუთი მიმდინარეობდა, როცა დაბროვსკიმ ჰერცოგს გაუთამაშა ბურთი, მარჯვენა ფლანგზე გარღვევა განახორციელა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, საჯარიმოში კი მაქსიმოვმა იმარჯვა, იერემისს წამით დაასწრო და ბავარიელებს ცივი წყალი გადაასხა. ამის შემდეგ „ვერდერმა“ მცირე ხნით უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ „ბაიერნი“ თანდათან გონს მოეგო და მეტოქეს მთლიანად თავისი თამაში მოახვია თავს. მიუნხენელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი არც დაცვის ხარჯზე თავდასხმის გაძლიერებას მოერიდა — პირველი ტაიმის მიწურულს მცველი სამუელ კუფური თავდამსხმელი ალი დაეით შეცვალა. მწვრთნელს ჩანფიქრმა უმალ გაუმართლა. 45-ე წუთზე მათეუს-ეფენბერგის კომბინაცია იანკერის მეკარესთან პირისპირ გასვლით დასრულდა. მანაც შანსი არ დაკარგა და როსტზე ის ბოლმა გადმოანთხია, რაც პირველი ნახევრის შუაგულში დაუგროვდა. მაშინ თავდამსხმელსა და მეკარეს უსიამოვნება მოუვიდათ და კინაღამ ერთმანეთიც შემოელახათ. ანგარიშის გათანაბრებამდე ცოტა ხნით ადრე კი ექსვერდერელმა მარიო ბასლერმა დაარტყა ჯარიმიდან სახიფათოდ, მაგრამ როსტმა კუთხურზე გადააგდო ბურთი.

მეორე ტაიმი ისე დაიწყო, ყველას შარშანდელი ფინალი გაახსენდა. გასულ წელს „ბაიერნი“ „დუისბურგს“ ხვდებოდა, თავიდან 0:1 აგებდა, მაგრამ ჯერ წონასწორობა აღადგინა, ბოლოს კი გადამწყვეტი გოლიც გაიტანა, იქამდე კი „დუისბურგის“ კართან მომენტი მომენტზე იქმნებოდა. ახლაც თითქმის იგივე განმეორდა, მაგრამ როსტი შეუვალი გახლდათ. როსტმა განსაკუთრებით ძირითადი დროის ბოლო 4 წუთში გამოიდო თავი, როცა სალიჰამიჯიჩს, მათეუსსა და ტარნატს სამი ურთულესი ბურთი აუღო და მიუნხენელებს შარშანდლის განმეორების საშუალება არ მისცა.

დამატებით დროში როსტმა ერთიც გაიბრწყინა, მათეუსმა ჩინებული ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ კარგადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი მეკარის ლუკმა გახდა. 116-ე წუთზე კი ბოდეს შეეძლო გატანა, მაგრამ კანის კარი ხელუხლებელი დარჩა. ამ მომენტამდე ორი წუთით ადრე კი მსაჯმა ბასლერი გააძევა მინდვრიდან, ფეხბურთელი, რომელსაც გერმანიის თასი „ვერდერშიც“ მოუგია და „ბაიერნშიც“.

პენალტების სერია „ბაიერნისთვის“ სასურველად დაიწყო, კანმა მეორე დარტყმა ტოდტს აუღო და თავისიანებს გამარჯვების კარგი წინაპირობა შეუქმნა, მაგრამ ეფენბერგმა ვერ ივარგა, გადამწყვეტი მეხუთე დარტყმა კარს ააცილა.

მატჩის გმირად კი როსტი იქცა. მან ჯერ თავად გაიტანა, მერე მათეუსს აუღო და ბრემენელები უზომოდ გაახარა. თანაგუნდელებთან ერთად მოლხენის შემდეგ როსტმა მასმედიისთვისაც მოიცალა და პირი აიქაფა: „ბევრს რომ კანი ქვეყნის საუკეთესო მეკარე ჰგონია, მწარედ ცდება. დღეს გერმანიაში მასზე ძლიერი ბევრი მოიძებნება, მათ შორის კი უდავოდ მეც ვარ.“ როსტმა სისულელეები სხვაც ბევრი ილაპარაკა, მაგალითად, თავის თავზე თქვა, ფრანკი ძალიან მაგარი მეკარეა, ეგაა სტაბილურობა აკლიაო.

„ვულოცავ „ვერდერს“ გამარჯვებას. ისე ბრემენელებს გაუმართლათ, ჩვენ აშკარა უპირატესობას ვფლობდით და მატჩის ბედის 90 წუთში გადაწყვეტა გვმართებდა. მათეუსმა დღეს ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ პენალტებისას არ გაუმართლა, მასთან სასაყვედურო არაფერი მაქვს“ — განაცხადა ბოლო ხანს გაწბილებულმა ჰიცფელდმა. მისი კოლეგა თომას შაფი კი სიხარულს ვერ ფარავდა: „ნამდვილად დაუჯერებელია. ოთხი თვის წინ ბუნდესლიგიდან გავარდნის ზღურბლზე ვიდექით, ახლა კი ხელში გერმანიის თასი გვიჭირავს. უბრალოდ, ჩვენ დღეს უფრო იღბლიანები ვიყავით. თანაც ბევრი ვიბრძოლეთ და გამარჯვებაც დავიმსახურეთ.“

ასეა თუ ისე, თასი „ვერდერმა“ მოიგო. ეს ბრემენელებმა მეოთხედ შეძლეს, მანამდე კი 1961, 1991 და 1994 წლებში ფლობდნენ სპპატიო ჯილდოს. ახლა, ჩემპიონატში არცთუ შთამბეჭდავი გამოსვლის მიუხედავად, „ვერდერს“ ეს სეზონი უდავოდ წარმატებულად ეთვლება. კლუბმა საუკუნოვანი იუბილე ღირსეულად აღნიშნა, თუმცა ხელმძღვანელობა ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

„ცოტა ხანში გუნდში სტრუქტურულ ცვლილებებს მოვახდენთ, საგრძნობლად გავძლიერდებით. „ვერდერს“ შესწევს იმის ძალა, მუდამ მოწინავეებში იყოს“ — ბრემენელთა პრეზიდენტმა ფრანც ბიომერტმა ეს სიტყვები მას შემდეგ წარმოთქვა, რაც გუნდს წარმატება გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შროიდერმა პირადად მიულოცა.

ვანო ოძროპირიძე

REUTERS ბერლინიდან

ბრემენის „ვერდერი“ სეზონის თასის მოგებით დაგვირგვინებას ზეიმობს

რუსეთი

X ტური

ალანია 5:1 დინამო

1:0 ტარლოვსკი (4), 2:0 დემეტრაძე (21), 3:0 კუტარბა (43), 3:1 ტერიოხინი (46), 4:1 დემეტრაძე (74პ), 5:1 პაულუ ემილიუ (89)

სპარტაკი 2:2 ნ. ნოვგოროდი

1:0 იურანი (14), 1:1, 1:2 ვიაზმიკინი (20, 78), 2:2 ბულატოვი (79)

ურალანი 0:1 ლოკომოტივი

0:1 ლოსკოვი (30)

როტორი 0:1 როსტსელმაში

0:1 დუიუნი (67)

ზენიტი 2:1 სატურნი

1:0 პოპოვიჩი (26), 1:1 გავრილინი (77), 2:1 ბაბი (89)

შინიკი 0:0 ჟემჩუჟინა

ცსკა 0:0 ტორპედო

ჩერნომორეცი 1:1 კრილია

0:1 შიშკინი (50), 1:1 კამნევი (76)

სწორედ ამაზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო. წინა ტურში მოსკოვში „ლოკომოტივმა“ 4:1 გაანადგურა „ალანია“. სტუმართა თავკაცი გაზაევი შეხვედრის დროს უწესოდ მოქცევისთვის ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. კვირას ვალერი ვიორგევიჩს ტრიბუნიდან მოუწია „დინამოსთან“ შინაური მატჩის ცქერა. ჰოდა, ეტყობა, ვლადიკავკაზელთა დამრიგებელიც ზემოდან უკეთესად კითხულობს თამაშს. მისმა შეგირდებმა მწარე გაკვეთილი ჩაუტარეს მოსკოველებს და რუსეთის ჩემპიონატის ისტორიაში 4 ბურთიანი სხვაობით წაგების გემო პირველად აგრძნობინეს.

გუშინწინდელი შეხვედრა შეიძლება დემეტრაძის ბენეფისად მოვნათლოთ. საქართველოს ნაკრებისა და „ალანიას“ ფორვარდმა შავი დღე აყარა დინამელებს. პირველი გოლი დემეს კუთხურიდან ჩამოწოდებულზე გავიდა, მეორე თავად გაახერხა, ორ მოსკოველს ყვითელი ბარათი „აჰკიდა“, ორსაც — წითელი, 74-ე წუთზე პენალტიც დაიმსახურა და თერმომეტმეტრიანის ნიშნულიდან მეოთხეჯერ დაამწუხრა სტუმრები. პირველ ტაიმში მინდორზე შეჭრილ ძაღლთანაც გამონახა საერთო ენა და ადამიანის ერთგული მეგობარიც სარბენი ბილიკისკენ გაემართა. ვლადიკავკაზელ გულშემატკივართა კერპი — დემეტრაძე — ამ მატჩში საუკეთესოდ აღიარეს. აშკარად კარგად გამოიყურებოდა ალანიელი მამუკა წერეთელიც. საქართველოს ნაკრების ტანმაღალი მცველი შეტევებშიც სახიფათოდ ერთვებოდა და საკუთარი კარის მისადგომებსაც საიმედოდ იცავდა. დემეტრაძის კუთხურიდან შორეულ ძელთან ჩამოწოდებულზე სწორედ წერეთელმა დაუხვედრა თავი და ბურთი კარგ პოზიციაში მყოფ ტარლოვსკის დაუგდო — 1:0.

„დინამოსთან“ შეხვედრაში გია ჩხაიძის დებიუტიც შედგა. თუმცა მხოლოდ ხუთწუთიანი. რაც შეეხება სტუმრებს, იარცევის შეგირდებს კრიზისული პერიოდი უდგათ. გუნდმა ბოლო ხუთი შეხვედრიდან ოთხი წააგო.

„სპარტაკმა“ პირველად ვერ მოახერხა ნიჟნი-ნოვგოროდელთა მოსკოვში დამარცხება, თუმცა გამარჯვებას ვინ ჩივის, რუსეთის ჩემპიონებმა კინაღამ სენსაციური მარცხი იწვნიეს უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტისგან. შეხვედრის ამგვარად წარმართვაში ლომის წილი დაიდო დედაქალაქელთა გუნდისა და ჩემპიონატის მთავარმა ბომბარდირმა ტიხონოვმა. მისი თერმომეტმეტრიანი მეკარის ნადავლი გახდა. ამ სეზონში უკვე სამჯერ გატანილი პენალტის შემდგომ ტიხონოვს პირველად მოეცარა ხელი.

სპარტაკელთა წაფორხილებით ისარგებლა ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივმა“ და დაკარგული ქულების მიხედვით ლიდერობს. რკინიგზელებმა ზედიზედ მეშვიდე შეხვედრა მოიგეს. „ურალანმა“ პირველი საშინაო მატჩი გამართა საკუთარ კედლებში. ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტის სტადიონზე (ტევადობა 10 000) 12 000 გულშემატკივარი ქომაქობდა მასპინძლებს, მაგრამ ამაოდ. ჯანაშია ამჯერად ვერ გამოირჩა ჩვეული ენერგიულობით. 64-ე წუთზე იგი ბულიკინმა შეცვალა. „ურალანს“ ამ შეხვედრაში მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე სკრინიკოვი თავკაცობდა. ამიერიდან კი ელისტელებს ევგენი კუჩერევსკი უხელმძღვანელებს.



ბაბრი ეკეთილაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე

„შინიკმა“ სოჭის „ჟემჩუჟინას“ უმასპინძლა და რეკორდიც დაამყარა. იაროსლავლელები აგერ უკვე 697 წუთია ვერ ახერხებენ გოლის გატანას. მასპინძლები კვლავ მთავარი მწვრთნელის გარეშე ასპარეზობენ და ალექსანდრე ჰობეგალოვის დარიგებებით გადიან სათამაშოდ. „ჟემჩუჟინას“ კი ვიკტორ ანტიხოვიჩი ჩაუდგა სათავეში. ახალმა მწვრთნელმა ქართველთაგან მხოლოდ გიზო ჯელაძე დააყენა ძირითად შემადგენლობაში. გიორგი გოგიაშვილსა და მეკარე დავით ხმელიძეს სათადარიგოთა სკამზე მოუწიათ ყურყუტი.

„როტორმა“ ამ სეზონში მესამედ წააგო შინ. როგორც წესი, ვოლგოგრადელები „როსტსელმაშის“ წინააღმდეგ სტუმრად უკეთესად თამაშობენ, ვიდრე მშობლიურ მოედანზე.

„ზენიტმა“ ბოლო ორი თვის განმავლობაში პირველად გაიმარჯვა.

მოსკოვური დერბი ცსკა-ს სრული ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ არმიელებმა ვერაფერი მოუხერხეს „ტორპედოს“ დაცვასა და მეკარეს. ავტოქარხნელებმა კი ზედიზედ მეექვსე მატჩი ითამაშეს ფრედ. აქედან ბოლო ოთხი შეხვედრა მშრალად დაამთავრეს.

რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში მე-2000 გამოდგა „ჩერნომორეცი“ — „კრილიას“ შეხვედრა.

ხვიჩა სანიკიძე

სპარტაკი	13	9	3	1	23:9	30
ლოკომოტივი	10	7	2	1	22:8	23
ცსკა	10	5	4	1	19:8	19
ტორპედო	11	4	6	1	8:5	18
ალანია	10	5	2	3	20:13	17
დინამო	10	5	2	3	21:17	17
როსტსელმაში	10	5	1	4	13:14	16
როტორი	10	4	2	4	15:16	14
ნ. ნოვგოროდი	10	3	3	4	12:13	12
ზენიტი	10	2	5	3	10:10	11
კრილია	11	2	3	6	12:18	9
სატურნი	11	2	3	6	10:17	9
ჩერნომორეცი	10	2	3	5	13:21	9
ურალანი	10	2	2	6	5:11	8
შინიკი	10	1	5	4	2:10	8
ჟემჩუჟინა	10	0	4	6	4:19	4

ბომბარდირები

ტიხონოვი (სპარტაკი)	7
დემეტრაძე (ალანია)	6
ვერეტენიკოვი (როტორი)	6
სემაკი (ცსკა)	6
ტერიოხინი (დინამო)	6

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ლაუდრუპი აიაქსში

ბრიან ლაუდრუპი ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდა. დანიელმა ფეხბურთელმა ჰოლანდიურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა არაა გამორიცხული „აიაქსში“ მესამე სეზონშიც დარჩეს.

— მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ „კოპენჰაგენიდან“ მივდიოდი, თხუთმეტამდე კლუბმა მთხოვა თავისთან გადასვლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც „აიაქსი“ ვირჩიე. ჩემთვის ყველაზე მისაღები სწორედ ამსტერდამელთა წინადადება აღმოჩნდა. — განაცხადა ბრიან ლაუდრუპმა, რომლის ბოლო კლუბი „კოპენჰაგენი“ გახლდათ. ევროპის 1992 წლის ჩემპიონმა, რომელიც იმ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს გერმანელ ტომას ჰესლერთან ერთად, „კოპენჰაგენი“ პირადი მიზეზების გამო დატოვა.

29 წლის ლაუდრუპის შეძენით ამსტერდამელებმა საგრძნობი ძალა შეიმატეს. „აიაქსმა“ მხოლოდ ერთი სეზონი გაძლო ულაუდროპოდ — გახსოვთ ალბათ, ერთი წლის წინ „აიაქსში“ ბრიანის უფროსი ძმა, შეუდარებელი მიქაელ ლაუდრუპი თამაშობდა. სხვათა შორის, ამსტერდამელთა ახლანდელ მწვრთნელ იან ვოუტერსს და ბრიან ლაუდრუპს მიუხეხნის „ბაიერნში“ მხარდამხარ უთამაშიათ.

ბოლო 13 წელიწადია, ბრიან ლაუდრუპი ევროპის გარშემო მოგზაურობს. თითქმის ყველა ქვეყნის ჩემპიონატში მოასწრო თამაში, მისი კლუბების ჩამონათვალი კი მართლაც შთამბეჭდავია: „ბრონდბიუ“, „ბაიერნი“, „ფიორენტინა“, „მილანი“, „გლაზგო რეინჯერსი“, „ჩელსი“... ახლა „აიაქსი“.

— ამსტერდამი ძალიან წააგავს დანიას, ჩემს სამშობლოს. „აიაქსში“ გადასვლა იმით არის გამოწვეული, რომ ჰოლანდიაში ცხოვრებას უფრო ადვილად შევეგუები, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. არაა გამორიცხული, კარიერა სწორედ „აიაქსში“ დავასრულო — განაცხადა ბრიანმა. ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს უმცროსი ლაუდრუპი, ისე კი შეგახსენებთ, რომ მისმა ძმამ, მიქაელმა, ფეხბურთს თავი სწორედ „აიაქსიდან“ წასვლის შემდეგ დაანება.

...„კოპენჰაგენის“ ხელმძღვანელობისთვის ბრიანის კლუბიდან წასვლის შესახებ ცნობა დამთრგუნველი აღმოჩნდა. დანიის დედაქალაქში ჯერაც ვერ გაურკვევიათ, რატომ გადაწყვიტა ბრიანმა მათთან განშორება.

ლაუდრუპი „კოპენჰაგენში“

კალიები და ელემენტი

შვეიცარია

თასის ფინალი

გრასჰოპერი 0:2 ლოზანა

0:1 დიოჯო (34), 0:2 მაცონი (90)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, კაბანასი, მიულერი, სმილიანიჩი, ბერნერი, ფოგელი, ტარარახე (ცანი 67), იაკინი (კომიზეტი 58), დე ნაპოლი (მანინი 84), ტიკვა, ყაველაშვილი

ლოზანა: რაპო, ორელი, პუჩი, ლონდონო, ჰენზი, გერბერი (შაჰგელდიანი 75), რენი, სელესტინი, დიოჯო (დუგლასი 82), მაცონი, ტურე (პიფარეტი 69)

„კალიები“ წლეულს ახტნენ-დახტნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქულ „ლომებს“ („გალათასარაის“ მეტსახელია) ვერ გადაახტნენ, შვეიცარიის ჩემპიონატში „სერვეტს“, ქვეყნის თასზე „ლოზანას“ და ხახამშრალნიც დარჩნენ.

მართლაც, ცუდი წელი ედგა „გრასჰოპერს“. მიხეილ ყაველაშვილის კლუბი სამ ფრონტზე იბრძოდა და ყველგან ხელი მოეცარა. ასეთი მოუსავლიანი სეზონი ციურიხელებს ბოლო დროს არ ჰქონიათ. ეს ყველაფერი გუნდის მწვრთნელ როჯერ ჰეჯის შეიძლება ძალიან ძვირად, ანუ სამსახურის დაკარგვად დაუჯდეს.

ქვეყნის თასის ფინალს „გრასჰოპერი“, „ლუცერნის“ მსგავსად, დანაკლისით შეხვდა. ციურიხელებს ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი გრენი და ჰაასი აკლადათ, ხოლო ლოზანელებს — ბრუნერი და პანტელიჩი.

ყაველაშვილი ჰეჯიმ ძირითად შემადგენლობაში დააყენა და მთელი მატჩი ათამაშა. ჩვენებურს თავდასხმაში ტიკვა და დე ნაპოლი ეხმარებოდნენ. სამი თავდამსხმელის გამოყენამ ცხადი გახადა, ჰეჯის აქცენტი შეტევაზე ჰქონდა გამახვილებული. ასეც მოხდა. დაიწყო თუ არა თამაში, „კალიებმა“ შეუტიეს. ყაველაშვილს რეალური მომენტიც მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა. მალე ისრაელის ნაკრების თავდამსხმელმა ავი ტიკვამ ბერნის „ვანდერფზე“ შეკრებილი 18 000 ქომაგი აღაფრთოვანა, როცა ლოზანელ მცველებს ფინტებით თავბრუ დაახვია, მაგრამ ყაველაშვილის მსგავსად მიზანს აცილა ბურთი. ამ მომენტებს შორის „გრასჰოპერის“ მეკარე ცუბერბიულერს მოუხდა თავისი ოსტატობის გამოვლენა, როდესაც გერბერს აუღო რთული ბურთი. 34-ე წუთზე კი გოლიც გავიდა. „ლოზანას“ შვედი ლეგიონერის რენის გრძელი და ზუსტი პასი დიოჯომ გამოიყენა, მან ერთი შეხებით ბურთი დაამუშავა და ცუბერბიულერს აუღებელი დურტყა. გაშვებული გოლის შემდეგ ციურიხელებს პირველ ტაიმში ტემპისთვის არ მოუმატიათ, მშვიდად განაგრძეს თამაში.

პირველთან შედარებით მეორე ნახევარი „გარსჰოპერმა“ აქტიურად დაიწყო. 61-ე წუთზე გათანაბრების კარგი შანსიც მიეცა, მაგრამ ტიკვას მიზანმა უმტყუნა — თავით ორიოდე მეტრიდან ააცილა ცარიელ კარს. მალე რაპომ აუღო იოჰან ფოგელს, რომელიც „ეინდჰოვენში“ გადასვლის წინ ბოლო მატჩს ატარებდა ციურიხულ კლუბში. თამაშის მიწურული მთლიანად „გრასჰოპერის“ უპირატესობით წარიმართა, თუმცა სახიფათო მომენტები მის კართან შეიქმნა, „ლოზანამ“ მეტოქის დაცვის შესუსტებით ისარგებლა და მწვავე კონტრშეტევები განახორციელა. მსჯის მიერ წამატებულ წუთებზე ერთერთი ასეთი იერიში კი გოლითაც დასრულდა. არგენტინელი მაცონის დარტყმულს ცუბერბიულერი წინ ვერ ალუდგა — 2:0.

ასე რომ, ბოლო ტურში დაკარგული ჩემპიონობით გამოწვეული ტკივილი „ლოზანამ“ თასის აღებით დაიამა.

„ჩვენ ტაქტიკურად უფრო გამართული ფეხბურთი ვითამაშეთ, თუმცა გადამწყვეტი მაინც დიდი სურვილი და სწრაფვა აღმოჩნდა. თასის აღება ძალიან გვსურდა და მიხარია, რომ მიზანს მივაღწიეთ. ბედნიერი ვარ, ასეთი ერთიანი, შეკრული გუნდი რომ მყავს, ყველაფერთან ერთად კი მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ერთგულ ქომაგებს, რომლებიც ბოლომდე გვერდით გვედგნენ და წარმატებაში ძალიან დაგვეხმარნენ“ — განაცხადა „ლოზანას“ მწვრთნელმა პიერ-ანდრე შიურმანმა, რომლისთვისაც გასული სეზონი სადებიუტო იყო შვეიცარიის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში.

როჯერ ჰეჯიმ კი ზოგიერთი თავისი ფეხბურთელი ელემენტს შეადარა — ელემენტს დიდხანს რომ ამუშავებ, ჯდება, სწორედ ასეთ მდგომარეობაშია გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი. მათ ახლა ცოტა ხნით დასვენება სჭირდებათ, რათა ისევ დაიმუხტნონ და ფორმაში ჩადგნენ. მე კი, როგორც ჩანს, შვეიცარიის თასის ფინალში გამარჯვება არ მიწერია. შარშან ხომ „სენტ გალენთან“ ერთად წავაგე იგი“.

აღსანიშნავია, რომ ჰეჯის გაწვრთნილი „სენტ გალენი“ მაშინაც „ლოზანასთან“ დამარცხდა.

ვანო ოძროპირიძე

პაოლო დიოჯოს (მარჯვნივ) ამ დარტყმას „გრასჰოპერის“ კარში პირველი გოლი მოჰყვა

რუმინეთი

34-ე ტური: ოლიმპია — ბაკეუ 0:2; დინამო — ოცელული 2:1; ფორესტა — ჩახლაული 0:2; უნივერსიტატეა (კლუჟი) — რაპიდი 1:4; ასტრა — სტიაუა 1:1; არჯეში — ონესტი 2:0; უნივერსიტატეა (კრაიოვა) — რესიტა 0:1; გლორია — ფარული 4:2; ნაციონალი — პეტროლული 2:0.

საბოლოო ცხრილი

რაპიდი	34	28	5	1	79:18	89
დინამო	34	26	4	4	95:27	82
სტიაუა	34	19	9	6	62:33	66
არჯეში	34	20	4	10	57:37	64
ბაკეუ	34	18	8	8	46:35	62
ოცელული	34	17	4	13	47:33	55
ნაციონალი	34	18	1	15	61:51	55
პეტროლული	34	16	5	13	50:46	53
ჩახლაული	34	15	4	15	54:53	49
ასტრა	34	13	7	14	40:38	46
გლორია	34	12	7	15	55:60	43
ფარული	34	12	4	18	37:54	40
უნივერს. (კრა)	34	11	6	17	43:50	39
ონესტი	34	12	3	19	56:67	39
რესიტა	34	8	11	15	34:59	35
ფორესტა	34	6	6	22	31:61	24
უნივერს. (კლუ)	34	4	4	26	19:92	16
ოლიმპია	34	3	4	27	22:74	13

უკრაინა

28-ე ტური: ნიკოლაიევი — დინამო 0:4; კარპატი — ნივპრი 4:1; ცსკა — მეტალურგი (მარიუპოლი) 1:1; ვორსკლა — ზირკა 4:2.

დინამო	27	21	5	1	68:14	68
შახტიორი	28	18	5	5	65:25	59
კრივბასი	28	14	11	3	37:15	53
კარპატი	27	14	9	4	48:27	51
მეტალისტი	27	13	5	9	28:29	44
მეტალურგი (მ)	28	12	6	10	33:27	42
მეტალურგი (ზ)	27	12	4	11	44:40	40
ცსკა	28	10	9	9	33:32	39
ზირკა	28	9	7	12	29:36	34
ტავრია	28	9	7	12	30:37	34
ვორსკლა	28	9	5	14	31:40	32
ნივა	27	7	7	13	25:34	28
დნეპრი	27	8	4	15	21:40	28
მეტალურგი (დ)	28	6	7	15	25:46	25
პრიკარპატიე	28	6	5	17	21:55	23
ნიკოლაევი	28	2	6	20	17:61	12

გერმანია

II ბუნდესლიგა

XXXIII ტური

კარლსრუე 3:1 კიოლნი

1:0 ბაუმერი (10), 2:0 შვარცი (35), 3:0 გუიე-მაინი (62), 3:1 ლოტნერი (86)

ფორტუნა 0:0 ობერჰაუზენი

ურდინგენი 1:1 ზანძტ პაული

0:1 მარინი (17), 1:1 შერბე (48პ)

კიკერსი 1:3 მაინცი

0:1, 0:2 კრამნი (27, 34), 0:3 პოლიცელა (75), 1:3 კევრიჩი (83)

ბერლინი 0:2 ულმი

0:1, 0:2 კულიბალი (66, 71)

ფიურტი 0:1 ჰანოვერი

0:1 მორინასი (88)

ვატენშაიდი 4:2 უნტერჰახინგი

1:0 კატრინიუკი (19), 2:0 რისტუ (39), 2:1 ობერლაინერი (42პ), 3:1 დიკტიარი (59), 3:2 აბინფული (72), 4:2 დიკტიარი (77პ)

არმინია 3:0 გიუტერსლო

1:0 მაისნერი (25), 2:0, 3:0 ლაბადია (29პ, 62)

დიუსელდორფი 0:3 კოტბუსი

0:1 ვარეიჩკი (16), 0:2 ლატუნჯი (50), 0:3 ჰაიდრიხი (73)

არმინია	33	19	7	7	57:29	64
უნტერჰახინგი	33	19	5	9	46:29	62
ულმი	33	15	12	6	63:51	57
კარლსრუე	33	17	4	12	53:42	55
ჰანოვერი	33	15	9	9	50:35	54
ბერლინი	33	14	9	10	44:39	51
მაინცი	33	14	8	11	48:41	50
ფიურტი	33	13	9	11	40:31	48
კიოლნი	33	12	9	12	43:48	45
ზტ. პაული	33	11	9	13	43:44	42
ობერჰაუზენი	33	9	14	10	39:44	41
კიკერსი	33	11	8	14	36:47	41
ფორტუნა	33	9	13	11	48:53	40
კოტბუსი	33	9	11	13	43:42	38
გიუტერსლო	33	9	7	17	37:57	34
ურდინგენი	33	7	10	16	34:52	31
ვატენშაიდი	33	7	9	17	30:44	30
დიუსელდორფი	33	4	13	16	32:58	25

პოლონეთი

თასის ფინალი

ამიცა 1:0 ბელხატოვი

1:0 მიროსლავ საირა (46)

ნორვეგია

მე-10 ტური: მოლდე — სტაბეკი 0:0; ბოდო გლიმტი — ლილესტრიომი 1:2; ბრანი — ვიკინგი 1:0; კონგსვინგერი — ტრომსო 3:1; სტრომსგოდსეტი — ოდ გრენლანდი 3:5; ვალერენგა — მოსი 1:2; რუსენბორგი — სკეიდი 3:0.

რუსენბორგი	9	7	1	1	29:7	22
სტაბეკი	9	6	2	1	22:10	20
მოლდე	9	6	1	2	16:7	19
ლილესტრიომი	9	6	1	2	21:16	19
ბრანი	9	5	0	4	14:17	15
ოდ გრენლანდი	10	5	0	5	15:23	15
ტრომსო	10	4	2	4	24:18	14
ვიკინგი	9	4	1	4	16:12	13
ვალერენგა	10	4	1	5	14:15	13
მოსი	10	4	0	6	16:18	12
სკეიდი	10	3	1	6	12:26	10
ბოდო გლიმტი	10	2	2	6	18:25	8
კონგსვინგერი	9	2	0	7	13:21	6
სტრომსგოდსეტი	9	2	0	7	9:24	6

იტალია

სერია B

XXXVIII ტური

რევანა 3:2 ლუკეზე

1:0 მარჯოტა (73), 1:1 ფოლია (45), 2:1 კარბონე (65), 2:2 ტარანტინო (82), 3:2 კევოლი (88)

რევანა: პაგატო, შაკპოკე, კაპელაჩი, ორფეი, პონცო, კარბონე, კერუბინი, კიტერიო (პარიზი 60), მორელო (მასპერო 46), მარჯოტა (კევოლი 76), ნერი

რავენა 3:2 ტრევიზო

1:0 ბერტარელი (7), 1:1 ბელავისტა (17), 2:1 დელანო (61), 3:1 მეონგი (65), 3:2 ვარიკიო (89)

პესკარა 3:2 ბრეშა

1:0, 2:0 პიზანო (32, 63), 3:0 ესპოზიტო (71), 3:1 უბნერი (92), 3:2 კოზმინსკი (93)

ნაპოლი 2:1 კრემონეზე

1:0, 2:0 ტურინი (37, 58), 2:1 პუაკა (90)

ვიენოა 3:3 ვერონა

0:1 დე ვიტისი (12), 1:1 რუოტოლო (31), 2:1 ვუკოია (37), 2:2 კამარატა (49), 3:2 ნაპი (83), 3:3 დე ვიტისი (85)

კიევო 1:2 ლეჩე

0:1 ჯანინი (16პ), 0:2 ძამბონი (48), 1:2 მარაციინა (92)

კოზენცა 2:1 ჩეზენა

1:0, 2:0 ტატი (5, 33), 2:1 რივალტა (63)

ატალანტა 2:0 მონცა

1:0, 2:0 კაჩა (9პ, 21)

ტორინო 1:2 რევიზინა

0:1 კოცა (27პ), 1:1 ფერანტე (62), 1:2 მარტინო (65)

ტერნანა 2:1 ფ. ანდრია

1:0 ბორგობელო (26), 1:1 ფლორიანჩიჩი (39), 2:1 ბორგობელო (87)

საბოლოო ცხრილი

ვერონა	38	18	12	8	60:38	66
ტორინო	38	19	8	11	58:36	65
რეჯინა	38	16	16	6	45:32	64
ლეჩე	38	18	10	10	47:39	64
პესკარა	38	18	9	11	50:42	63
ატალანტა	38	14	19	5	44:27	61
ბრეშა	38	14	14	10	44:33	56
ტრევიზო	38	14	14	10	52:42	56
ნაპოლი	38	12	15	11	41:38	51
რავენა	38	13	12	13	47:51	51
კიევო	38	11	15	12	37:40	48
ჯენოა	38	10	16	12	53:53	46
ჩეზენა	38	10	15	13	37:41	45
მონცა	38	10	15	13	32:38	45
ტერნანა	38	10	15	13	39:50	45
კოზენცა	38	11	10	17	41:53	43
რეჯანა	38	9	14	15	40:49	41
ფ. ანდრია	38	9	13	16	33:49	40
ლუკეზე	38	8	13	17	35:45	37
კრემონეზე	38	3	11	24	30:69	20

გაისად სერია A-ში იასპარეზებენ: „ვერონა“, „ტორინო“, „რეჯინა“ და „ლეჩე“, ხოლო სერია C-ში გადაბარგდნენ: „კრემონეზე“, „ლუკეზე“, „ფიდელის ანდრია“ და ნემსაძის „რევანა“

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭრელება

„აიაქსი“ ძველებურად იცლება. ლონდონის „ჩელსი“ კი ისევ და ისევ ჭრელდება — ინგლისურმა კლუბმა ჰოლანდიის თასის მფლობელი „აიაქსიდან“ მცველი მარიო მელხიოტი შეიძინა.

— მარიო ახალგაზრდა ფეხბურთელია, ამასთანავე გამოცდილი და ვფიქრობ, რომ ჩვენს კლუბს წაადგება. მისი სახით „ჩელსიმ“ კიდევ ერთი გამოცდილი მოთამაშე შეიმატა — განაცხადა ლონდონის კლუბის იტალიელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ.

„ჩელსის“ წარმომადგენლის თქმით, 22 წლის მცველმა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 1 ივლისს ამოქმედდება, ზუსტად ერთი დღის შემდეგ რაც მელხიოტს „აიაქსთან“ ხელშეკრულება დაუსრულდება. ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელებმა ასევე განაცხადეს, რომ მელხიოტის გზას შესაძლოა კოფი მენ�ც გაუყვეს.

ჰოლანდია

პლეი ოფი

A ჯგუფი

ვალვაიკი 2:1 დორდრეხტი
ემენი 1:3 ზვოლე
დორდრეხტი 0:2 ვალვაიკი
ზვოლე 2:1 ემენი

ვალვაიკი	4	3	1	0	8:3	10
ზვოლე	4	2	2	0	7:4	8
ემენი	4	1	0	3	9:12	3
დორდრეხტი	4	0	1	3	6:11	1

B ჯგუფი

გრონინგენი 4:0 ექსელსიორი
სპარტა 4:1 ელმონდი
ექსელსიორი 2:2 გრონინგენი
ელმონდი 0:1 სპარტა

გრონინგენი	4	3	1	0	15:5	10
სპარტა	4	3	0	1	10:6	9
ექსელსიორი	4	1	1	2	9:11	4
ელმონდი	4	0	0	4	4:16	0

სლოვენია

33-ე ტური: ბელტინჩი — ტრიგლავი 5:1; დომზალე — ოლიმპია 2:2; ცელიე — კოროტანი 1:0; კოპერი — ველენიე 0:2; აიდოვშინა — მურა 0:1; მარიბორი — ნოვა გორიცა 2:0.

საბოლოო ცხრილი

მარიბორი	33	19	9	5	72:29	66
ნოვა გორიცა	33	18	8	7	55:31	62
ველენიე	33	16	8	9	43:33	56
მურა	33	16	5	12	53:35	53
კოროტანი	33	14	6	13	44:45	48
ოლიმპია	33	12	8	13	54:50	44
ცელიე	33	10	12	11	30:35	42
დომზალე	33	10	11	12	40:49	41
აიდოვშინა	33	11	7	15	39:45	40
ბელტინჩი	33	10	6	17	41:62	36
კოპერი	33	8	8	17	34:61	32
ტრიგლავი	33	5	10	18	28:58	25

რეფორმატორი საუკუნეთა მიჯნაზე

ფიფას პრეზიდენტს, ზეპ ბლატერს ჰარმონიზებულ კალენდარზე მეტად — ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთში — ამჟამად არაფერი აინტერესებს. იგი დარწმუნებულია, რომ ეს პროექტი მომავალ საუკუნეში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის გადამწყვეტი იქნება. შეაჯერეთ კალენდრები და თქვენ მსოფლიო ფეხბურთის მარტივად მართვის ბერკეტს იგდებთ ხელში. დაუყოვნებლივ გაქრება დაძაბულობა კლუბებსა და ნაკრებებს შორის, შემცირდება ზეწოლა ფეხბურთელებზე, გაიზრდება შეხვედრათა ექსკლუზიურობა და ტელეარხებიც მეტს გადაიხდიან.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჰარმონიზებული კალენდარი საშუალებას მოგვცემს მსოფლიოს ჩემპიონატი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს. იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს ეს მართლაც იქცეს რეალობად — ფიქრობს იოზეფ ბლატერი, თუმცა კარგად მოეხსენება, რომ ახალი წლის შემდეგ სწორედ ამ იდეამ გამოიწვია ყველაზე დიდი კამათი.

ბლატერი მოვლენებს არ აჩქარებს. ის ამბობს: „კალენდრის უნიფიცირებას ფიფა ჯერ კიდევ 1994 წელს აპირებდა, მაგრამ მაშინ იდეის მიძინება მიიჩნია მართებულად. გასული წლის კონგრესმა კი იდეა ისევ გააქტიურა. სწორედ ამიტომაა, რომ მისი დამუშავება ჩემს პრეზიდენტად არჩევას დაემთხვა. უპირველესი მიზანი სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებების გაკრეჭვის გარეშე ფეხბურთის რაოდენობის შემცირებაა. ამისათვის ჯერ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ რეგიონალური ჩემპიონატები სხვადასხვა კონფედერაციებმა ერთდროულად ჩაატარონ. ამ ჰარმონიზაციისთვის 18 თვე დაგვჭირდება, ოღონდ ყველა მხარეს რაღაცის გაღება მოუწევს. ვგონებ ამაში მიუღწეველი არაფერია და ყველანი მხარს გვიჭერენ კიდეც. წლის ბოლოსთვის, ალბათ, პირველადი შედეგიც გვექნება და მომავალი წლის კონგრესზე საკითხის საფუძვლიანად განხილვის შემდეგ შევეცდებით მისი განხორციელება რაც შეიძლება მალე დავიწყოთ“.

აქ კი ვეხებით ბლატერისეული ვერსიის პირველ საკვანძო საკითხს. კერძოდ, ფიფას პრეზიდენტი ცდილობს, რეგიონალური პირველობები: კოპა ამერიკა, აფრიკის თასი, ევროპის ჩემპიონატი და სხვები, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებად აქციოს. პროექტის თანახმად რეგიონალური პირველობები ლუწ წლებში უნდა ჩატარდეს, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატები კენტში. ესე იგი, მსოფლიოს 2006 წლის პირველობას, არაა გამორიცხული, 2009-ისა მოჰყვეს.

„კალენდართა შეჯერება დედამიწის მასშტაბით 600 და 700 მატჩს გამოხშირავს, რაც ფეხბურთის ხარისხისთვის გახლავთ ძალიან კარგი, ვინაიდან მოთამაშეებს დასვენებისა და მომზადებისთვის მეტი დრო გაუჩნდებათ“— ამბობს ბლატერი.

კიდევ, ყბადაღებული კონფედერაციათა თასი აღარ გაიმართება: „ველარ ვხედავ ამ თასის პერსპექტივას. ჰარმონიზებული კალენდარი მისთვის ადგილს აღარ ტოვებს“.

ბლატერს ეგ აღიარება მაინდამაინც არ ახარებს, მაგრამ...

სხვათაშორის, ბლატერი უარყოფს, რომ მას ეროვნული ფედერაციების იძულება სურს, რათა მათ თავიანთ ლიგებში გუნდების რაოდენობა 16-მდე ან 18-მდე შეამცირონ. მეტიც, იგი სეზონის თებერვალში დაწყებასა და ნოემბერში დამთავრებასაც უარობს. არადა ამ ჭორმა ევროპულ საფეხბურთო მოხელეთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თან, მათ ხომ ჯერაც ვერ მოუნელებიათ ფიფას პრეზიდენტად ლენარტ იუჰანსონი რომ ვერ გაიყვანეს.

ბლატერი ბრძანებს: „მე მხოლოდ ვამბობ, რომ თითოეულ ლიგაში 16 გუნდი იდეალური ვარიანტი იქნება. ასეთი რაოდენობის დროს ხარისხი ხარისხად შენარჩუნდება და ფეხბურთელებიც ჯანმრთელობას შეინარჩუნებენ. ფიფასა და ეროვნულ ასოციაციათა თუ ლიგათა დიალოგის დროს კი უპირატესობა უკანასკნელთა ნებას მიეკუთვნება. ხშირად მეკითხებიან, რას ვფიქრობ 16-18 გუნდიან ლიგათა შესახებ, მაგრამ ამ საკითხზე რაიმე განკარგულება არ გამიცია. მაგალითად, ინგლისსა და ესპანეთში, უმაღლეს ლიგებში 20-20 გუნდი თამაშობს. თუ ამ ქვეყნებს ჩვენი ჰარმონიზებული კალენდრის პირობებშიც ასეთ რაოდენობაზე სურთ დარჩენა, მათი ნებაა, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ, რომ ამ შემთხვევაში მათ კლუბებს კვირაში ორისამი შეხვედრის ჩატარება მოუწევთ. ვიმეორებ, ფიფა და

იოზეფ ბლატერი

კონტინენტური ასოციაციები ჰარმონიზებულ კალენდარზე შეთანხმდებიან, ხოლო ცალკეულ ქვეყნებს კლიმატური პირობებიდან, კონტრაქტებიდან თუ სხვა საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლიათ თავიანთ ლიგებში გუნდების რაოდენობა არ შეამცირონ. ჩვენ პირობებს ვთავაზობთ, მაგრამ დიქტატორები არ გახლავართ“.

მაგრამ, სანამ ბლატერი მუხლჩაუხრელად მუშაობს ეგრეთწოდებული ახალი ფიფას შესაქმნელად, ინგლისელი მწერალი დევიდ იალოპი აქვეყნებს წიგნს: „ფიფა და მედია; როგორ მოგვპარეს თამაში“. მართალია ამ წიგნში ბრალდებათა უმეტესობა ბლატერის წინამორბედის, ჟოაო აველანჟის მისამართითაა, მაგრამ ბლატერმა შვეიცარიისა და ჰოლანდიის სასამართლოებში გვარიანი დრო ხარჯა მისი გასაღების შესაჩერებლად. საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტის აზრით წიგნის, სულ მცირე, 16 თავში იგი უსამართლოდაა გაკრიტიკებული, უპირატესად წინასაარჩევნო კამპანიისა და საფრანგეთ 98-ის ბილეთების განაწილების გამო.

„სამწუხაროდ, სასამართლოებში ჩივილით, მგონი, ამ წიგნს რეკლამა გავუკეთე, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ავტორი უსამართლოდ მიტევს და მე იძულებული გახლავართ საკუთარი თავი და ფიფა ეთიკური და მორალური თვალსაზრისით დავიცვა“ — განმარტავს ბლატერი — „ხმა რომ არ ამოვიღო, ხალხი იფიქრებს, რომ წიგნში რაღაც სიმართლეც წერია, არადა იქ მისი ნატამალიც არ გახლავთ. თუ ავტორი თვლის, რომ მართალია, კეთილი ინებოს და საბუთები წარმოადგინოს“.

ბლატერს ჰკითხეს, რატომ არ ქმნის კომისიას წიგნის ავტორის წინააღმდეგ. მან უპასუხა:

„დღეს მეტს ვერაფერს მოვიმოქმედებთ. იურიდიულ ნორმათა თანახმად ავტორმა ან უნდა დაასაბუთოს თავისი პრეტენზია, ან უნდა ამოიღოს ის თავები, რომლებიც ჩემს კრიტიკას ეძღვნება, ეს არის და ეს. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ“.

ანათემაა: მას უნდა მსოფლიო ფეხბურთი მართოს, შეისწავლოს და რეფორმები ჩაატაროს. მას სურს არავინ გადაეღობოს, არავინ დაახარჯინოს დრო და არავინ მიაყენოს ჩრდილი ფეხბურთს, როგორც პლანეტაზე სპორტის უმთავრეს სახეობას. ფეხბურთი ამ საუკუნეში პირველობდა და მომავლშიც ასე უნდა დარჩეს“.

კირ რედნიჯი
„უორლდ სოკერიდან“
თარგმნა მიხეილ სურგულაძემ

ფეხბურთის რუკასთან

დანიის ჩემპიონატი. 32-ე ტური: ფრემადი — კოპენჰაგენი 3:3; ბ 93 — ერფოლგე 1:2; ვიბორგი — ორჰუსი 3:1; აბ — სილკებორგი 4:2; ბრონდბიუ — ვაილე 1:2; ოლბორგი — ლუნგბიუ 3:3. „ოლბორგი“ ჩემპიონია და ბოლო ტურის წინ 64 ქულა აქვს. მას 6 ქულით ჩამოჩრება „ბრონდბიუ“, ხოლო მესამეა დედაქალაქის AB, 56 ქულით.

უნგრეთის ჩემპიონატი. 33-ე ტური: კერულეტი — დიორ ეტო 3:3; შიოფოკი — ბვსც 0:1; ჰალადაში — ზალაეგერშეგი 0:0; დუნაფერი — ვიდეოტონი 3:1; მტკ — უიპეშტი 2:0; ვაშაში — ფერენცვაროში 2:1; გაზერი — დებრეცენი 2:1; დიოშდიორი — ნიერშეგი 1:0; კიშპეშტი — ვაცი 2:1. მტკ-ს 83 ქულა აქვს, „ფერენცვაროშს“ - 64, „უიპეშტს“ — 60.

შოტლანდიურ „სელტიკს“ ორი ახალი მოთამაშე ჰყავს. ისინი ბულგარეთის ნაკრების ნახევარმცველები, სტელიან პეტროვი და მილენ პეტკოვი გახლავან. გლაზგოური გაზეთების ცნობით პეტროვ-პეტკოვის წყვილი დღეს, პირველად მივა „სელტიკის“ საწვრთნელ ბაზაზე. „დეილი რეკორდი“ აზუსტებს, რომ მის სანაცვლოდ კლუბმა 8,08 მილიონი დოლარი გადაიხადა. 19 წლის პეტროვი და 25 წლის პეტკოვი აქამდე სოფიის ცსკა-ს წევრები იყვნენ. მათ, გასულ ოთხშაბათს, ბულგარეთისა და ინგლისის ნაკრებების შეხვედრაში გამოიჩინეს თავი და ბრიტანეთის რამდენიმე კლუბის ინტერესიც დაიმსახურეს. ცნობილი გახდა, რომ ეს ბულგარული დუეტი ინგლისური პრემიერლიგის სამ კლუბს, „ნიუკასლ იუნაიტედს“, „ლიდს იუნაიტედს“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ სურდა. მათ, პარასკევს, ცსკა-ს ოფისში ოფიციალური ქაღალდიც კი გაუგზავნიათ, მაგრამ „სელტიკმა“ კონკურენტებზე მეტი გულუხვობა გამოიჩინა, მარტო პეტკოვში 3,55 მილიონი გაიღო და გარიგებაც შედგა.

იტალიაში საოცრება მოხდა: მოყვარულთა (ბუნებრივია ვაჟთა) გუნდს მწვრთნელად ქალი, კაროლინა მორაჩე, დაუნიშნეს. სინიორა მორაჩე ცნობილი იყო, როგორც მდედრი „სკუადრა აძურას“ თავდამსხმელი და „ტელე მონტეკარლოს“ კომენტატორი (ვაჟთა შეხვედრების რეპორტაჟები მიჰყავდა), ახლა კი „ვის აურელიას“ თავქალად აყურთხეს. 35 წლის ქალბატონის ამბავი იტალიაში საგანგებო განხილვისა და ლაღობის საგნად იქცა, მაგრამ თავად უდრტვინველად შეეგება ჟურნალისტებს. „პირველი ქალი მწვრთნელი რომ ვარ, ეს არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრს ვმუშაობ“ — განაცხადა მან.

სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევში უგანდის ნაკრებმა ზიმბაბვეს 1:0 მოუგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი ენდრიუ მუკასამ 68-ე წუთზე გაიტანა. საპასუხო მატჩი ზიმბაბვეში გაიმართება.

იაპონიის ნაკრების მწვრთნელი, ფრანგი ფილიპ ტრუსიე შეიძლება თანამდებობას გამოეთხოვოს. მიზეზი: რაც ამომავალი მზის ქვეყანაში საქმეს შეუდგა, ანუ სექტემბრიდან, იგი გამუდმებით ეკამათება ქვეყნის საფეხბურთო საქმეთა მმართველებს. იგი ამტკიცებს, რომ იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია, ჯეი ლიგის თავკაცობა და ასე განსაჯეთ, თვით სპონსორი, „კირინიც“ კი, საფეხბურთო საქმეებში სრულიად გაუთვითცნობიერებულნი არიან. და მაინც, ჯერჯერობით, მის მიმართ არავინ ავლენს აგრესიას. მაგალითად, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, შან-იჩირო ოკანო ბრძანებს, რომ, პირადად, ძალიან მოსწონს ტრუსიეს საქმიანობა და კმაყოფილია იმით, რასაც ფრანგმა გასული ზამთრის განმავლობაში მიაღწია, თუმცა დასძენს, რომ 44 წლის ტრუსიეს მეტი მუყაითობა მართებს. „ერთადერთი პრობლემა ის გახლავთ, რომ იმდენი დრო, მას რომ სურს, არ გვაქვს“ — დასძინა პრეზიდენტმა.

ბრაზილიელმა ჯოვანიმ აღიარა, რომ „ბარსელონას“ იგი აღარ სურს, რაც მწვრთნელთან, ლუის ვან გაალთან და პრეზიდენტთან, ხოსე ლუის ნუნიესთან შეხვედრისას გაირკვა. მისთვის უთქვამთ, ახალი კლუბი ეძიეო. „ყველა ღონეს ვხმარობ, რათა არ ჩავიძირო, თუმცა ამიერიდან ჩემი ბედი ღვთის ხელშია“ — თქვა ფეხბურთელმა. ჯოვანისა და ვან გაალს შორის უთანხმოება ბაშინ დაიწყო, როდესაც მოთამაშემ მწვრთნელს უსაყვედურა, ჩემთვის სასურველ პოზიციაზე არ მათამაშებთო, რის გამოც მეორე წრე სათადარიგოთა სკამზე გაატარა. შეგახსენებთ, რომ ჯოვანი კატალონიაში 1996 წელს, მშობლიური „სანტოსიდან“ გადავიდა. ბარსელონელები მისგან საოცრებებს ელოდნენ, მაგრამ საოცრება არ მოხდა. კონტრაქტის თანახმად, ბრაზილიელმა კლუბში კიდევ ორი წელიწადი უნდა გაატაროს, ხოლო მისი გამოსასყიდი თანხა 6,30 მილიონი დოლარია. „ბარსელონაში“ მიმდინარე რეფორმების შეტევად გასაყიდთა სიაში აღმოჩნდნენ ოსკარ და როჯერ გარსიები, ალბერტ სელადესი და კარლოს ბუსკეტსი, შეძენილთა შორის კი არიან პორტუგალიელი სამაო საბროსა, ფრანგი ფრედენიკ დეუ და ფინელი იარი ლიტმანენი.

ჰოლანდიური საინფორმაციო სააგენტო ANP-ს ცნობით „ალკმაარის“ მწვრთნელის თანამდებობა დატოვა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ვიმ ვან ჰანეგემმა. გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ, რომ ვან ჰანეგემი 70-იანი წლების „ფეიენოორდის“ და ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი იყო. 1974 წელს ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ვან ჰანეგემი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა. მწვრთნელმა „ალკმაარიდან“ წასვლის მიზეზად ის დაასახელა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მის ზურგს უკან ახორციელებდა ტრანსფერებს — ფეხბურთელებს ყიდდა და უშვებდა კიდეც. აწ უკვე დასრულებული სეზონის წინ ვან ჰანეგემმა კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა ხელშეკრულების დროზე ადრე გაწყვეტა მოუწია.

ესპანეთის პრიმერა დივიზიონიდან გავარდნილი „ტენერიფეს“ თავდამსხმელმა ხუანელემ განაცხადა, რომ შესაძლოა კლუბი დატოვოს. ბოლო ტურში „ვალენსიასთან“ 3:2 მოგებული შეხვედრის შემდეგ ხუანელეს გულშემატკივრები მიუვარდნენ და გალახვას უპირებდნენ, თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეს. „კლუბთან ხელშეკრულება ჯერ არ მიმთავრდება, მაგრამ ალბათ „ტენერიფეს“ დავტოვებ. აქ ისეთი სიტუაციაა, მე ვერ გავძლებ“ — განაცხადა ხუანელემ.

რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბმა ტულის „არსენალმა“ ცნობილი ინგლისელი სეხნია თავისთან მიიწვია ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. ტულის კლუბის გენერალურმა დირექტორმა ვიქტორ ციაბუსმა განაცხადა, რომ ლონდონის „არსენალი“ ივლისის შუა რიცხვებში მიიპატიჟეს მათთან და მოსკოვის „სპარტაკთან“ ორი ამხანაგური მატჩის სათამაშოდ.

სტუდენტთა ლოზუნგ-პლაკატებს წვიმა, ხოლო იმედებს წყალი გადასცა

საბართველოს ჩემპიონატი — ნახევარ მატჩი ფინალი

ვითა — სტუ 2:0
სამ მოგებამდე

14 მაისი. თბილისი. ვერის ბაღი

ვითა 77:73 სტუ

I ტაიმი 29:40

ვითა: უსტიაშვილი (6), აბრამიძე (5), დავითულიანი (4), ორმოცაძე (2), კორძაძე (6); ბაქრაძე (1), ტურაშვილი (15), ახალკაცი (2), კოკოლიშვილი (19), ჩუბინიძე (17)

სტუ: დ. მოისწრაფიშვილი (2), რ. ჩხეიძე (11), გ. ნაცვლიშვილი (6), ოთიურიძე (12), ვ. ნაცვლიშვილი (23); გ. გაგნიძე (9), ჩერქეზიშვილი (5), ლოსაბერიძე, ცქიტიშვილი (5)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე



გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

ვითა — სტუ. სტუდენტა შორის ვახტანგ ნაცვლიშვილი (მარცხენა ფოტოზე შავი ფორმით) გამოირჩეოდა, ვითელთაგან საუკეთესო კი მამუკა ტურაშვილი (მარჯვენა ფოტოზე ბურთით) იყო

ქართველ კაცს კარგა ხნის წინათ უთქვამს: კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდესო, და დღეს რომ იგივე გავიმეოროთ, მე მგონი გასაკვირი არ იქნება. შეიძლება ევროსაბჭოში შემავალი სხვა ქვეყნის წარმომადგენელთათვის ყოფილიყო უცნაური, თორემ ვერის ბაღში შეკრებილ გულშემატკივრებს სულაც არ გაკვირვებიათ, რომ კოკისპირული წვიმა ქუჩასთან შედარებით არანაკლები ეშხითა და ლაზათით ჩამოდიოდა ტრიბუნებსა და საკალათბურთო მოედანზე. მომსახურე პერსონალი სპორტსმენებთან და მსაჯებთან ერთად მამაპაპური ჯოხითა და ჩვრით ცდილობდა მოედნის წესრიგში მოყვანას, მაგრამ სტიქიას ჩვარი რომ უმკლავდებოდეს, კაცობრიობა ტექნიკის პროგრესზე აღარ იფიქრებდა. საბოლოოდ, ბუნებამ გაიღო მოწყალება, წვიმამ იკლო და შეხვედრაც დაიწყო, ოღონდ 8 წუთის დაგვიანებით.

მატჩი კი ისეთივე გამოდგა, როგორიც 14 ივნისის ამინდი, რომელმაც დილის მცხუნვარე მზით აგვისტოს პაპანაქება სანატრელი გაგვიხადა, ხოლო საღამოს კი მოულოდნელი ნიაღვარი და სეტყვა მოაყოლა.

პროგნოზების საწინააღმდეგოდ, მატჩის სადავეები თავიდანვე სტუ-მ იგდო ხელთ. ჯერ მოისწრაფიშვილმა დასარული სტუდენტების პირველივე შეტევა ორქულიანით. მალე ვახტანგ ნაცვლიშვილმა ივარგა, ხოლო რამდენიმე წამში მისი ძმა გიგიმ გაიმეორა იგივე. მეტოქისაგან განსხვავებით, ვითელთა ნასროლი ბურთი ჯიუტად არ ეშვებოდა კალათში. პირველი ქულები გოდერძი კორძაძემ მიითვალა, ოღონდ მე-3 წუთის ბოლო წამებზე. მისმა თანაგუნდელებმაც აჯართხელ მოსინჯეს სტუ-ს კალათი, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მიზეზი კი სტუ-ს ოსტატური თამაში იყო მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში.

როდესაც მე-8 წუთზე 17:8 გახდა სტუ-ს სასარგებლოდ, „ვითამ“ წუთშესვენება აიღო. მწვრთნელმა ტომარაძემ აბრამიძე ტურაშვილით შეცვალა, ხოლო დავითულიანის ადგილი კოკოლიშვილმა დაიკავა. მოგვიანებით ორივე მოთამაშე მატჩის გმირი გახდა, მაგრამ პირველ ტაიმში ისინიც უძლურნი იყვნენ მეტოქის წინაშე. სამაგიეროდ, მოედანზე შესვლისთანავე გაიბრწყინა ჩუბინიძემ. იგი ცენტრში ჯარასავით დატრიალდა და თანაგუნდელთა შელახული იმიჯი ოდნავ გამოასწორა. ერთი კაცი საბრძოველად შემართული სტუდენტების წინააღმდეგ, აბა, რას გახდებოდა. სტუდენტებმაც ანგარიშში სხვაობა 14 ქულამდე აიყვანეს.

ტაიმის დასრულებამ სტუ-ს 11-ქულიანი უპირატესობა — 40:29 დააფიქსირა, რამაც სტუდენტებს სერიის ანგარიშის გათანაბრების იმედი, ხოლო „ვითა“ თავსატეხი გაუჩინა.

მეორე ნახევრის დასაწყისში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ჩუბინიძემ, რომელმაც ორი სროლის შედეგად მოგროვილი ხუთი ქულით საფუძველი ჩაუყარა გარდატეხას თავისიანთა სასარგებლოდ. თუმცა ფაქტი იყო, რომ ვახტანგ ნაცვლიშვილი და ძმანი მისნი მოპოვებულ უპირატესობას იოლად არ დათმობდნენ. შესვენების შემდეგ, ვატოს თანაგუნდელები, ლიდერისგან განსხვავებით, პირველი ტაიმის აჩრდილიღა იყვნენ, ხოლო ზემოთ ნახსენები ტურაშვილი და კოკოლიშვილი ახლა იწყებდნენ ბრძოლას.

დავიწყოთ მამუკა ტურაშვილით, რომელიც ყველაფრით და ყველათი უკმაყოფილო, მომენტს არ უშვებდა ემოციების გადმოსაფრქვევად. არაჩვეულებრივი ფიზიკური მონაცემებისა და შეუპოვარი ხასიათის კოკოლიშვილი კი უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს.

ძალზე დაძაბული გამოდგა მეორე ტაიმის ბოლო 4 წუთი. ტურაშვილმა მე-17 წუთზე ზუსტი სამქულიანით პირველად შეამცირა სხვაობა ერთ ქულამდე — 64:65. რამდენიმე წამის შემდეგ იმავე ტურაშვილს საჯარიმოებით შეეძლო თანაგუნდელთა დაწინაურება, მაგრამ ორივე აცილა. ვითელთა აღელვება სტუდენტებსაც გადაედოთ. ოთიურიძემ მიბაძა მეტოქეს და ორივე საჯარიმო გააცუდა. წუთნახევრის განმავლობაში მოედანზე უშელავათო ბრძოლა იყო. მეტოქეებს ნერვები ისე ჰქონდათ დაძაბული, აშკარა გახდა, ვინც პირველი ჩააგდებდა, უდიდეს ფსიქოლოგიურ უპირატესობას მიიპოვებდა. რკინის ნერვები აღმოაჩნდა ნუგზარ კოკოლიშვილს, რომელმაც ზუსტი სამქულიანით პირველად დაწინაურა „ვითა“, და, რაც ყველაზე მთავარია, ამით თანაგუნდელებს თავდაჯერება გადაუნაწილა.

მე-18 წუთიდან კი მოედანზე კალათბურთის თამაში აღარ იყო და მეტოქეები ერთმანეთს საჯარიმოების სროლაში ეჯიბრებოდნენ კოკოლიშვილმა ყველა საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ოთიურიძეს და ვახტანგ ნაცვლიშვილს თითო საჯარიმო გაუცუდდათ.

ამრიგად, სტუ-ს გუშინდელი დღესავით მშვენივრად დაწყებულ მატჩს, „ვითამ“ ხოშკაკალა დააყარა და სტუ-ს ლოზუნგებს, პლაკატებს და საფინალო იმედებს ცივი წყალი გადაასხა. ზედიზედ სამჯერ „ვითა“ ჯერ არ დამარცხებულა და 2:0-ის შემდეგ ჩემპიონის ფინალში თამაში მხოლოდ დროის ამბავიღა უნდა იყოს.

როლანდ ლაგუჩიძე

საბართველოს ჩემპიონატი — ნახევარ მატჩი ფინალი

აზოტი — თსუ 2:0
სამ მოგებამდე

14 მაისი. თბილისი. ვერის ბაღი

აზოტი 96:79 თსუ

I ტაიმი 48:38

აზოტი: ჟღენტი (13), გაბისონია, გოგობერიშვილი (30), ბაბიაშვილი (15), ჯაფარიძე (22); ბერუაშვილი (7), გოგოლაძე (4), ჩაჩუა (5), ჯიმშელეიშვილი

თსუ: ვეფხვაძე, წოწელია (5), მარკოიშვილი (14), ქარაბაკი (29), ხელაშვილი (10); არსიაშვილი (4), მშვილდაძე (1), მგალობლიშვილი (4), დიმიტრიადი (12)

მსაჯები: ნუგზარ ჭეიშვილი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

ახალი რა იყო? ორლარიანი ბილეთი!

სულ სხვა ფასი დაედო ახლა ვერის ბაღს. ფინალური ოთხეული გახურდა და დარბაზში უფულოდ მოხვედრა თუ გსურთ, ნურას უკაცრავად. ყველა მოსურნემ კეთილი უნდა ინებოს და ჯიბეზე ხელი გაიკრას — თამაშზე დასწრება თუ გინდათ, ორლარიანსაც შეელიეთო, ყველას გასაგონად გაჰკივის შესასვლელში გახიდული კარისქალი და ჯიუტ ქომაგობასაც სულ ბუზებივით იგერიებს.

— თქვე კაი ხალხო, ასე თუ იყო, ადრე მაინც გეთქვათ, ახლა ფულის მოსატანად შინ ხომ არ გავიქცევით — ცხარობდა გულშემატკივარი. მავანი საკუთარ თავსაც უწყრებოდა, ეს როგორ ვერ გავითვალისწინეო.

ქომაგთა მღელვარება ერთის მხრივ გასაგებიც იყო. სპორტის სასახლეში სულ რაღაც ლარად მოხვედრას ჩვეულნი (თანაც სანაკრებო თამაშებზე) ვერაფრით წარმოიდგენდნენ, ვერის ბაღში შედწევა მსხვერპლის (ფულის) გაღებად თუ დაუჯდებოდათ. არა უშავს, ახლა უკვე ეცოდინებათ და თავიდანვე თადარიგს დაიჭერენ, თუ არადა მერვე ეროვნულის ყველაზე საინტერესო მოვლენების მიღმა დარჩებიან.

ეგ იქით იყოს და გუშინ ჟურნალისტებსაც გვარიანად დასცხათ. ჯერ ისედაც დარბაზში აუტანლად ცხელოდა, მაგრამ ამას ვინ დაგვიდევდათ? — მთავარი შიგნით შესვლა და მოკალათება იყო, რაზეც მას-მედიის ზოგიერთი წარმომადგენელს კალათბურთელებზე არანაკლები ოფლისღვრა დასჭირდა. ეგ არის ნატანჯ კოლეგებს შორის მე არ აღმოვჩნდი, რადგან ფედერაციის მიერ საგანგებოდ დაბეჭდილი რამდენიმე საშვიდან ერთ-ერთი მეც მერგო, თორემ განცდით პრესა-ტელევიზორს სხვა თანამშრომლებზე ნაკლებად როდი განვიცადე.

თავად მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა, პლეი ოფში ფორით, 1:0-ით შესული „აზოტს“ გამარჯვება ეწადა, მათი გულშემატკივარიც ამასწინათ თსუ-სთან სამარცხვინო წაგების გამო რევანშს ითხოვდა. თავის მხრივ სტუდენტებიც მოგებას და სერიაში ანგარიშის გათანაბრებას ლამობდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

აზოტელები, ამავე მეტოქესთან ერთი კვირის წინანდელი შეხვედრისგან განსხვავებით სულ სხვა რიხით წარდგნენ მოედანზე. თავიდანვე საბრძოლო სულისკვეთებით მიეჭრნენ მოწინააღმდეგეს და მიზანსაც, შეიძლება ითქვას, იოლად მიაღწიეს, ყოველ შემთხვევაში, ვიცე-ჩემპიონებს დიდი ჯაფა ნამდვილად არ დასდგომიათ — თვითოეულ რგოლში ამ გუნდის უპირატესობა აშკარა იყო.

გაცილებით მეტს ველოდით თსუ-სგან, თუმცა... ეს სულაც არ გახლდათ სტუდენტთა საუკეთესო თამაში. რომ არა მათი ლიდერი ლევან ქარაბაკი, სხვაობა უფრო თვალში საცემი იქნებოდა. სტუდენტური გუნდის ერთადერთი ნათელი წერტილი სწორედ ქარაბაკი იყო, მაგრამ მან ეულად ვერაფერი გააწყო მძლავრი რუსთავული კლუბის წინააღმდეგ.

თავიდან ბაბიაშვილმა და ხელაშვილმა გაცვალეს ქულები, უმალ გოგობერიშვილმა შეუტია, ბურთიც ჩააგდო და მეტოქე ერთი პერსონალურითაც დასაჯა, თუმცა თსუ-ს საპასუხო შეტევისას ქარაბაკმაც იგივე მოიმოქმედა 5:5.

დაცვაში ზონურად მოთამაშე სტუდენტები შემდეგ პერსონალურ მეურვეობაზე გადაეწყვნენ, რაც „აზოტმა“ სათავისოდ გამოიყენა და იმავე ბაბიაშვილისა და ჟღენტის სწრაფი გარღვევებით წინ გავიდა. მწვრთნელმა ნოდარ ქორქიამ წუთშესვენება ითხოვა და შეგირდებს მეტი აქტიურობა მოსთხოვა, თუმცა თამაშში რაიმე ტაქტიკური ცვლილება მას რა შეუტანია. ერთადერთი, რაც ქორქიას ნააზრევიდან გამოჩნდა, ის იყო, რომ გუნდს რაც შეიძლება ხშირად უნდა ეცვალა დაცვითი სისტემა. ამან ერთხანს არეულობა შეიტანა თსუ-ს ბანაკში და მოწინააღმდეგეს ისინი 9 ქულითაც ჩამორჩნენ, თუმცა მოგვიანებით ალღო აუღეს ვითარებას, რამდენიმე შეტევა ჩაუშალეს მეტოქეს და მარკოიშვილისა და წოწელიას ზუსტი სამიანებით სხვაობა სამ ქულამდე შეამცირეს.

„აზოტის“ მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ საფრთხე უმალ იგრძნო. დროული წუთშესვენება და მისი გაწვრთნილებიც სულ სხვა გულისყურით მოეკიდნენ დაცვას. იყო დაახლოებით სამწუთიანი მონაკვეთი, როცა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ქულის მოპოვება, მაგრამ ეს დიმიტრიადის დაჯარიმებით და ჯაფარიძის ზუსტი პერსონალურებით დასრულდა. ამან თითქოს გატეხა თსუ, „აზოტმა“ კი პირიქით, საკუთარი ძალა ირწმუნა და სულ მალე ბაბიაშვილის ჩატენვის შემდეგ სხვაობა ათი ქულა გახდა — 29:19.

თსუ-ს სხვა გზა რომ აღარ დარჩენოდა, აქცენტი მთლიანად ქარაბაკზე გადაიტანა. თანაგუნდელებმა მისი პასებით მომარაგებას მიჰყვეს ხელი, თავი არც ლევანს შეურცხვენია და ზედიზედ შვიდი ქულა გაახერხა, მაგრამ ახლა ჯაფარიძის ჯერი დადგა და მანაც ამდენივე ქულა მიითვალა. ათქულიანი სხვაობაც ტაიმის ბოლომდე ძალაში დარჩა.

მეორე ნახევარიც ასეთივე სცენარით დაიწყო. ეგ არის, თამაში შესამჩნევად გაიხსნა, რადგან გუნდები დაცვაზე მეტად შეტევაზე ფიქრობდნენ. ყოველივე „აზოტის“ წისქვილზე ასხამდა წყალს — მატჩის ამგვარი მსვლელობა ხომ სწორედ მას აძლევდა ხელს.

ნოდარ ქორქია ზედიზედ იღებდა წუთშესვენებებს, მაგრამ აშკარა იყო, რომ მადაგახსნილ „აზოტს“ თსუ უფრო და უფრო ძნელად უმკლავდებოდა. რუსთაველთაგან მეორე ტაიმში გოგობერიშვილი გამოირჩეოდა, მისი ნასროლი თითქმის ყოველთვის მიზანს აღწევდა, პასებსაც დროულს და შეუმცდარს აჩენდა. ამიტომაც იყო, რომ შუაგული ტაიმისთვის ვიცე-ჩემპიონი 17 ქულითაც დაწინაურდა (75:58). დროთა განმავლობაში სტუდენტებმა 6 ქულა კი გაქვითეს, მაგრამ, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს მათი მაქსიმუმი იყო. თსუ ძალიან განერვიულდა, მოთამაშეებმა გარბენებს უხშირეს და ერთი ორჯერ მეტად მოხერხებული სიტუაციდანაც ვერ ივარგეს. ასეთებს კი „აზოტი“ არავის აპატიებს. გუნდმა შეძლო ბურთის დაჭერა, მწვრთნელის დავალებას — ბურთი ოცდაათი წამი გაეთამაშებინათ — კალათბურთელებმა თავი გაართვეს და...

სერიის ანგარიში 2:0 გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „აზოტს“ ერთი ნაბიჯილა აშორებს ფინალს. ძალიან საეჭვოა, მთ ამ გზაზე თსუ გადაეღობოს...

გიორგი ბიძაშვილი

1999 NBA PLAYOFFS

კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

ნიუ იორკი პირველი მერვეა...

REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკს ალან ჰიუსტონმა (მარცხნივ) და ლატრელ სპრიუელმა მოაგებინეს

ნიუ იორკის მოთამაშეები ტრავმირებულ ლარი ჯონსონს (№2) შემოეხვივნენ

აღმოსავლეთი

ინდიანა — ნიუ იორკი 2:4

11 ივნისი

ნიუ იორკი 90:82 ინდიანა

ნიუ იორკი: ვორდი, ჰიუსტონი (32), სპრიუელი (20), ჯონსონი (8), დადლი; კემბი (15 ქულა, 9 მოხსნა), ჩაილდსი (9), ტომასი (6)

ინდიანა: ჯეკსონი (14), მილერი (8), მულინი (1), დ. დევისი (8 ქულა, 12 მოხსნა), სმიტსი (20 ქულა, 8 მოხსნა); როუზი (16), ბესტი (7), ა. დევისი (4), მაკკი (4), პერკინსი

ჩამთავრდა 11 ივნისის მატჩი და უცნობილეს „მედისონ სკვერ გარდენში" შეკრებილი ოციათასკაციანი აუდიტორიის გუგუნმა ლამის ჩამოანგრია დარბაზის ჭერი. მათი ჯილა „ნიუ იორკ ნიქსი" 54-წლიანი არსებობის მანძილზე მერვედ გავიდა ასოციაციის ფინალში. აი, ინდიანას პირველმა ფინალმა კი ჩაილურის არა და ჰუსონის წყალი დალია. პლეი ოფის ბოლო ექვს გათამაშებაში „პეისერზი" მეოთხედ ცდილობდა პლეი ოფში პირველად შერკინებოდა დასავლურ გუნდს, ამის საშუალებას, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ ფინალში გასვლა იძლევა, მაგრამ საოცნებო ფინალს ვერა და ვერ შესწვდა. ამ ეტაპზე იგი უკვე მეორედ შეიქნა ნიუიორკელთა მსხვერპლი და, ალბათ, კარგა ხანს იქნებიან ეს უკანასკნელნი ყველაზე საძულველნი შტატების კვალობაზე პროვინციელებად მიჩნეულ ინდიანელთათვის. სწორედ ნიუ იორკი იყო, 1994 წელს აღმოსავლურ ფინალში პირველად გასული ინდიანა რომ დაიფრინა. მაშინ „პეისერზი" სერიას 3:2 იგებდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარად.

მეტ წინააღმდეგობას მოელოდნენ ინდიანასგან, მაგრამ გუნდმა ბოლო ორი მატჩი აშკარად დათმო და ამის მიზეზი ყველაზე უფრო გუნდის ლიდერის და სამქულიანების დიდოსტატის რეჯი მილერის უკბილო გარჯაა. მან, თავისუფლად შეიძლება ითქვას, აშკარად ჩააგდო ნიუ იორკიდან სერია მაშინ, როცა მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ნიუ იორკს არაერთხელ უწვნევია თავის თავზე მილერის სამქულიანების გემო და ახლაც ამასვე ელოდა. მილერიც ისროდა და ისროდა, თუმცა რვა სროლიდან ერთადერთი ჩაადო და მისი დონის კალათბურთელისთვის სამარცხვინო რვა ქულას მოუყარა თავი. სამაგიეროდ, თავი გაიგიჟა ნიუიორკელმა ალან ჰიუსტონმა, რომელიც წამითაც არ სცილდებოდა მილერს და მშვენივრადაც წაუვიდა საქმე, მან 17 სროლიდან 12 ჩაადო, ათი საჯარიმოდან — რვა და სულ 32 ქულა შეაწია თავისიანებს.

ინდიანას თითქოს ურიგოდ არ დაუწყია მატჩი. საწყისი მეოთხედი სამი ქულის სხვაობითაც მოიგო, მაგრამ მეორეში სტუმარმა გუნდმა უამრავი სროლა გააცუდა და ნიუ იორკი გვარიანად გაიჭრა წინ, თითქოს შეუძლებელიც ჩანდა მათი შეჩერება, მაგრამ ინდიანას თითქოს ეშველა, პირველი ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ნიუიორკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა და ინდიანელთა არაერთხელ გამამწარებელმა ლარი ჯონსონმა მუხლის ტრავმა მიიღო და თავისიანებს გამოაკლდა. სტუმრებმა მეტი შემართებით დაიწყეს ბრძოლა, მძლავრად შეუტიეს სმიტსის მეთაურობით და მესამე მეოთხედი თანაბარი ანგარიშით — 59:59 ჩამთავრდა. თუმც ბოლო მეოთხედში ექვსი საჯარიმოს გამო უკვე სმიტსმა გადაინაცვლა სათადარიგოთა სკამზე, ამასთან მის გუნდელებს საკმაოზე მეტი პერსონალურები დაუგროვდათ, ნიუიორკელი მანქანა კი მშვენივრად მუშაობდა. მასპინძელთა ტრიო ჰიუსტონ-სპრიუელ-კემბის შემადგენლობით უმოწყალოდ ბომბავდა მეტოქის კალათს. ისინი შეუჩერებელნი იყვნენ და ინდიანაც უზომოდ გაწბილებული, შეხვდა საფინალო სირენას. ნიუ იორკში კი ხარობენ. „ნიქსი" ნბა-ს ისტორიაში პირველი მერვე ნომრად განთესილი გუნდია, რომელმაც ფინალს მიაღწია.

ირაკლი ფირაშვილი

ფინალი (ოთხ მოგებამდე)

სან ანტონიო	—	ნიუ იორკი
16 ივნისი		სან ანტონიოში
18 ივნისი		სან ანტონიოში
21 ივნისი		ნიუ იორკში
23 ივნისი		ნიუ იორკში
თუ საჭირო გახდა		
25 ივნისი		ნიუ იორკში
27 ივნისი		სან ანტონიოში
29 ივნისი		სან ანტონიოში

ფილ ჯეკსონი ლეიკერსში?



ამჟამად უმუშევარმა ფილ ჯეკსონმა შესაძლოა ლეიკერსი გაწვრთნას

სარბიელის არქივიდან

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" გუნდის გაწვრთნა შესთავაზა ფილ ჯეკსონს, კაცს, რომელმაც ექვსჯერ გაჩემპიონა „ჩიკაგო ბულზი" და ამჟამად უმუშევარია.

წინასწარი საუბარი რომ იყო, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ „ლეიკერსის" ალმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ჯერი ვესტი ბოლომდე გულახდილი მაინც არ არის: „ არ ვუარყოფ, რომ ფილ ჯეკსონს მწვრთნელობა შევთავაზეთ, თუმცა, მის გარდა კიდევ რამდენიმე კანდიდატურა გვყავს შერჩეული. ყველას უნდა გავესაუბროთ."

სააგენტო „ფოქს სპორტ ნიუზმა" გაავრცელა ცნობა, რომ „ლეიკერსმა" შესთავაზა 53 წლის ჯეკსონს ოთხწლიანი და 20-მილიონიანი კონტრაქტი. ამის თაობაზე ჯერი ვერსტი კატეგორიული იყო: „ჯეკსონთან ფულზე არ გვისაუბრია. საერთოდ, კონტრაქტზე ფიქრი ჯერ ნაადრევია."

კომენტარი „ლეიკერსის " ფლობელს ჯერი ბასს სთხოვეს. მან ეს ცნობა არც უარყო, არც დაადასტურა: „ქალაქიდან ვიყავი გასული. ჯერი ვესტს უნდა ვესაუბრო. ვნახოთ."

ჯეკსონის აგენტმა, ჩიკაგოში მყოფმა ტოდ მასბურგერმა განაცხადა, რომ მის კლიენტს ჰქონდა სერიოზული მოლაპარაკება „ლეიკერსთან".

გუნდის ახლანდელ მწვრთნელს, 26 თებერვალს დანიშნულ კურტ რამბისს იმედი ჰქონდა, რომ თანამდებობაზე მომავალ სეზონშიც დარჩებოდა, მაგრამ მას, ალბათ, ძველი კონტრაქტით დაკმაყოფილება მოუწევს. მის მიხედვით, რამბისი ამ სეზონს დასრულებისთანავე გათავისუფლდება. თუმცა, ჯერი ვესტის თქმით, მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი სწორედ რამბისია.

თავად ფილ ჯეკსონის აზრის გაგება ვერ მოხერხდა, რადგან იგი ალიასკაზე ყოფილა დასასვენებლად.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. XXXIV ტური

17.06	უნტერჰახინგი — კარლსრუე	2,0	3,0	2,0
	ჰანოვერი — ვატენშაიდი	1,2	4,0	8,0
	ულმი — ფიურტი	1,15	3,8	8,0
	გიუტერსლო — ფორტუნა	1,9	2,9	3,6
	მაინცი — ბერლინი	1,8	3,0	4,0
	კიოლნი — არმინია	3,0	2,9	2,2
	ზტ. პაული — კიკერსი	1,8	3,0	4,0
	კოტბუსი — ურდინგენი	1,7	3,1	4,4
	ობერჰაუზენი — დიუსელდორფი	1,3	4,0	7,5

ჰოლანდიის ჩემპიონატი. გადასასვლელი ტურნირი. V ტური

16.06	დორდრეხტი — ემენი	2,4	2,9	2,6
	ვალვაიკი — ზვოლე	1,5	3,4	5,6
	ჰელმონდ სპორტი — გრონინგენი	6,5	3,6	1,4
	სპარტა — ექსელსიორი	1,1	6,0	12,0

შვედეთის ჩემპიონატი

15.06	ჰელსინგბორგი — ელფსბორგი (X ტური)	1,4	3,5	7,0
16.06	იორებრო — ჰამარბი (XI ტური)	1,6	3,0	5,6
17.06	ჰალმსტადი — იურგარდენი (XI ტური)	1,3	4,0	7,5

ნორვეგიის ჩემპიონატი. XI ტური

16.06	ლილესტრიომი — ვალერენგა	1,6	3,0	5,6
	მოსი — სტრომგოდსეტი	1,5	3,3	6,0
	ოდ გრენლანდი — მოლდე	3,0	3,0	1,9
	სკეიდი — კონგსვინგერი	1,7	3,0	4,7
	ვიკინგი — რუსენბორგი	3,5	3,0	1,8
	ტრომსო — ბოდო გლიმტი	1,7	3,0	4,7
17.06	სტაბეკი — ბრანი	1,6	3,0	5,6

ესპანეთის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

15.06	დეპორტივო — ატლეტიკო	1,9	2,8	3,8
16.06	რეალი — ვალენსია	1,6	3,2	5,0

ჰოკეი. NHL. ფინალის IV მატჩი

15.06	ბუფალო — დალასი	1,7	4,4	2,4

კალათბურთი. NBA. ფინალის I მატჩი

16.06	სან ანტონიო — ნიუ იორკი	1,3	12,0	2,8

ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალი

15.06	რუსეთი — შვედეთი	1,6	8,0	1,8

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. მერვე ტური

აურზაური ოვალურ სახლში

ბათუმი. 13 ივნისი

დათვები — ლოკომოტივი 1

17:17 (6:3)

დათვები: აშვეთია, გურგშიძე, ფირცხალავა, რეხვიაშვილი, სვანიძე, გოგისვანიძე (ჩუბინიძე), ფხაკაძე, აბდალაძე (აბაშიძე), გიორგაძე (გაბელაია), ნ. ძაგნიძე, ხონელიძე, ძოწენიძე (დავლაძე), ე. ძაგნიძე, შარვაშიძე, მაჩიტიძე

1 ლ — ფირცხალავა; **2 ა** — ნ. ძაგნიძე, ე. ძაგნიძე; **2 გ** — ნ. ძაგნიძე

ლოკომოტივი 1: კერესელიძე (აბრამიშვილი), ჯაველიძე (თოფურიძე), მაჭუტაძე, მოგელაძე, ღიბრაძე (ჩადუნელი, ცხომელიძე), კობახიძე, კაცაძე, კახიანი, იოვაძე, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, ძნელაძე, ალანია, ქავთარაშვილი, ასთიანი

1 ლ — იოვაძე; **4 ს** — კვინიხიძე

დროებითი გაძევება: კობახიძე (ლოკომოტივი 1), ფირცხალავა, გაბელაია (დათვები)

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: ა. ქურდობაძე

მატჩის შემდგომ განვითარებული მოვლენების მიუხედავად, მთავარი სანახაობა თავად შეხვედრა იყო, რომელშიც პირველობაში დაუმარცხებელნი — ბათუმის „დათვები“ და თბილისის „ლოკომოტივი 1“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საათნახევრიანმა ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. გუნდები კვლავაც დაუმარცხებულნი არიან, მაგრამ თუ რკინიგზელები პირველ წრეს წაუგებლად დაასრულებენ, დათვებს ასეთი შედეგის მისაღწევად გვარიანი ჯაფა დაადგებათ. ბოლო, მე-9 ტურში მათ ხომ თბილისის „ყოჩებთან“ მოუწევთ სტუმრობა. ბათუმელების მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გუნდში ბევრი ტრავმირებული მორაგბეა და მათ რომ ვერ ითამაშონ, უფრო გაურთულდება გუნდს საქმე, თუმცა „დათვებმა“ თავისი ძალა უკვე წარმოაჩინეს და არა გვგონია, ორი-სამი მობურთალის გამოკლებამ გუნდის მნიშვნელოვნად დასუსტება გამოიწვიოს.

შეხვედრის დაძაბულობაზე ანგარიშიც მეტყველებს. მეტოქეებმა მხოლოდ თითოჯერ მოახერხეს ლელოს გატანა. ანგარიში ხომ თანაბარი იყო და გაცუდებულ დარტყმათა რაოდენობაც ორივე გუნდს სამ-სამი ჰქონდა — ორ-ორი საჯარიმო და თითო-თითო გარდასახვა.

ანგარიში მატჩში უკვე მე-2 წუთზე გაიხსნა ნუგზარ ძაგნიძის მშვენიერი არეკნით. მიუხედავად იმისა, რომ დროის უმეტესი ნაწილი ბურთს რკინიგზელები ფლობდნენ. მათ ლელოს გატანის რალური მომენტი ვერ შექმნეს, თუ იმ ერთს არ ჩავთვლით. ეს კი უფრო მასპინძელთა უკანახაზელების დამსახურებაა, რომლებიც თანაგუნდელ მორკინალებთან შედარებით აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ. სწორედ სტუმართა შერკინების მოწადინების შედეგია, რკინიგზელები უფრო დიდხანს რომ ფლობდნენ ბურთს. მე-13 წუთი უიღბლო გამოდგა ალეკო ღიბრაძისთვის, რომელმაც ტრავმა მიიღო და უფრო ზუსტად კი, უბურთოს ეთამაშნენ უხეშად. მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ათ წუთში კი უკვე ნუგზარ ძაგნიძე დაშავდა. ამ შემთხვევაში აჩიკო კობახიძემ ითამაშა უხეშად და მსაჯს მისი დროებით გაძევება მოუხდა. ამ დროისთვის ანგარიში თანაბარი იყო — 3:3. დარჩენილ დროში კი მხოლოდ მასპინძლებმა შეძლეს ქულების მოპოვება. ისევ ნუგზარ ძაგნიძემ იმარჯვა — ამჯერად საჯარიმო შეასრულა ზუსტად. მასპინძლებს ამ საჯარიმომდე ლელოს გატანის შანსი მიეცათ, როცა სტუმართა სალელოე მოედანთან ახლოს შერკინება დაინიშნა, მაგრამ დამცველებმა ივარგეს.

მეორე ტაიმის განახლებიდან ათ წუთში სტუმრები დაწინაურდნენ. ორჯერ მიეცა კვინიხიძეს საჯარიმოს დარტყმის უფლება და ორჯერვე უშეცდომოდ იმოქმედა. შეხვედრის პირველ ნახევარში მსაჯზე განაწყენებულ მასპინძელთა უკმაყოფილება მეორე ტაიმში კიდევ უფრო გამწვავდა. ამ შემთხვევაში თავს შევიკავებთ მსაჯის ნამოქმედარის განსჯისაგან. ამას სადისციპლინო-ტექნიკური კომისია მიხედავს. მაგრამ ფაქტია, რომ მთელი მატჩისშემდგომი მოვლენები ამაზე აიგო.

ტაიმის შუაწელისთვის ანგარიშში სხვაობა ისევ სამი ქულა იყო სტუმართა სასარგებლოდ, ოღონდაც მეტოქეებმა თითო-თითო ლელოს გატანა მოასწრეს. პირველად ეს მასპინძლებმა მოახერხეს, როცა მეტოქის სალელოე მოედანთან ახლოს აუტი მოიგეს და ჯგუფურად შეკიდნენ რკინიგზელთა ლელოში, იქ კი ყველას ფირცხალავამ დაასწრო ბურთის დამიწება. ლოკომოტივის ლელო აქედან შვიდ წუთში გავიდა. გუჯა იოვაძემ ითამაშა შესანიშნავად და აღადგინა სტატუს ქვო.

შეხვედრის ბოლომდე საინტერესო არაფერი მომხდარა ემზარ ძაგნიძის ჩინებულ არეკნს თუ არ ჩავთვლით. ჩხუბი კი, რომელიც ფირცხალავას ლელოს მოჰყვა, თითქმის ყველა მატჩზე ჩვეულებად იქცა.

დაძაბულობა მინდორს გარეთაც გაგრძელდა. შეხვედრის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა რამაზ სვანაძემ მსაჯობა ტენდენციურად და არაკვალიფიციურად შეაფასა. მისი თქმით, სწორედ ამ ფაქტორმა იქონია გავლენა მატჩის შედეგზე. წინადმდეგ შემთხვევაში, იმ ნაკლოვანებების მიუხედავად, რომელიც მის გუნდს აქვს, „დათვები“ შეძლებდნენ მეტოქის დამარცხებას.

მსაჯებზე საუბრისგან სტუმართა გუნდის თავკაცმა თემურ ბენდიაშვილმა თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, მეტოქის დამარცხება შესაძლებელი იყო, მაგრამ ეს რომ ვერ მოახერხეს, გუნდის ხარვეზების გარდა მეტოქის დამსახურებაცაა.

ჩვენს რაგბიში არსებულ არეულობაზე არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რადგან იმას, რასაც ბათუმში წავაწყდით, სახელს ვერ ვუძებნით. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საქართველოს რაგბის კავშირმა, აგერ უკვე ორი თვე სრულდება პირველობის დაწყებიდან, ვერაფრით მოახერხა ჩემპიონატის დებულება გაეგზავნა აჭარის რაგბის კავშირისთვის და მორაგბეებმა მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ, რომ ჩემპიონატის მეორე წრეში ოთხი გუნდი ოთხ წრედ უნდა გაჯიბრებოდა ერთმანეთს. ეს მარტო ერთეული ფაქტი არ გახლავთ, ასეთი რამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მრავლად ხდება ეროვნულ რაგბიში. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც წამოიჭრა პრესკონფერენციაზე, თბილისის გუნდების პრივილეგიებს ეხებოდა. როგორც იქ აღინიშნა, თუ ქვეყანაში სპორტის განვითარება გვსურს, უნდა მოისპოს ჩაწყობილი თამაშები და მსაჯების მხრიდან გუნდების გამორჩევა. მიმხრობით კი მსაჯები მხოლოდ თბილისის გუნდებს ემხრობიან და არა მარტო ისინი.

პაატა თოთაძე ბათუმიდან

ბადრი ქელელაძის ფოტო

დათვები — ლოკომოტივი 1. თამაშიც გვარიანი იყო და ჩხუბიც

ბადრი ბასილაძის ფოტო

სტუდენტებს ეს ლელოც და მთლიანად მატჩის შედეგიც, შესაძლოა, წყალში ჩაეყაროთ

ყოჩები, არმიელები და გოჭები

თბილისი. 13 ივნისი

ყოჩები — ასკ 45:17

ჩემპიონატის მე-8 ტურში შარშანდელი ოქროსმედალოსანი „ყოჩები“ ვარკეთილში ასკ-ს დაუპირისპირდა. მთელი დღე საშინლად ცხელოდა, მაგრამ მორაგბეების გასახარად საღამოს საკმაოდ აგრილდა. მატჩი დანიშნულზე რამდენიმე წუთით გვიან დაიწყო, რადგან მანამდე აკადემიელმა ახალგაზრდებმა ქუთაისელ თანატოლებს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს.

დიდების თამაშიც სანახავად საინტერესო გამოდგა. „ყოჩები“ რომ გაიმარჯვებდნენ, ამაში ეჭვი ვის შეეპარებოდა. შეხვედრაც, როგორც ფავორიტებს ეკადრებოდათ, მათი უპირატესობით დაიწყო და მაყურებელმა პირველი ლელოც მალე იხილა. აუტიდან მოწოდებული ბურთის დაუფლების შემდეგ ყოჩებმა მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს და დაწინაურდნენ კიდეც. ამის მერეც მთელი თამაში მათი კარნახით წარიმართა და არმიელებს კიდევ ექვსი ლელო გაუტანეს, რასაც ტყეშელაშვილმა ხუთი გარდასახვაც დაუმატა.

ამის საპასუხოდ ასკ-მ სამი ლელო და ერთი გარდასახვალა მიითვალა. ისე, მატჩის ბოლოს „ყოჩებს“ ცოტაოდენი დაღლა შეეტყოთ. სწორედ ამით ისარგებლა მეტოქემ და პრემიალური ქულის მოპოვებისთვის საჭირო რაოდენობის ლელოები გაიტანა.

თამაშის გარდა სასეირო ისიც იყო, რომ არც ერთ თანამსაჯს ხელში ალამი არ ეკავა. შეხვედრის ბოლოს კი, როცა უფრო ასკ უტევდა, არმიელთა უკაცრიელ ნახევარზე ყოჩების ნაცვლად გოჭები გამოჩნდნენ და ბალახსაც დიდი სიამოვნებით შეექცნენ.

გაგი გურული



გურამ დოლიძეშვილის ფოტო

ყოჩები — ასკ. არმიელი აბუსერიძე (ბურთით) შეტევას ლამობს

თბილისი. 12 ივნისი

უნივერსიტეტი — აია 12:9 (0:9)

უნივერსიტეტი: 2 ლ — მუავანაძე, მჭედლიშვილი; 1 გ — ჯავრიშვილი

აია: 1 ს — აშვეთია; 2 ა — შვანგირაძე

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

მეხუთე მატჩი ითამაშა ქუთაისის „აიამ“ და მეხუთედ დამარცხდა. ერთი მატჩი კი მოიგეს ქუთათურებმა, მაგრამ მათდა სავალალოდ, იმ შეხვედრის შედეგი გაუქმდა (ამაზე უკვე ვწერდით).

შაბათის შეხვედრაში სტუდენტები ფავორიტებად ითვლებოდნენ. ეგ იყო, პირველმა ნახევარმა თავდაყირა დააყენა მატჩისწინა პროგნოზები — აშვეთიას საჯარიმოთი და შვანგირაძის ორი არეკნით იმერლებმა პირველი ტაიმი მშრალად მოიგეს და ის იყო ვიფიქრეთ, ეშველათ, პირველ კანონიერ მოგებას გაიფორმებენო, რომ სტუდენტებმა ხელი გამოიღეს და ზუსტად იმდენი ლელო და გარდასახვა გაიტანეს, გამარჯვებას რომ მოუტანდათ. თუმცა კი შესაძლოა, უნივერსიტეტი დამარცხებულად ცნონ. საქმე ისაა, რომ მასპინძლებმა ნორმაზე მეტი მობურთალი შეცვალეს. ეს ყველაფერი მატჩის ოქმში დაფიქსირდა, მაგრამ საკითხავია, რატომ მისცა მსაჯმა თამაშისას სტუდენტთა გუნდის თავკაცებს უფლება, ზედმეტი შეცვლა გაეკეთებინათ?

ძახა ხურციძე

კომენტარი მომხდარის თაობაზე

გუშინ ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ქუთაისელთა გუნდის უფროსს, **სოსო დიაკონიძეს:**

— ყველამ კარგად უწყის, რომ თსუ-ს და ასკ-ს თავკაცები ალიანსში არიან. ჯერ ერთი, ლევან მგელიძე და დავით კილასონია ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიან. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მეორე მხარე ავიღოთ: დააკვირდით, არმიელთა თამაშებს, როგორც წესი, კილასონია მსაჯობს, ხოლო თსუ-სას მგელაძე. ეს ხომ შემთხვევით არ ხდება, რაღაც დაინტერესება არსებობს, თორემ ჩვენ სამი კვირით ადრე მივმართეთ რაგბის კავშირს, რათა თსუ-სთან ჩვენს თამაშზე მგელაძის გარდა, ვინც უნდოდათ, ის დაენიშნათ მსაჯად, მაგრამ ვინ გაგიგონა... მგელაძემ მიკერძოებით იმსაჯა. მასპინძლებს ყველაფერს პატიობდა, თამაშის წესების აშკარა დარღვევებსაც კი. მე პირადად თვლა ამერია, რამდენი შეცვლა გააკეთა მეტოქემ. სტუდენტები ისე შედიოდნენ და გადიოდნენ, თითქოს ჰოკეის თამაშობდნენ. მგელაძე ჩვენ გვაძლევდა ტრიბუნაზე შენიშვნებს, იმას კი „ვერ ამჩნევდა“, რომ თსუ-ელთა მწვრთნელი გურამ მოდებაძე ლამის მეთექვსმეტე მოთამაშესავით ირჯებოდა. შეხვედრის მეთვალყურეს მეტი პრინციპულობა უნდა გამოეჩინა ამ უმსგავსობათა აღსაკვეთად.

ეჭვიან კაცად, „კლიაუზნიკად“ არავინ მიცნობს. არადა, ბევრი მიხვედრა არ უნდა, რაგბის კავშირს ოდნავაც არ ანაღვლებს „აიას“ ბედ-იღბალი. გუნდს თავისი გაჭირვება ჰყოფნის და კიდე ჩაწიხვლა?! რუსთაველში კილასონიამ გვიმსაჯა. 11 წუთი გადააცილა თამაშს, მანამ არ მოისვენა, სანამ არ წაგვაგებინა. წინა ტურში ქუთაისში რაგბის კავშირის მიერ დანიშნული დედაქალაქელი მსაჯი არ გამოცხადდა. „ლოკომოტივი 2“-ის თავკაცობამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ადგილობრივ მსაჯს ვერ ვენდობითო. ალბათ, რკინიგზელები გაფრთხილებულებიც იყვნენ, რომ ამგვარად მოქცეულიყვნენ. რა გამოდის? თბილისელს შეუძლია საკუთრ ქალაქში მსაჯობა, ქუთაისელს კი არა.

ბოლოს ერთს გეტყვით. თუ ასე უსინდისოდ „აიას“ ჩაგვრა კვლავაც გაგრძელდა, იძულებულნი ვიქნებით, გათამაშებას ჩამოვცილდეთ. ვაი, რომ ბევრი სწორედ ამას ელის...

იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან

თბილისი. 12 ივნისი

ზორდა — რუსთავი 61:0 (27:0)

ზორდა: შველიძე, ჭელიძე, თეზუაშვილი, ბურდული, ხოჭოლავა, სორდია, ზედგენიძე, დიდებულიძე, ჭყონია, გამყრელიძე, მაისურაძე, მათიაშვილი (მგელაძე), ალანია, აბაშიძე, პარასკევაშვილი

9 ლ — აბაშიძე (2), მათიაშვილი (2), მაისურაძე, შველიძე, ზედგენიძე, პარასკევაშვილი, სორდია; **8 გ** — აბაშიძე

რუსთავი: მელაძე, კვიტინაძე, ჩხიკვაძე, ნარსია, ფურცხვანიძე, გოგშელიძე, ნადირაშვილი, გელაშვილი, ლობჯანიძე, ღირსიაშვილი, გიგაური, ბუჩუკური, ნაირაშვილი, მეფარიშვილი, მინდორაშვილი

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

„ზორდამ“ „რუსთავი“ იავარყო, ცხრა ლელო და რვა გარდასახვა თავად მეტ-ყველებს ყველაფერზე. ზორდელთაგან ყველაზე მეტად აბაშიძე გამოირჩეოდა, რომელმაც თავის აქტივში ჩაწერილ 26 ქულასთან ერთად გუნდს ოთხეულში მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა.

გასარკვევი პირველ ნახევარშივე გაირკვა. ტაიმი „ზორდამ“ 27:0 მოიგო და არც მერე მიუცია მეტოქისთვის მატჩის ხსნის შესაძლებლობა. ვინც კი ოდნავი ფხის გამოჩენა მოახერხა, ყველამ ლელო გაიტანა — ზოგი ამას ფეხზე მდგარი აკეთებდა, ზოგიც ბურთთან ერთად გაკოტრიალდებოდა ხოლმე ეფექტურად.

ეს იყო და ეს. ძლიერმა იმარჯვა.

გაჩო სვანიძე

იღბლიანი წაგებული

REUTERS ბალიდან

ნიკოლას კიფერი

ლონდონი. ინგლისი. არტუას ჩემპიონატი. ბალახი.
საპრიზო 750 ათასი $

მეოთხედფინალი: პიტ სამპრასი (2, აშშ) — გორან ივანიშევიჩი (8, ხორვატია) 7:5, 6:4; ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — კარლოს კუჩერა (6, სლოვაკეთი) 6:1, 6:7 (6:8), 7:6 (7:5); სარგის სარგსიანი (სომხეთი) — გრეგ რუზეიკი (7, ინგლისი) 6:2, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (14, ავსტრალია) — სედრიკ პიოლინი (11, საფრანგეთი) 7:5, 6:4.

ნახევარფინალი: სამპრასი — ჰიუიტი 4:6, 6:4, 7:6 (7:4); ჰენმანი — სარგსიანი 6:1, 6:3

ფინალი: სამპრასი — ჰენმანი 6:7 (1:7), 6:4, 7:6 (7:4).

მიეცით ბალახი და ის გადააბრუნებს დედამიწას.

სეზონის პირველი ნახევარი პიტ სამპრასმა ისე გალია, ფინალშიც კი არსად გასულა; საუკეთესო ათეულელი არ დაუმარცხებია და ასე სასურველ როლან გაროსზე ისევ მეორე წრეში გავარდა.

კოლეგებმა ხმა დააგდეს, მისი უძლეველობის ხანა დასრულდა, საუკეთესო წლები უკან მოიტოვაო, მაგრამ დაიწყო ბალახის ტურნირები და „პისტოლ პიტმა“ სეზონის პირველი ტიტულიც მოიგო, ბოლო ექვსი წლის მანძილზე ლამის პრიკატიზირებული პირველი ჩოგნობაც დაიბრუნა და ზედ უიმბლდონის დაწყების წინ მეტოქეები ერთხელაც დაიფრინა.

„ჯრო იყო, საფრანგეთის ღია პირველობაზე მომხდარი თავიდან ამომეგდო და საქმეს შევდგომოდი. უიმბლდონისთვის, როგორც ყოველთვის, თავდაჯერებული ვარ, იქ ჩემი დამარცხება ძალიან ძნელი იქნება. ჩემს ძალაში ეჭვი არასოდეს შემპარვია, ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მოგებებიც მოვიდოდა.“.

ისე, ნახევარფინალშიც და ფინალშიც სამპრასს ძალიან გაუჭირდა — მატჩის ბედი მის სასარგებლოდ ორივეგან ტაი-ბრეიკზე გადაწყდა.

ამერიკელს შიში პირველმა 18 წლის ლეიტონ ჰიუიტმა აჭამა. ენერგიულმა და მებრძოლმა პატარა ავსტრალიელმა წვიმის გამო გადადებული მესამე სეტი შესანიშნავად დაიწყო, მეტოქეს უდროული ორმაგი შეცდომები არ აპატია და 3:1 დაწინაურდა. პიტმა, თავი, უდიდესი გამოცდილების ხარჯზე გადაირჩინა, მერე კი ჰიუიტი შეაქო, მისგან ძალიან, ძალიან კარგი ჩოგბურთელი დადგებაო.

პირველი ხელი სამპრასმა ტიმ ჰენმანთანაც დათმო და საკმაო რაოდენობით ორმაგი შეცდომებიც მიითვალა. „ქუინსის“ კლუბში შეკრებილ ჰენმანის ჯალაბობას — დედას, მამას, გელფრენდს და ნათესავ-მეგობრებს იქნებ მეტადაც გაეხარათ, ინგლისელს მეორე-მესამე სეტებში ბოძებული უმრავი ბრეიკ-პოინტიდან ერთი რომ მაინც გამოეყენებინა, მაგრამ მნიშვნელოვან მომენტებში ჰენმანი უპატიებლად სცოდავდა და მთელი მატჩის მანძილზე მეტოქეს მოწოდება ერთხელაც ვერ აართვა.

ტაი-ბრეიკის და მასთან ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა ფაქტობრივად 4:4-ზე გამოვლინდა. ბადესთან გავარდნილმა ჰენმანმა სმეში მთელი ძალით ვერ დაარტყა, სამპრასმაც როგორღაც მიუსწრო. უზუსტესი აბრაგნით ბურთი თავზე გადაატარა მეტოქეს და ზედ უკანა ხაზზე დაასვა.

აქედან ორივე საკუთარი მოწოდების მოგება მხოლოდ დროის ამბავი იყო, მერე კი პიტმა კეთილი სიტყვები არც მრიგ დაჯაბნილს დაამადლა: „ჰენმანი ისე ძლიერი და ნიჭიერია, რომ უიმბლდონს როდესმე ნამდვილად მოიგებს. მთელი ბრიტანეთი უნდა ამაყობდეს (!) ტიმ ჰენმანით, მან ძალიან გამაწვალა დღეს“.

პრეს-კონფერენციაზე კი პიტმა პირველად აღიარა, რომ გასული წლის ბოლოს კლასიფიკაციის პირველი ადგილის ზედიზედ მეექვსედ შესანარჩუნებლად (და ჯიმი კონორსის რეკორდის გასაუმჯობესებლად) ბრძოლის დროს ცოტა ნამდვილად გადაამლაშა.

„ეს ყველაფერი თითქმის სასაცილო იყო, ამის გარდა არაფერზე ფიქრი არ შემეძლო. მთელი საღამოები სასტუმროში ვიჯექი და ვანგარიშობდი, რამდენი ქულა დამემატებოდა მე, რამდენი ჰქონდა რიოსს და ა.შ. მანიაკივით ვთამაშობდი და აბსოლუტურად გამოვიფიტე. სწორედ ამიტომ, სეზონის დასაწყისში დასვენება და მომავალზე დაფიქრება მმართებდა. ამიერიდან ჩემი მიზანი დიდი სლემის ტურნირების მოგებაა“.

ჰალე. გერმანია. გერი ვებერ ოუფენ. ბალახი.
საპრიზო 900 ათასი $

მეოთხედფინალი: კარლოს მოია (2, ესპანეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:3, 7:6 (7:5); ნიკლას კულტი (შვედეთი) — ტომი ჰაასი (6, გერმანია) 7:6 (8:6), 5:7, 6:3; ნიკოლას კიფერი (7, გერმანია) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:4, 6:2; დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:4, 6:3.

ნახევარფინალი: კიფერი — ვაცეკი — 6:4, 6:3; კულტი — მოია 6:3, 6:4.

ფინალი: კიფერი — კულტი 6:3, 6:2

ჩოგბურთში არსებობს ტერმინი „იღბლიანი წაგებული“. ასე ჰქვია ჩოგბურთელს, რომელიც საკვალიფიკაციო ტურნირზე წააგებს, მაგრამ ძირითად ბადეში რომელიმე ტრავმირებული მონაწილის ნაცვლად მაინც მოხვდება.

ასე რომ, როდესაც ანდრე აგასიმ ჰალეში თამაშზე უარი განაცხადა, ორგანიზატორებს შემცვლელის მოძებნა მოუხდათ. ჩვეულებრივ ვაკანტური ადგილი კვალიფიკაციაში დამარცხებულ ყველაზე მაღალ კლასიფიკაციის პატრონს ერგება, მაგრამ ნუსხაში პირველი უკვე ქალაქიდან გამგზავრებული აღმოჩნდა, მეორეს რეგისტრაცია დაგვიანდა და ბადეშიც რიგით მესამე, იღბლიანზე „იღბლიანი წაგებული“ — ნიკლას კულტი მოხვდა.

ბედის ამ წყალობის ხელიდან გაშვება, აბა, როგორ შეიძლებოდა და 27 წლის წყვილებში თამაშის ოსტატმა შვედმაც შანსი მაქსიმალურად გამოიყენა — გზად მეექვსე და მესამე განთესილები ტომი ჰაასი და კარლოს მოია დაამარცხა და ფინალშიც გავიდა.

„სიმართლე გითხრათ, ერთეულებში თამაშისთვის საერთოდ თავის დანებებას ვაპირებდი. როცა თავდაჯერება არ გაქვს, მოგება სულ უფრო ძნელდება. მაგრამ მე მომწონს აქაური კორტები და ამ ტურნირთანაც ტკბილი ოგონებები მაკავშირებს“ — მართლაც, 1996-ში კულტმა კვალიფიკაციის გავლის შემდეგ, ფინალში, თვით ევგენი კაფელნიკოვს აჯობა.

თუმცა ამჯერად მთელი იღბალი შვედს ნაადრევად „შემოეხარჯა“ — გადამწყვეტ მატჩში 21 წლის ნიკოლას კიფერს მან ხეირიანი წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია.

ერთი პირობა ისე ჩანდა, რომ ამ კონკისთვის 12 საათის ჩამოკვრა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო: მეორე სეტის დასაწყისში ახალგაზრდა გერმანელმა ეჭიმი მოითხოვა და ნატკენი ფეხის ცერა თითი შეახვევინა, მაგრამ კიფერმა ტრავმა არ დაიტყო და 10 000 თანამემამულის გასახარად, 75 წუთში იმარჯვა.

„შესანიშნავი კვირა იყო, მოგებამ კი იგი დააგვირგვინა. ძალიან მინდოდა, თავი არ შემერცხვინა, რადგან გერმანიაში ფინალში პირველად ვასპარეზობდი. მადლობა ქომაგებს“ — განაცხადა „კივიმ“, რომელიც ამ ვირიდან კლასიფიკაციაში მე-18 ადგილზე დამკვიდრდა და იქნებ უიმბლდონზე განთესვაც კი დაიმსახუროს.

მერანოს ღია პირველობა. იტალია. თიხნარი.
საპრიზო 350 ათასი $

ნახევარფინალი: ჰიშამ არაზი (4, მაროკო) — დომინიკ ჰრბატი (1, სლოვაკეთი) 6:4, 7:6 (7:3); ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 3:6, 6:4.

ფინალი: ვისენტე — არაზი 6:2, 3:6, 7:6 (7:1).

ბირმინგემი. ინგლისი DFS კლასიკი. ბალახი.
საპრიზო 180 ათასი $

ნახევარფინალი: ნატალი ტოზია (1, საფრანგეთი) — მაუი სერნა (6, ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:3; ჟული ალარი (5, საფრანგეთი) — კარა ბლეკი (8, ზიმბაბვე) 6:4, 7:5.

ფინალი: ალარი — ტოზია 6:2, 3:6, 6:4.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი

ტალინში, ევროპის ასის ევროაფრიკული ზონის III ჯგუფის შესარჩევ ტურნირის მესამე ტურში საქართველოს ნაკრებმა სომხებს 2:1 აჯობა. სულ ჩვენებმა სამი მეტოქიდან ორს მოუგეს. ასეთივე შედეგი ჰქონდათ ლიტვას და სომხეთს. პირველ-მეორე ადგილებზე გასულთა ვინაობა საბოლოოდ დამატებითი მაჩვენებლებით გაირკვა. წაგებულ-მოგებული სეტების თანაფარდობა სამივე გუნდს ერთნაირი აღმოაჩნდა. საქმეც გეიმების დათვლაზე მიდგა. აქ კი, ჩვენდა სამწუხაროდ, მესამენი გამოვდექით და ნახევარფინალის საგზურებიც ჩვენს მეტოქეებს დარჩათ.

REUTERS ქაიროდან

შვედეთი — იუგოსლავია. შვედი ლუბომირ ბარანიესი იუგოსლავიელ მცველებს მარჯვედ დაუსხლტა

რუსეთი — შვედეთი

ტიტე კალანდაძემ ფინალი გამოიცნო

ეგვიპტე. ქაირო
მსოფლიოს ჩემპიონატი

კვირა. 13 ივნისი
ნახევარფინალები
რუსეთი 22:21 ესპანეთი
შვედეთი 23:22 იუგოსლავია
მე-5-მე-7 ადგილებისთვის
საფრანგეთი 27:25 (დდ.) ეგვიპტე
გერმანია 23:22 კუბა

ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. პარასკევს ღამით გუნდებმა მეოთხედფინალური შეხვედრები გამართეს. კვირას მოგებულმა ნახევარფინალებში ითამაშეს, წაგებულებმა კი მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის განაგრძეს დავა. ვინ იქნება საუკუნის ბოლო მსოფლიოს ჩემპიონი (მომავალი ტურნირი 2001 წელს გაიმართება) დღეს გახდება ცნობილი. ასევე დღეს გაირკვევა დანარჩენი ადგილების მფლობელებიც.

მეოთხედფინალებში სამი მატჩის გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. ესპანეთს, რუსეთსა და შვედეთს თავიანთი მეტოქეები იოლად უნდა დაემარცხებინათ და ასეც მოხდა. გერმანია — იუგოსლავიის მატჩში კი ორივე ნაკრებს მოგების თითქმის ერთნაირი შანსი ჰქონდათ.

ესპანელებმა თავიანთ ჩრდილოელ მეზობლებს, ფრანგებს მატჩის დასაწყისშივე წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. პირინეელთა მეკარე ბარუფე ტყორცნას ტყორცნაზე იგერიებდა — დაახლოებით მე-20 წუთისთვის მხლოდ ოთხი ბურთი ჰქონდა გაშვებული. მის თანაგუნდელებს კი ბარუფეს ფრანგი კოლეგა გოდენის წყენინება უკვე ცხრაჯერ მოესწროთ. მიუხედავად „ლურჯების“ დიდი მცდელობისა მატჩის ბედი შემოეტრიალებინათ, ესპანეთის მეფის ხუან-კარლოსის სიძის ინაკი ურდანგარინის თაოსნობით სამხრეთევროპელებმა ეს ხუთბურთიანი უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნეს — 23:18.

ამის შემდეგ ქაიროელი მაყურებელი მსოფლიოს ჩემიონატის მეოთხედფინალში გასული პირველი ლათინურამერიკული ნაკრების კუბის თამაშს დაესწრო. კუნძულელებმა წინა ეტაპზე დანიას სძლიეს, ახლა კი მათი მეტოქე მეორე სკანდინავიური ქვეყანა — შვედეთი იყო. მართალია, კარიბელები მონდომებულებნი იყვნენ, მაგრამ ვიკინგებს მხოლოდ გამარჯვება უნდოდათ და მათი ძლევა ვერ მოახერხეს. 33:26 მოგების შემდეგ შვედები დარბაზში დარჩნენ გერმანია — იუგოსლავიის მატჩის საცქერლად, რათა თავიანთ მომავალ მეტოქეს დაჰკვირვებოდნენ. სლავებმა „მანშაფტს“ ძალიან მძიმე და დაძაბულ ბრძოლაში აჯობეს (22:21) და საუკეთესო ოთხეულშიც გააღწიეს.

დღის ბოლო თამაში რუსეთი — ეგვიპტე იყო. თითქოს 30 000 ქომაგით გულმიცემულ მასპინძლებს რუსებისთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ, მაგრამ ეს „თითქოს“. მატჩის დასაწყისი „ფარაონებისთვის“ კატასტროფული გამოდგა. მეტოქის კარის დალაშქვრა მათ მხოლოდ მე-12 წუთზე მოახერხეს, მაშინ, როცა ანგარიში უკვე 7:0 იყო რუსთა სასარგებლოდ. ამის მერე რაღა გასაკვირი იყო, რომ ევროპელებმა 26:20 გაიმარჯვეს.

მე-5 ადგილისთვის დღეს საფრანგეთი და გერმანია შეხვდებიან ერთმანეთს, რომლებმაც შესაბამისად ეგვიპტესა (27:25 დამატებით დროში) და კუბას (23:22) მოუგეს მეტად დაძაბულ და თანაბარ ბრძოლებში. ამით მათ სიდნეის ოლიმპიადის საგზურებიც მოიპოვეს. 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ბოლო საგზურის ბედი კი ეგვიპტე — კუბის შეხვედრაში გადაწყდება.

ნახევარფინალებში თითო-თითო ბურთით რუსებმა და შვედებმა გაიმარჯვეს და ორი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დარად სწორედ ისინი გაარკვევენ ოქროს მედლების მფლობელის ვინაობას.

გამართლდა ჩვენი ნაკრების ლიდერის ტიტე კალანდაძის პროგნოზიც. „სარბიელთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ჩემპიონი ან რუსეთი, ან კიდევ შვედეთი გახდებოდა.

რუსეთი-ესპანეთის პირველი ნახევარფინალური მატჩის დამთავრებამდე 30 წამი იყო დარჩენილი. ანგარიში 21:21 იყო. შეტევაში ესპანელები იყვნენ, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ბურთი დაკარგეს. რუსთა სწრაფი კონტრიერიში პირინეელთა მეკარე ბარუფემ წესების დარღვევით შეაჩერა, რისთვისაც იგი სამართლიანად გააძევეს. 5 წამი და ჯარიმა სლავთა სასარგებლოდ. ტუჩკინის ტყორცნის წინააღმდეგ ბარუფეს შემცვლელმა ფორტმა ვერაფერი გააწყო და რუსეთი ფინალში გავიდა.

მეორე ნახევარფინალში შვედებმა იუგოსლავიელებს სძლიეს 23:22. ეს გუნდები ჯგუფშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ფრედ ითამაშეს. ამჯერად კი სკანდინავიელებმა, რომელთათვისაც ეს ზედიზედ მეშვიდე პოდიუმია მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე, მეტოქის დამარცხება ძლივს მოახერხეს და 1997 წლის ფინალში წაგებისთვის რევანშის წყურვილით გაეჯიბრებიან დღეს რუსებს.

გაიოზ თალაკვაძე

სამშაბათი. 15 ივნისი
ფინალი
შვედეთი — რუსეთი
მესამე ადგილისთვის
ესპანეთი — იუგოსლავია
მეხუთე ადგილისთვის
საფრანგეთი — გერმანია
მეშვიდე ადგილისთვის
ეგვიპტე — კუბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელზე მიჭყლეტილი ჩემპიონები

ასე გაცოფებული ედი ირვინი არავის უნახავს. კანადის დიდი პრიზის მონაწილეებს უკვე გაევლოთ დისტანციის ნახევარი, უკვე დამტვრეულიყო და ტრასიდან ამწეთი გადაჰქონდათ სამი მსოფლიო ჩემპიონის ჰილის, ვილნევისა და შუმახერის ბოლიდები, უკვე ოთხჯერ გამორნდა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა და მორჩილად გაიყოლა თითქმის განახევრებული პელოტონი, ესა და კიდევ ბევრი სხვა რამ იყო მომხდარი, როცა მაკლარენის მეორე პილოტმა კულჰარდმა, არ ვიცი, ირლანდიელის მიერ მის მიმართ გამოთქმული „კომპლიმენტებით“ გაბრაზებულმა თუ გუნდის ხელმძღვანელობიდან მიღებულმა ბრძანებამ, რადაც უნდა დაჯდომოდა ჰაკინენისთვის ჩამოეცლებინა ერთადერთი ფერარის სახით შემორჩენილი ყველაზე საშიში მეტოქე, ვიმეორებ, ზუსტად ძნელი სათქმელია, რა მიზეზით, მაგრამ ეს კი იყო — კულჰარდმა გაავებულმა შეუტია ირვინს. ამ დროისათვის პელოტონის თავში ერთი-მეორის მიყოლებით მიდიოდნენ ჰაკინენი, ფრენცენი, ფიზიკელა, ირვინი, კულჰარდი...

ცოტა არ იყოს, ალოგიკურმა, შეიძლება ითქვას, წრეგადასულმა შეტევამ ორივე მრბოლი დააზარალა — შიკანოზე (მარჯვენა-მარცხენა მოსახვევი გზის მოჭრის შესაძლებლობით) გაჩაღებული ბრძოლის შემდეგ კულჰარდს ბოქსებში მოუწია შესვლამ, ირვინი კი მერვე პოზიციაზე აღმოჩნდა.

მთელი სიამოვნებაც მაშინ დაიწყო, იტყვის რბოლის შემდეგ ირლანდიელი. პილოტის სიამოვნება ოთხი მანქანის გასწრებაში გამოიხატა, მეხუთე — ფრენცენი კი იმავე კედელს ემსხვერპლა, სადაც თავიანთი ბოლიდები დატოვეს სამმა მსოფლიო ჩემპიონმა და კიდევ რამდენიმე მრბოლმა. ასე რომ, ფინიშის შემდეგ ირვინს კიდევ ერთი სიამოვნება — პოდიუმზე შამპანურით წუწაობა ელოდა ჰაკინენისა და ფიზიკელას კამპანიაში.

ფორმულა 1-ის რბოლებში ბევრი უცნაურობა ხდება, არა ერთი და ორი დიდი პრიზი დასრულებულა მოულოდნელი შედეგით, მონრეალის ტრასა კი სწორედ ისეთთა რიგს განეკუთვნება, სადაც ამგვარი მოულოდნელობანი საკმაოდ ხშირია. და მაინც, ასეთ დასასრულს არავინ ელოდა, მით უფრო შაბათის კვალიფიკაციის შემდეგ.

პირველივე სწრაფ წრეზე ნაჩვენები შედეგი, რომელიც ფერარისა და მიხაელ შუმახერის თანამშრომლობის ნაყოფი იყო, ვეღარავინ გააუმჯობესა. ამაოდ ცდილობდა ჰაკინენი წლეულდელ სეზონში ზედიზედ მეექვსე პოულის მოგებას. საბოლოოდ ფინელი მეორე საფეხურსა და საკვირაო სტარტზე მეორე პოზიციას დასჯერდა. მეორე პილოტების ორთაბრძოლაც ფერარის გამარჯვებით დასრულდა: მესამე პოზიცია ირვინს ხვდა წილად, მეოთხე — კულჰარდს. მეხუთე და მეექვსე შედეგები აჩვენეს ბარიჩელომ და ფრენცენმა. აშკარა გახდა, რომ შუმახერისა და ფერარის სხვა წარმომადგენელთა განცხადებები, ბოლიდის ძრავისა და სხვადასხვა კვანძების გაუმჯობესების თაობაზე, უსაფუძვლო არ იყო. სპეციალისტების აზრით, შაბათს დასრულდა დიდი დევნა — როგორც იქნა, ფერარი გაუსწორდა მაკლარენს.

კვალიფიკაციაზე დიდი თავგადასავლები გადახდა პატარა შუმახერსაც. რალფის პირველ ავარიას ბოლიდი გადაჰყვა, მეორე ავარია შედარებით მსუბუქი გამოდგა, საბოლოოდ კი ჩემპიონის უმცროსმა ძმამ უკანასკნელ წამებზეღა მოასწრო გამოცდის ჩაბარება. ასეთი გაწამაწიის შემდეგ კვირის რბოლაში მეოთხე ადგილი და სამი ქულა საკმარისი კომპენსაცია გამოდგა ახალგაზრდა პილოტისთვის.

კანადის დიდი პრიზი კიდევ ერთი რამით გამოდგა უცნაური: წლეულს პირველად მოხდა ისე, რომ ჰაკინენმა იმ ტრასაზე, სადაც წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოახერხა მეხუთე ადგილისა და ორად-ორი ქულის მოპოვება, მთელი ათი ქულა მოუგო თავის მთავარ მეტოქეს მიხაელ შუმახერს. შესაძლოა მართლა უცნაურიც იყოს, მაგრამ სწორედ ამ რბოლის შემდეგ შეუძლიათ ფერარისა და შუმახერის ქომაგებს ბოლოსდაბოლოს ირწმუნონ — წლეულს მათი ჯილა აუცილებლად შეიძენს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ახალ ტიტულს.

გეთანხმებთან, უცნაური განცხადებაა, მაგრამ ფორმულა 1 იმიტომაც არის ფორმულა 1, რომ ძალიან უხდება რისკი.

ირაკლი ბერიაშვილი

REUTERS მონრეალიდან

მიკა ჰაკინენი

REUTERS მონრეალიდან

ოლივიე პანის ავარია

რბოლის შედეგები

კანადის დიდი პრიზი
13 ივნისი. მონრეალი
დისტანცია — 69 წრე — 305.049 კმ

1. ჰაკინენი (მაკლარენი) 1:41.35,727 (180,155 კმ/სთ)	10	ქულა
2. ფიზიკელა (ბენეტონი) ჩამორჩა 0,781 წმ	6	ქულა
3. ირვინი (ფერარი) 1,796	4	ქულა
4. რ. შუმახერი (უილიამსი) 2,391	3	ქულა
5. ჰერბერტი (სტიუარტი) 2,804	2	ქულა
6. დინიცი (ზაუბერი) 3,710	1	ქულა
7. კულჰარდი (მაკლარენი) 5,003		
8. ჟენე (მინარდი) 1 წრით		
9. პანი (პროსტი) 1 წრით		
10. ბადოერი (მინარდი) 2 წრით		
11. ფრენცენი (ჯორდანი) 4 წრით		

საუკეთესო წრე

ირვინი (1.20,382)

რბოლას გამოეთიშნენ

ძანარდი (უილიამსი) გაიარა	50 წრე
ტაკაჯი (ეროუსი)	41
ვილნევი (BAR)	34
მ.შუმახერი (ფერარი)	29
დე ლა როსა (ეროუსი)	22
ჰილი (ჯორდანი)	14
ბარიჩელო (სტიუარტი)	14
ზონტა (BAR)	
ალეზი (ზაუბერი)	0
ტრული (პროსტი)	0
ვურცი (ბენეტონი)	0

განლაგება სტარტზე



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP		ავსტრალია 7 მარტი	ბრაზილია 11 აპრილი	სან მარინო 2 მაისი	მონაკო 16 მაისი	ესპანეთი 30 მაისი	კანადა 13 ივნისი	საფრანგეთი 27 ივნისი	დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი	ავსტრია 25 ივლისი	გერმანია 1 აგვისტო	უნგრეთი 15 აგვისტო	ბელგია 29 აგვისტო	იტალია 12 სექტემბერი	ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი	მალაიზია 17 ოქტომბერი	იაპონია 31 ოქტომბერი	ჯამი
1	ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი	–	10	–	4	10	10											34
2	მ.შუმახერი (გერმანია) ფერარი	–	6	10	10	4	–											30
3	ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი	10	2	–	6	3	4											25
4	ფრენცენი (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა	6	4	–	3	–	–											13
5	ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი	3	–	2	2	–	6											13
6	კულჰარდი (შოტლანდია) მაკლარენ მერსედესი	–	–	6	–	6	–											12
7	რ.შუმახერი (გერმანია) უილიამს სუპერტეკი	4	3	–	–	2	3											12
8	ბარიჩელო (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი	2	–	4	–	–	–											6
9	პილი (ინგლისი) ჯორდან მუგენ ჰონდა	–	–	3	–	–	–											3
10	პერბერტი (ბრიტანეთი) სტიუარტ ფორდი	–	–	–	–	–	2											2
1	ფერარი	10	8	10	16	7	4											55
2	მაკლარენ მერსედესი	–	10	6	4	16	10											46
3	ჯორდან-მუგენ-ჰონდა	6	4	3	3	–	–											16
4	ბენეტონი	3	–	2	3	–	6											14
5	უილიამს სუპერტეკი	4	3	–	–	2	3											12

ჭოჭუა და ხასაია ტიტულებს შეეჩვივნენ

ბერძნულ-რომაული სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეებმა ბუდაპეშტში, კონტინენტის პირველობაზე ორი ოქროსა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. თბილისში ჩემპიონებად დაბრუნდებიან ირაკლი ჭოჭუა (54 კგ) და ბადრი ხასაია (76). ბრინჯაოსმედალოსნებად დოხტურიშვილი (69), ილიამ ლეჟავა (97) და გიორგი წურწუმია (მძიმე).

ჭოჭუასა და ხასაიას წარმატებანი ნამდვილად საყურადღებოა — ირაკლი ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორია, ბადრი — მსოფლიოსი; წლეულს, აგერ, ევროპის ჩემპიონები გახდნენ, წინ კი მსოფლიოს ჩემპიონატია.

ჭაბუკებში შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონთა — ივანე ჩუბინიძისა (63) და გიორგი რურუას (85) გამოსვლაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ამაზე ბუდაპეშტიდან დაბრუნებული მწვრთნელები გვეტყვიან. არადა, რურუასგან მედალს ველოდით — მას ხომ სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

სრიალა

რა ქნას იმნაიშვილმა: მწყერზე ინადიროს?

ახლახან მრგვალ სტენდზე მსროლელმა დავით ქვათაძემ იაპონიაში, მსოფლიოს თასის გათამაშებაში იასპარეზა. სამწუხაროდ, იგი საფინალო ექვსეულში ვერ მოხვდა. ისე კი, შეჯიბრება 125 შესაძლებლიდან 120 ქულით დაასრულა. ივნისის ბოლოს იტალიაში ამ თასის მორიგი ეტაპია. იქ თამაზ იმნაიშვილი იასპარეზებს. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციას ასე სურს. მაგრამ საკითხავია, იშოვის კი იმნაიშვილი იქ წასასვლელ დროს? ფედერაციამ ის ამ ცოტა ხნის წინ კვიპროსში გაიგულა მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე, მაგრამ მერე გაირკვა, რომ იქ თურმე სამსახურმა არ გაუშვა. ისე, იმნაიშვილის გამგზავრებას ყოველთვის დეპარტამენტი აფინანსებს, ქვათაძე კი ტურნირებზე საკუთარი ხარჯებით დადის. იაპონიაშიც ასე იყო.

ჩვენი მესტენდურები ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად იბრძვიან. მსოფლიოს თასზე ლიცენზიებს ეტაპთა გამარჯვებულები იღებენ. ლიცენზიები გაიცემა აგრეთვე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. ამ ტურნირებისთვის ორივე სპორტსმენი ემზადება.

ივნისის ბოლოს პოლონეთში მშვილდოსანთა დიდი პრიზის გათამაშებაა. საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია იქ სერგო გათიკაევის გაგზავნას აპირებს. აჭარის სპორტდეპარტამენტს ხათუნა ფუტკარაძის გაგზავნა სურს, მაგრამ ჯერ საჭირო თანხები ვერ გამოძებნა. ახლა სწორედ ამაზე მუშაობენ. სხვების გაშვებაზე კი ლაპარაკიც არაა.

ირაკლი თავაძე

მძლეოსნობა

ბეილი ჯანზე ვერაა

1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში დონოვან ბეილი ცუდ ფორმაშია.

ნიურნბერგში ჩატარებულ მძლეოსანთა შეიჯბრებაზე კანადელი გასული სექტემბრის შემდეგ პირველად დადგა სარბენ ბილიკზე, რაკიღა აქამდე აქილესვის მყესს მკურნალობდა. ბეილიმ ყველას იმედი გაუცრუა: ნაჩვენები შედეგით — 10,51 წამით, იგი ფინალურ გარბენშიც კი ვერ მოხვდა.

„ყველაზე მთავარი ის არის, რომ ავად თუ კარგად, სირბილი მაინც მოვახერხე. თავადაც კარგად ვიცი, რომ გაცილებით სწრაფად შემიძლია სირბილი, მაგრამ ხეირიანი შედეგის ჩვენებამდე ოთხ-ხუთჯერ მაინც უნდა ვიასპარეზო“.

100 მეტრზე გარბენი კი სეზონის საუკეთესო შედეგით — 9,92 წამით მოიგო ბეილისვე თვისტომმა ბრუნი სურინმა, რომელმაც ბრიტანელი დუეინ ჩემბერსი და განელი ერიკ ნკანსა ჩამოიტოვა უკან.

„ველოდი, რომ კარგად ვიასპარეზებდი, მაგრამ თუ ასე კარგად — ნამდვილად არა. 10 წამზე სწრაფად სირბილი ყოველთვის სასაიმოვნო სიურპრიზია“ — განაცხადა კანადელმა, რომელმაც ნამიბიელი ფრენკი ფრედერიქსის სეზონის საუკეთესო შედეგი მეასედი წამით გააუმჯობესა.



დონოვან ბეილი

კრისტინ არონი

თუმც 1999 წლის საუკეთესო შედეგით ნიურნბერგში მხოლოდ სურინს როდი ჰქონდა თავი მოსაწონებელი: ინგლისელმა ჯონათან ედვარდსმა სამხტომში 17,43 მეტრი უჩვენა, გერმანელი მიხაელ შტოლი კი ჭოკით 5,91 მეტრს გადაეკვლო.

ფრანგულ ვილნევ დასკოში თავი მასპინძელმა კრისტინ არონმა გამოიჩინა.

100 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონმა ფრანგმა ქალბატონმა თავისთვის უჩვეულო, 200 მეტრ დისტანციაზე იასპარეზა და პირად რეკორდზე ერთი მეასედი წამით უარესი შედეგით — 22,63 წამით გაიმარჯვა.

ასეთ დისტანციაზე დაუჩვეველ ძვალტყავა არონს ბოლო 30 მეტრზე გვარიანად გაუჭირდა, მაგრამ რუმინელ იონელა ტირლეას პირველობა მაინც არ დაუთმო. არონი ამის გარდა თავისიანებს 4X10 მეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებაშიც დაეხმარა.

რაკიღა ღიაცისქვეშა სეზონი ახლახან დაიწყო, აგვისტოს მსოფლიოს ჩემპინატის წინ კი ფავორიტები ძალების დაზოგვას ცდილობენ, შედეგები გამორჩეული ნამდვილად არ ყოფილა — მაგალითად, 100 მეტრზე, კაცებიდან საუკეთესომ, ამერიკელმა დენის მიჩელმა ათწამიანი ზღვარიც კი ვერ გადალახა (10,05).

ქაცა არჯევანიძე

ჯრომ იცის...

თურმე ჰაშეკის მოტყუებაც შეიძლება

წლევანდელ ფინალში მოვლენები საოცრად და ერთობ არალოგიკურად ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ დალასელები მატჩიდან მატჩამდე სულ უფრო უკეთ გამოიყურებიან, ბუფალომ კი ვერაფრით იპოვა თავისი თამაში, მატჩების შედეგს ეს არ დასტყობია. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა შაბათს, ბუფალოში გამართული მატჩი, რომელშიც დაძაბულობამ კვლავ ბოლო წუთებამდე გასტანა



REUTERS ბუფალოდან

მატჩის კულმინაცია: დომინიკ ჰაშეკმა მეორე შაიბა გაუშვა, ისევ ჯო ნუინდაიკმა გაუტანა

სერიის ანგარიში

დალასი — ბუფალო 2:1

მესამე მატჩი. 12 ივნისი

ბუფალო — დალასი 1:2

0:0 1:1 0:1

1:0 ბარნსი 27'51 (6); 1:1 ნუინდაიკი 35'33 (10); 1:2 ნუინდაიკი 49'35 (11)

დარტყმები: 12-29

საჯარიმო წუთები: 6-18

ჯერ კიდევ მეორე მატჩის შემდეგ ვივარაუდეთ, რომ თუ ლინდი რაფის შეგირდებს წარმატება სურთ, თამაშის გაუმჯობესება მართებთ, რადგან მეტოქის უპირატესობა აშკარაა. როგორც გაირკვა, ბუფალომ დალასის დალაგებული მანქანის წინააღმდეგ ბევრი ვერაფერი მოიფიქრა და ამჯერად უფრო სუსტად ითამაშა.

არადა, „ხმლები“ თავიდან ძალიან მოწადინებულნი ჩანდნენ. მათ, ცხადია, არ სურდათ სასიამოვნო ტრადიციის დარღვევა (მანამდე „მერინ მიდლენდ არენაზე“ შვიდივე სათასო მატჩში იმარჯვეს) და უფრო აქტიურად დაიწყეს. დალასმა კი, როგორც სტუმრებს სჩვევიათ, მეტოქეს ინიციატივა დაუთმო და კონტრშეტევა შესთავაზა, მაგრამ, მიუხედავად უპირატესობისა (მით უმეტეს, რომ პირველ პერიოდში სტუმრები ოთხჯერ დარჩნენ უმცირესობაში), მათი მეკარე ედ ბელფორი მასპინძლებმა ვერანაირად ვერ დაასაქმეს.

„ვარსკვლავთა“ კონტრშეტევები კი გაცილებით სახიფათო იყო. ბუფალოელთა სასტარტო შემართება თანდათან მინელდა და ინიციატივა მთლიანად დალასელებმა იგდეს ხელთ — უკეთ გადიოდნენ შუა ზონას, კარგი კომბინაციებიც გამოსდიოდათ. მეორე პერიოდში დალასელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. ისე ჩანდა, კიდევ ცოტა და გარდატეხაც მოხდებაო, მაგრამ... მანამდე თურმე ჯერ კიდევ შორს იყო.

რა მოხდა?

რატომ ვერ შეძლო დალასმა, მატჩის ბედი მალე გადაეწყვეტა? პასუხი ერთია — დომინიკ ჰაშეკი. ამ თამაშმა ცხადყო, რაოდენ დიდადაა დამოკიდებული ბუფალოს წარმატება-წარუმატებლობა „დომინატორზე“. მიუხედავად იმისა, რომ დალასელები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა მისთვის ხელი შეეშალათ (მარტო მეორე პერიოდში ჩეხს 5-ჯერ გააცალეს ყვანჯი ხელიდან), დიდებულმა ჩეხმა ყველა დარტყმა აიღო, ასაღებიც და აუღებელიც. ხოლო როდესაც ბუფალოელთა ერთადერთი სახიფათო შეტევა (!) გოლით დაგვირგვინდა, ბევრს ეგონა, დალასელები „დომინატორის“ კარის აღებას ვეღარ მოახერხებდნენ, მით უმეტეს, რომ მათ ბრეტ ჰალი გამოაკლდათ, კაცი, რომელმაც წინა ორივე მატჩში ჰაშეკს გაუტანა. დალასს წინა მატჩში მაიკ დაუშავდა, გამოაცხადეს, მეორე მატჩში ხელი მოიტეხაო (დალასელთა შტაბმა აშკარად იცრუა, ფორვარდს ხელი კი არა, თითი ჰქონია დაზიანებული), მაგრამ იგი მოედანზე გამოჩნდა და ძალიან აქტიურიც იყო, თუმც ხისტმა მეურვეობამ და ჰაშეკის წინაშე უძლურებამ მაიკი ისე გაანერვიულა, რომ სამჯერ დაჯარიმდა, თანაც სწორედ მას შემდეგ, რაც „ვარსკვლავებმა“ შაიბა გაუშვეს. კიდევ კარგი, რომ წინა მატჩებისგან განსხვავებით ბუფალომ ძალიან სუსტად ითამაშა რიცხვმარვლობაში. 8 ცდიდან მათ ერთიც ვერ გამოიყენეს და ბელფორს სიძნელეები ვერ შეუქმნეს — მას სულ ორ-სამჯერ მოუხდა თავის გამოდება.



REUTERS ბუფალოდან

ბუფალოს მარცხის პირველმიზეზნი: ჯემი ლანგენბრუნერი და ჯო ნუინდაიკი (მარჯვნივ)

გმირი

თუ დალასი თასს აიღებს, პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ალალია ნუინდაიკზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ფორვარდი უკვე იმსახურებს ამას (11 გოლი და 10 პასი). ესეც რომ არ იყოს, ამ უაღრესად მნიშვნელოვან თამაშში მარტო „ჰაშეკის კომპლექსის“ დაძლევისთვის რას არ იმსახურებს.

თითქმის ყველა წამყვან დალასელს — მოდანოს, ლეჰტინენს (საოცარია, როგორ მოიგერია მისი გარღვევა ჰაშეკმა), ზუბოვს და სხვებს ბრწყინვალე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ გატანით მხოლოდ ნუინდაიკმა გაიტანა. 36-ე წუთზე ხანგრძლივი შეტევის შემდეგ, ფორვარდმა ჯემი ლანგენბრუნერის პასი მიიღო, ბოლომდე იბრძოლა და მას შემდეგ, რაც ჰაშეკმა პირველი დარტყმა მოიგერია, დამატებაზე ყველას დაასწრო. მერე კი ისიც უჩვენა, როგორ უნდა „დომინატორის“ მოტყუება — სულ რაღაც 1-1,5 მეტრში ისევ ლანგენბრუნერისგან მიღებული შაიბა ჯომ ისე კარგად ასწია, რომ ბუფალოელთა ჯადოქარიც უძლური აღმოჩნდა.

ამის შემდეგ უკვე დალასი ბატონობდა მოედანზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბუფალოელთა ქომაგებმაც კი გამოხატეს უკმაყოფილება, იმდენად უძლურად გამოიყურებოდა მათი გუნდი. მსაჯებმაც კი შეიბრალეს „ხმლები“ და დალასელი კრეიგ ლუდვიგი სრულიად უმიზეზოდ დააჯარიმეს, თუმცა ამას არანაირი ნაყოფი არ გამოუღია — დალასელებმა ფრიად დამსახურებულად გაიმარჯვეს.

„როგორც იქნა, ჯაფა დაგვიფასდა, გავიმარჯვეთ. ჩვენი გუნდი მებრძოლი სულისკვეთებისაა. მე მხოლოდ საერთო ძალისხმევა დავაგვირგვინე, მოდანო დაშავებული იყო, ჰალი აღარ გვყავდა, ვინმეს ხომ უნდა ემარჯვა“ — ასე შეაფასა მატჩი ჯო ნუინდაიკმა, რომელმაც ამ პლეი ოფში მეექვსედ გაიტანა გამარჯვების გოლი და 1996 წლის ჯო საკიკის მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა.

საშველ ღარიბიანი

1999 FIH CHAMPIONS TROPHY

SWITZERLAND - AUSTRALIA JUNE 10 - 20

FIH

კაცები	ქალები
12 ივნისი	
ჰოლანდია 2:2 პაკისტანი	ავსტრალია 6:2 გერმანია ახ. ზელანდია 1:0 კორეა
13 ივნისი	
ავსტრალია 2:0 ესპანეთი კორეა 2:2 პაკისტანი	ავსტრალია 4:2 არგენტინა ჰოლანდია 2:1 ახ. ზელანდია
14 ივნისი	
ესპანეთი 3:0 ინგლისი ავსტრალია 2:1 ჰოლანდია	გერმანია 3:2 ჰოლანდია არგენტინა 2:0 კორეა

REUTERS ბრიტანეთიდან

ავსტრალია — ესპანეთი. ესპანელი რამონ სალა (მარცხნივ) ავსტრალიელი სტეფან დევისის შეჩერებას ცდილობს, თუმცა ვერც მან და ვერც მისმა თანაგუნდელებმა მეტოქეს ვერაფერი დააკლეს

თათარიანნად ხეშრეზენ

რახან დამთბარ ჩრდილოეთ ამერიკაში ჰოკეის სეზონი ჯერ არ დასრულებულა და სტენლის თასის გადამწყვეტი ჯახაჯუზი მიმდინარეობს „ბუფალო სეიბრსსა“ და „დალას სტარსს“ შორის, შეერთებულ შტატებში ჰოკეის მოყვარულთა დიდი მოძრაობა შეინიშნება. ყოველი მესამე ამერიკელი ტელევიზიით ადევნებს თვალყურს ფინალურ სერიას. ეს ორი ჯეელი კი, მანქანის კაპოტზე რომ გაუშლიათ პურმარილი, ნიუ იორკის შტატის პატარა ქალაქებიდან არიან. ბუფალოელ ხმლოსან-ყვანჯიანთა სიყვარულით ჩამოსულან ამ ქალაქში დიდი ჰოკეის საცქერად და ზედ ყინულის სახლთან — „მირეინ შედლენდ არენასთან“ მოშიებიათ.

გრეცკი იქ არ იყო, მაგრამ...

ესპანეთის ქალაქ რეუსში გორგოლაჭებიანი ჰოკეის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. იქაურმა ოლიმპიურმა „პაველიონმა“ ამ სალაღობო ყვანჯოსნობის თავგამოდებულ მოთამაშეთ უმასპინძლა. უეინ გრეცკი იქ არ ყოფილა და მაიკ მოდანომ და ჯონ ნუინდაიკმაც ვერ მოიცალეს (სტენლის თასისთვის იბრძვიან), მაგრამ ვინც იქ იყო, იომა და გამარჯვებული კი არგენტინის გუნდი დარჩა, რომელიც ამ სურათზე ხარობს.



REUTERS რეუსიდან



ცურვა მანჰეტენის გარშემო

მდინარეში მარათონულ დისტანციაზე ცურვა, თანაც ქალისთვის, თანაც კაცებთან ერთად, სულაც არ არის იოლი საქმე. ამიტომაც, ავსტრალიელი ტამი ვან ვისი (მარჯვნივ) ბედნიერია. მან ოცდარვანახევარი მილი გასცურა ჯერ მდინარე ჰადსონში, მერე კი კუნძულ მანჰეტენის გარშემო. ნიუიორკული სამდინარო მარათონის გამარჯვებული კი ტეხასელი ბიჭი ტობი სმითი (მარცხნივ) შეიქნა. თუმცა ტამის მეორე ადგილი არაფრითაა ნაკლები ტობის პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, მორალური თვალსაზრისით.



REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29